

**გოქალაქე და სამოქალაქო
ჩართულობა საქართველოში
დამოუკიდებლობიდან
23 წლის უმდეგ**

კონფერენციის მასალების კრებული



ეს გამოცემა შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით საარჩევნო სისტემების გაძლიერების პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი (IFES). მის შინაარსზე პასუხისმგებლები არიან ავტორები და იგი არ ასახავს სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაციის (CELA), საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის მთავრობის შეხედულებებს

This publication is made possible by the support of the American people through the United States Agency for International Development (USAID) in the framework of the Strengthening Electoral Processes in Georgia project, implemented by the International Foundation for Electoral Systems (IFES). The contents are the sole responsibility of the Civic Education Lecturers Association and do not necessarily reflect the views of IFES, USAID or the United States Government.

რედაქტორი: სალომე დუნდუა

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

პროექტის ხელმძღვანელი: თამარ ქარაია

სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაციის (CELA) აღმასრულებელი დირექტორი

გარეკანის დიზაინი: მარეხ გორგილაძე

„არჩევანის თავისუფლება.“

© ყველა უფლება დაცულია. 2015 CELA. All rights reserved.

© სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია (CELA), 2015

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2015

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-675-5

სარჩევი

ბაია აბულაძე

ქალთა მონაწილეობა არჩევნებში — ქალი, როგორც კანდიდატი და ამომრჩეველი.....4

ეკა დარბაიძე

ქალები პოლიტიკის მიღმა: რეალობა და გამონაკვეთები.....12

სალომე დუნდუა

სოციალური პოლიტიკა და თანამედროვე საქართველო24

არინა თავაქარაშვილი

მცოცავი ანექსიით დაზარალებული სოფლების კვლევა.....40

ქეთევან კუხიანიძე

გენდერული თანასწორობა საქართველოში.....46

ლევან ლორთქიფანიძე

გარემოსდაცვითი აქტივიზმი და დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში61

გიორგი მუნჯიშვილი

არასამთავრობო სექტორის, როგორც სამოქალაქო საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ნაწილის ფუნქციები, მნიშვნელობა და პერსპექტივები საქართველოში74

ქეთევან მუხიგული

საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში სოციალური მიცნობების სფეროში კვლევის ხელშეწყობის საშუალებების

ანალიზი.....83

თამარ ქარაია

მონახალისეობა, როგორც აქტიური მოქალაქეობა.....98

ბექა ქორჩილავა

საქართველო და ადამიანის უფლებები.....111

ბაია აბულაძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სტუდენტი

ქალთა მონაწილეობა არჩევნებში – ქალი, როგორც კანდიდატი და ამომრჩეველი

*„მომეცით ცარიელი მუზეუმი და
მე გავავსებ მას შედეგებით.“*
პიკასო

*„მოგვეცით კვოტები პარლამენტში და
ჩვენ გავავსებთ მას ქალებით.“* –
ინდოელი პოლიტიკოსი ქალები

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ქალთა პოლიტიკური ჩართულობა უკვე ჩვეულ ნორმადაა ქცეული, საქართველოში კვლავ ჩნდება კითხვები – რა საჭიროა ქალი პოლიტიკაში? რა როლი და მისია ეკისრება მას? შეუძლია შეითავსოს „პოლიტიკოსობა, როგორც ასეთი“? ამ ყოველივეს კომპლექსური საფუძველი აქვს. ამ დროს კი, სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა 53.7% ქალი იყო, მამაკაცების რაოდენობა მხოლოდ 46.3% -ს წარმოადგენდა.¹

ამასთან ერთად, უნდა დაისვას კითხვა – რა საჭიროა ქალთა აქტიური ჩართულობა? რა შედეგებს გამოიწვევს ეს ყოველივე? იქნება ეს დადებითი მოვლენა სისტემისთვის თუ უარყოფით შედეგებამდე მიგვიყვანს? თუ მსოფლიოს მასშტაბით ქალთა ჩართულობა პოლიტიკაში ყოველწლიურად

¹ http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/population/15.10.2012_krebul%202011.pdf ნანახია (2014.10.11)

იზრდება, საქართველოში ეს მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში გვხვდება.

ისეთი ტრადიციული კულტურის მქონე ქვეყნისთვის, როგორც, მაგალითად, საქართველოა, სადაც პატრიარქალური ნორმები დომინირებს, მიღებულია, რომ ქალი, თავისი გენდერული როლიდან გამომდინარე, დაკავებული უნდა იყოს ოჯახის საქმეებით, ბავშვების აღზრდით და მას არ მოეთხოვება სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურობა. გარდა ამისა, ოჯახშიც კი, ქალისგან მორჩილებასა და მამაკაცთან შედარებით პასიურ მდგომარეობაში ყოფნას ელიან. ქალის გათხოვებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი გავრცელებული გამოთქმა, რომ “ქალი პატრონს ჩაბარდა”, სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ ქალის პატრონი ჯერ საკუთარი ოჯახია, ხოლო შემდეგ კი ქმრის ოჯახი ხდება.

საქართველოში გენდერული პოლიტიკა ძალიან დაბალ დონეზეა. გვაქვს ფურცელზე დაწერილი უამრავი კანონი, მივიღეთ CEDAW კონვენცია, მაგრამ, რეალური ნაბიჯების გადადგმა არ ხდება. საზოგადოებაში არსებობს მრავალი სტერეოტიპი: ქალის როლი ოჯახით შემოიფარგლება, მისი მთავარი პრიორიტეტი დიასახლისობაა, კაცია მთავარი და ა.შ. როგორც ამბობენ, მსგავსი დამოკიდებულება არა მართო საქართველოში, არამედ ყაზახეთში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში და ბევრ სხვა განვითარებად ქვეყანაში დღესაც მყარად არსებობს. 2011 წელს პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაში შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, პარტია, რომელსაც სიაში 20% ქალი ეყოლებოდა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 10%-ით გაზრდილ დაფინანსებას მიიღებდა. მიუხედავად მოცემული ცვლილებებისა, ამ პროცესმა ვერ შეძლო ქალთა მონაწილეობის ამაღლება. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, კანონში შედის ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, 30%-იან ფინანსურ დანამატს მიიღებენ ის პარტიები, რომლებსაც პარტიაში

30% ქალი ეყოლებათ. თუმცა, მსგავსი პრაქტიკის არსებობის შემთხვევაშიც კი, პრობლემა მაინც საზოგადოების დამოკიდებულებაშია.

სამართლიანი არჩევნების იურისტის, ნინო ჯანაშიას თქმით, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა ნაკლებად უწყობს ხელს პოლიტიკოსი ქალების წარმოჩენას. პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად პარტიათა დაფინანსების შესახებ მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტებთან მეტ-ნაკლებად მორგებული კანონმდებლობის არსებობა არაა საკმარისი. ამის პარალელურად, აუცილებელია საარჩევნო სისტემების ადაპტირებაც.

ნაშრომში ვისაუბრებთ პოლიტიკაში ქალთა წინსვლის იმ შემთხვევებზე ფაქტორებზე, რომელიც საქართველოში არსებობს. ამასთან ერთად, ვიმსჯელებთ სხვა ქვეყნის გამოცდილებაზე, თეორიულ ჩარჩოზე, კანონმდებლობაზე. დასკვნის სახით კი, შემოგთავაზებთ რეკომენდაციებს, რომლებიც პრობლემის აღმოფხვრისკენ იქნება მიმართული.

საზოგადოების ცნობიერების დონე

ნაშრომის შესავალ ნაწილში უკვე ვისაუბრეთ, თუ რატომ არის საჭირო ქალთა ჩართულობა და რა პრობლემებს წარმოშობს ამ საკითხის ყურადღების მიღმა დატოვება. მაგალითისთვის, საგანგაშო ვითარება იყო განათლების სფეროში – როცა 6 000-მდე გოგონამ საშუალო განათლების მიღება შეწყვიტა. ამაზე ბევრი პოლიტიკოსი საუბრობდა, თუმცა, რეალური, ქმედითუნარიანი პოლიტიკა არავის უწარმოებია.

ქალების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში არაერთი კვლევით არის დადასტურებული. მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენელთა გათანაბრება წარმომადგენლობით ორგანოებში მნიშვნელოვნად აუმჯობესებს გადაწყვეტილების ხარისხს და იმ პროცესებს, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს. ეს ყველა სფერო-

ზე ახდენს თავისებურ გავლენა. ქალმა უკეთ იცის ქალის და ბავშვის საჭიროებები, ოჯახის საკითხებში უფრო მეტად არის ჩართული და, შესაბამისად, უფრო სწორ გადაწყვეტილებასაც მიიღებს.

ქვეყნის განვითარების კუთხით თუ ვიმსჯელებთ, შიდა პროდუქტი ერთნახევარჯერ გაიზრდება შრომით პროცესში ქალთა თანასწორი და სრულფასოვანი ჩართვის შედეგად. საქართველოს, სამ მილიონიან ქვეყანას, არ აქვს უფლება შრომითი რესურსი სრულფასოვნად არ გამოიყენოს.

საქართველოში ქალთა აქტიური მონაწილეობის (როგორც აქტიური, ისე პასიური ხმის უფლების) საჭიროება დემოგრაფიულ ჭრილშიც კარგად წარმოჩინდება. ამჟამად, მოსახლეობის 47.6% მამაკაცია, ხოლო 52.4% ქალი.² ამ დროს, ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტში მხოლოდ 12%-ს აღწევს. მოცემული დემოგრაფიული სურათის პირობებში, აუცილებელია, ქალთა წარმომადგენლობა მცირედით მაინც ასახავდეს მათ რაოდენობას. ეს პრინციპი უშუალოდ გამომდინარეობს განსხვავებული ინტერესების თეორიიდან. მამაკაცები ცხოვრების განსხვავებული სტილის გამო, ვერ ჩანვდებიან და, შესაბამისად, ვერ ასახავენ ქალთა ინტერესებს პოლიტიკაში. ეს ყველაფერი კი ქალთა რეალური დისკრიმინაციის საფუძველს წარმოქმნის.

საინტერესოა, გენდერულ ჭრილში საქართველოს 12 თვითმმართველ ქალაქში მერების შეფასებაც. სამწუხაროდ, არჩეული 12 კანდიდატიდან, არცერთი არ არის ქალი. კიდევ უფრო საგანგაშოა ის ფაქტი, რომ უშუალოდ მოსახლეობაც ვერ ხედავს ამის საჭიროებას. მაგალითისთვის, 2012 წლის ნოემბერში, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ

² სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, www.geostat.ge ნანახია (20.08. 2014)

ჩატარებული კვლევის მიხედვით,³ მოსახლეობის 46% პარლამენტში ამჟამად წარმოდგენილ ქალთა რაოდენობას საკმარისად თვლის (ამავე ინსტიტუტის კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 28% ქალთა 6%-იან წარმომადგენლობასაც საკმარისად მიიჩნევდა), რაც იმის მაჩვენებელია, რომ საზოგადოებრივი აზრი, მიუხედავად პოზიტიური ტენდენციებისა, ქალი პოლიტიკოსის მიმართ კვლავ უნდობლად არის განწყობილი. ქალები ისევ რჩებიან პოლიტიკური პროცესის მეორეხარისხოვან სუბიექტებად. პოლიტიკაში გენდერზე დაფუძნებული დისკრიმინაცია კვლავ საარჩევნო პროცესის განუყოფელი ნაწილია შემდეგ მიზეზთა გამო:

- ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ნაკლებობა

- საზოგადოების ტრადიციული შეხედულებები
- ქალთა მოძრაობის სისუსტე
- პარტიების მზადყოფნა
- საარჩევნო სისტემის ხარვეზები

რეალურად, პრობლემების მხოლოდ გამოკვეთა, გამოსავალი არ არის. საჭიროა პრობლემის აღმოფხვრის გზების ძიება. ევროპული გამოცდილება მოცემული პრობლემების აღმოფხვრის მიმართ გამძლე და ეფექტიანი აღმოჩნდა, რაც შემდეგში მდგომარეობს:

- ჩართულობის ზრდა კვოტირების გზით
- ჩართულობის ზრდა ქალთა მოძრაობის გაძლიერებით

საქართველოს შემთხვევაში, ორივე გზა გამართლებულად მიმაჩნია. თუმცა, ვფიქრობ, ქალთა წარმომადგენლობის ზრდა ქართულ გარემოში უფრო რეალური მხოლოდ კვოტირების შემთხვევაში გახდება. ამის ნათელ მაგალითად ჩრილოეთ ევროპის ქვეყნები შეიძლება მოვიყვანოთ.

³ <http://www.civil.ge/files/files/2012/NDI-Poll-November2012-geo.pdf> ნახსია (2014.15.11)

საინტერესოა, როგორ შეიძლება ქალთა მოძრაობის ნახალისება? კვოტური სისტემა უკვე კარგად ნაცნობი მექანიზმია. გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ქალთა მოძრაობის ნახალისება კომპლექსური ქვესისტემაა, რომელიც მრავალ ასპექტს მოიცავს. პირველ რიგში, საჭიროა, ჩატარდეს ქალთა საერთო ფორუმი, სადაც პარალელურ ჭრილში იქნება წარმოდგენილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა, იძულებით გადაადგილებული ქალების და სხვადასხვა საჭიროების მქონე ქალთა პრობლემები. ამ შეხვედრებისას უნდა მოხდეს საჭიროებების კვლევა და მასზე დაფუძნებით, სახელმწიფოსთვის საკუთარი გამოცდილების გაზიარება.

დასკვნა

რაც შეეხება საარჩევნო სისტემის ხარვეზებს, ცნობილმა მკვლევარმა, მეტლენდმა⁴ დაადგინა, რომ ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებში არ არსებობს სისტემური კავშირი საარჩევნო სისტემასა და ქალთა რაოდენობას შორის. მისი აზრით, აუცილებელია, არსებობდეს პოლიტიკური განვითარების გარკვეული ზღვარი, რათა ქალებმა ეფექტურად შეძლონ ისეთი ინსტიტუტის, როგორც საარჩევნო სისტემა, საკუთარი უფლებების დასაცავად გამოყენება.

„ბევრ ქვეყანაში არსებობს სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც, ქალებს არ შეუძლიათ იყვნენ გადამწყვეტილების მიმღებნი. როცა ქალთა მცირე მონაწილეობაზე ვსაუბრობთ, ძალიან ბევრი მიზეზის დასახელება შეიძლება, მაგრამ, საბოლოო ჯამში, კვოტირების არარსებობასთან მიყვავართ ყველაფერს“ – აღნიშნავს ერიკა კვაპილოვა.

⁴ Matland, R. E., 1998. Women's Legislative Representation in National Legislatures: A Comparison of Democracies in Developed and Developing Countries. *Legislative Studies Quarterly* 28 (1), 109-125

თუმცა, როგორც ექსპერტები მიუთითებენ, საქართველოში საარჩევნო სისტემასა და ქალთა ჩართულობას შორის გარკვეული კავშირი არსებობს. ამის ნათელი მაგალითი მაჟორიტარული და პროპორციული სისტემების შედარებაა. პროპორციული სიით ბევრად მეტი ქალი ხვდება პარლამენტში, ვიდრე მაჟორიტარული სიით.

საინტერესოა, ასეთ პირობებში როგორ შეიძლება აღმოვჩვენოთ გენდერული დისბალანსი პოლიტიკაში? უცხოური გამოცდილების გაზიარების შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩართულობის ზრდა კვოტირების გზით ან ჩართულობა ქალთა მოძრაობების ნახალისების გზით. ამისათვის კი, საჭიროა, არსებობდეს როგორც საზოგადოების, ასევე ხელისუფლების საერთო ნება.

*Baia Abuladze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
BA Student*

ELECTIONS AND WOMEN PARTICIPATION – WOMAN AS A CANDIDATE AND/OR VOTER

This paper aims to analyze the benefits of women's engagement in politics that has been turned out as a crucial part of realization of human rights in consolidated democracy. However, in Georgia we still face questions such as: why do we need women in politics?

Statistical data shows that 53.7% of voters in the 2012 presidential election were women, 46.3% of the voters were male. But these numbers do not influence attitudes toward gender equality in politics. Despite the positive trends, female candidates and politicians often face mistrust toward female politicians, which according to our findings is caused by these reasons:

- Lack of economic and political independence

- Society's traditional attitudes
- Weakness of the women's movements
- Readiness of the parties

The well-known researcher, Metlind found the connection between electoral system and woman's participation. He says that in a developed country there is lack of electoral system, which doesn't encourage women's participation.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. „დემოგრაფიული ვითარება საქართველოში“ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2012. (ნანახია 21.03.15)
2. http://geostat.ge/cms/site_images/files/georgian/population/15.10.2012_krebul%202011.pdf
3. „საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2012 წლის ნოემბრის კვლევის შედეგები“ NDI, კავკასიის კვლევითი რესურსები. (ნანახია 21.03.15)
<http://www.civil.ge/files/files/2012/NDI-Poll-November2012-geo.pdf>
4. Matland, R. E., 1998. *Women's Legislative Representation in National Legislatures: A Comparison of Democracies in Developed and Developing Countries*. *Legislative Studies Quarterly* 28 (1), 109-125
5. ეუთოს საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 7/09, ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, 2009 წლის 2 დეკემბერი, პარაგრაფი 2, <http://www.osce.org/mc/40710>

ქალები პოლიტიკის მიღმა: რეალობა და გამონაკები

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალური და პოლიტიკური გადამწყვეტილებების მიღების დროს ქალისა და მამაკაცის პარტნიორობა. პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობა და მონაწილეობა პოლიტიკის სუბიექტობის ფუნდამენტალური მახასიათებელია, ხოლო მისი დეფიციტი კი – სოციალური მონყვლადობის პირველადი პროდუქტი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში ქალთა როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, სამწუხაროდ, ქალთა მონაწილეობა ქართულ პოლიტიკაში კვლავაც დაბალი რჩება. საქართველომ მსოფლიო კლასიფიკაციის მიხედვით 134-ე ადგილიდან 106-ე ადგილზე გადაინაცვლა⁵. საქართველოს დღევანდელი მთავრობის 20 წევრიდან მხოლოდ სამია ქალი, პარლამენტის 150 დეპუტატიდან კი 17 ქალია (საკანონმდებლო ორგანოს წევრთა 11%). რაც შეეხება 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგებს, მდგომარეობა 2010 წელთან შედარებით, ფაქტობრივად, არ შეცვლილა და ქალთა წარმომადგენლობა 11.6%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებლები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ჩვენი ქვეყანა შორს დგას თანამედროვე დემოკრატიის იმ მოდელისგან, რომლის მიხედვითაც, არ არსებობს დემოკრატია გენდერული თანასწორობის გარეშე.

⁵ ბაგრატია თ., (2013) საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ანალიზი გენდერულ ჭრილში Netherlands Institute for Multiparty Democracy

საქართველოში დღეისთვის მოქმედი საარჩევნო კოდექსი გენდერულად ნეიტრალურ დოკუმენტს წარმოადგენს, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს გენდერული თანასწორობისა და ქალთა პოლიტიკური აქტივობის ხელშეწყობის არანაირ მექანიზმს. ქვეყანაში ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად კვლავაც რჩება პოლიტიკურ პარტიათა სიების ფორმირების თუ კანდიდატთა ნომინირების ცენტრალიზებული და პატრონაჟული ტიპის სისტემები და პარტიაში ქალთა დანინაურების გაუმჭვირვალე და აბსოლუტურად ბუნდოვანი მექანიზმები, რაც საქართველოში ქალთა დანინაურებისა და გადაწყვეტილების მიღების დონეზე მათი წარმომადგენლობის ზრდის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს.

რატომ უნდა იყვნენ ქალები პოლიტიკაში?

მრავალი მიზეზი არსებობს იმისა, თუ რატომ უნდა იყვნენ ქალები პოლიტიკაში. მათ შორის, შესაძლებელია რამდენიმე ფაქტორის გამოყოფა. გენდერის საკითხებში ექსპერტ თამარ ბაგარატიას მოსაზრებით, მეტი ქალი პოლიტიკაში – ეს ნიშნავს უფრო პრინციპულ პოლიტიკას, ნაკლებ კორუფციულ გარიგებას და, ნაწილობრივ, უკეთეს სოციალურ პოლიტიკას, რადგან პრობლემათა დიდი ნაწილი ქალს სოციუმში თავად აქვს გამოცდილი. არსებობს რამდენიმე მყარი არგუმენტი იმისა, თუ რატომ უნდა იყვნენ ქალები წარმოდგენილნი პოლიტიკაში.

□ პირველ რიგში, ეს არის სამართლიანობის არგუმენტი – ქალები საქართველოს მოსახლეობის 54%-ზე მეტს შეადგენენ, რაც ნიშნავს, რომ ისინი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოებში, სადაც ქვეყნის მოსახლეობის ნების ფორმირება ხდება, აუცილებლად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი;

□ ეს არის ე.წ. განსხვავებულ ინტერესთა არგუმენტი, რაც გულისხმობს, რომ ქალებს მამაკაცებისგან განსხვავებული, სოციალურად კონსტრუირებული ინტერესები გააჩნ-

ნიათ. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, მოხდეს მათი აგრე- გირება. ქალებს თავიანთი სპეციფიური ინტერესები გააჩნი- ათ და, შესაბამისად, მამაკაცებს არ ძალუძთ ლობირება გაუ- ნიონ მათ. ამის საუკეთესო მაგალითია “საქართველოს შრო- მის კოდექსი”, რომელიც არაერთხელ ყოფილა როგორც წი- ნა, ასევე ამჟამინდელი მონვევის პარლამენტში ცხარე დება- ტების საგანი. როგორც ყოფილმა დეპუტატმა, “ქრისტიან- დემოკრატიული მოძრაობის” ქალთა ორგანიზაციის ხელ- მძღვანელმა, მაგდა ანიკაშვილმა ჩვენთან საუბრისას აღნიშ- ნა: “წინა მონვევის პარლამენტში გადანყვეტილების მიღება ამ საკითხთან დაკავშირებით ვერ ხერხდებოდა, ვინაიდან, პარლამენტარი მამაკაცები ენინააღმდეგებოდნენ მას და ქალთა რაოდენობრივი მაჩვენებელი არ წარმოადგენდა იმ კრიტიკულ მასას, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პოლიტიკურ გადანყვეტილებაზე”;⁶

□ შემდეგი არგუმენტი, ეს არის გამოცდილების არ- გუმენტი. ქალებსა და მამაკაცებს განსხვავებული გამოცდი- ლება აქვთ და იმ გადანყვეტილებაში, რაც ქალებს ეხებათ, აუცილებელია ქალთა მონაწილეობა. ქალები ფლობენ უნი- კალურ გამოცდილებას განათლების, ჯანდაცვის და სოცია- ლურ სფეროებში. ხშირად კი, მამაკაცები ნყვეტენ ისეთ სა- კითხებს, რაშიც არ არიან კომპეტენტურნი და მოცემულ სფეროებში არ აქვთ შესაბამისი გამოცდილება და ცოდნა – განსაკუთრებით, როდესაც საქმე ადგილობრივი თვითმმარ- თველობის დონეზე არსებულ პრობლემებს ეხება;

□ მეოთხე არგუმენტი იმისა, თუ რატომ უნდა იყოს ქალი პოლიტიკაში, არის პოლიტიკური სისტემის შეცვლა. უფრო მეტმა ქალმა პოლიტიკაში, შესაძლოა, შეცვალოს პო- ლიტიკური სისტემა. კორუფციის შესახებ ჩატარებულმა

⁶ დარბაიძე ე., (2013) ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა საკანონ- მდებლო დონეზე, ჟურნალი „ინტელექტუალი“, N 24, თბილისი

კვლევებმა ცხადყო, რომ ქალები, მამაკაცებთან შედარებით, გაცილებით მეტი პრინციპულობით გამოიჩინებიან. შესაბამისად, რაოდენობრივად მეტ ქალს პოლიტიკური გადანყვეტილებების დროს შეუძლია მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს საზოგადოებას. არსებობს კვოტირების მომხრე არგუმენტი, რომ მეტი ქალი პოლიტიკაში ამცირებს კორუფციას და, შესაბამისად, პოზიტიურ გავლენას ახდენს ქვეყნის კეთილდღეობაზე, რაც სხვადასხვა კვლევითაც დასტურდება (ბიმენი 2010). კვლევები გვიჩვენებს, რომ ქალი პოლიტიკოსები პრაქტიკაში ნაკლებად კორუმპირებულები არიან, ვიდრე მამაკაცები.

პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის ხელისშემშლელი ბარიერები

ფაქტია, რომ პოლიტიკას ქალების აქტიური ჩართულობა და მონაწილეობა სჭირდება, თუმცა, მათ წინაშე სხვადასხვა სახის წინააღმდეგობა იჩენს თავს. მაინც რა სახის გამომწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ქალი, როდესაც იგი საჯარო პოლიტიკაში წასვლას გადანყვეტს? სამწუხაროდ, მათი დაბალი მონაწილეობის მიზეზები ბევრად უფრო კომპლექსურია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

პირველი და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი – ეს ჩვეული, ტრადიციული სტერეოტიპია. ჩვენს საზოგადოებაში დომინანტი როლი კვლავაც მამაკაცს უჭირავს. ძირითადი ბარიერი ქალისთვის ოჯახია. აუცილებელია ფინანსური, მორალური თუ სხვაგვარი მხარდაჭერა. ტრადიციული სტერეოტიპი იმასაც გულისხმობს, რომ ქალი საქართველოში, ძირითადად, მაინც ოჯახზეა მიჯაჭვული და მამაკაცებისთვის მისი მთავარი ფუნქცია რეპროდუქციულ ქრილში განიხილება. მეორე მიზეზს ფინანსურ რესურსებზე ქალთა ნაკლები ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. ქალი რომ პოლიტიკაში ჩაერთოს, მას ამ აუცილებელ რესურსებზე ხელმისაწვდომობა სჭირდება. რეალურად, ძალიან ცოტაა ისეთი ქალი,

რომელიც ფინანსურ რესურსებს აკონტროლებს და მსხვილ ბიზნესში მოღვაწეობს. არსებულ პრობლემებს ისიც ემატება, რომ მთელი სოციალური, კულტურული და ეკონომიკური კაპიტალი მამაკაცების მიერაა მონოპოლიზებული, რომლის გარეშეც ქალებისთვის პოლიტიკაში მოსვლა ძალიან რთულია. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ ქალთა საქმიანობა მედიის მიერ საკმარისად არ შუქდება; როგორც ცნობილია, მსოფლიოს მასშტაბით თითქმის ყველგან, მედია საშუალებებს, ძირითადად, მამაკაცები აკონტროლებენ და, შესაბამისად, სამაუწყებლო სივრცეც უმეტესად, სწორედ პოლიტიკოს მამაკაცებს ეთმობა და არა ქალებს.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის კვლევისას აუცილებელია იმ წინააღმდეგობებისა და გამოწვევების შესწავლა და განზოგადება, რომელიც პოლიტიკაში მათი მონაწილეობისას წარმოიქმნება. როდესაც საქმე ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას ეხება, უპირველეს ყოვლისა, ღიად უნდა იქნას განხილული როგორც ქვეყნის წარმომადგენლობით ორგანოებში რეკრუტირების პროცესი, ასევე ქვეყნის საარჩევნო სისტემების გავლენა ქალთა წარმომადგენლობის ზრდაზე; ის, თუ რომელი საარჩევნო სისტემა არის უკეთესი და რატომ.

ყველასთვის ცნობილი ფაქტია, რომ პოლიტიკური პარტიები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ქალთა პოლიტიკური დანინაურების კუთხით. პოლიტიკური პარტიების მიერ კანდიდატთა შერჩევის საერთო ეტაპების გავლის შემდგომ, ძირითადი წინააღმდეგობები, რომელსაც ქალი ამ პროცესში აწყდება, შემდეგია: საარჩევნო სისტემის ტიპი, ქვეყნის კულტურა და წესები, ქალ კანდიდატთა სივრცე და საარჩევნო კამპანია.

კანდიდატთა რეკრუტირება – ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ყველა იურიდიული პროცედურის გავლის შემდგომ, კანდიდატობის მსურველს ეძლევა შანსი, გახდეს საკუთარი ქვეყნის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი. კან-

დიდატობის მსურველობიდან კანდიდატად დასახელებამდე გასავლელი გზა ძალიან წააგავს ერთგვარი ძაბრის ფორმას, რომელიც მიუთითებს, რომ პროცესის დასაწყისში საკუთარი კანდიდატობის უფლების მქონე ქალთა და მამაკაცთა რაოდენობა თითქმის თანაბარია, მაგრამ, როდესაც კანდიდატთა შერჩევაზე მიდგება საქმე, ქალთა რიცხვი საოცრად იკლებს და მცირდება; თუმცა, აღნიშნული პროცესი იცვლება და განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. არჩევნებზე კანდიდატთა რეკრუტირების პროცესი გარკვეულ ეტაპებს მოიცავს. რეკრუტირების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, რომლებიც მკვეთრად განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. სახელმწიფოებს შორის არსებული განსხვავებები დამოკიდებულია პოლიტიკურ რეჟიმზე, დემოკრატიის განვითარების ხარისხზე, პოლიტიკური პარტიების სიძლიერეზე, ქალთა ლობისტურ ორგანიზაციებზე, ქალ კანდიდატთა სივრცესა და ქვეყანაში მოქმედ საარჩევო სისტემაზე, რაშიც, თავისთავად, პარტიული წესები და ნორმები მოიაზრება. პოლიტიკური სოციალიზაციის ტიპი ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ხაზს უსვამს პოლიტიკას, როგორც მამრობითი სქესის წარმომადგენელთა საქმიანობისთვის სრულიად ლეგიტიმურ სფეროს. ამომრჩეველთა უმრავლესობა ქალთან შედარებით მამაკაცს უფრო სასურველ ლიდერად მიიჩნევს, რომელიც გადანყვეტილების მიღების პროცესში უკეთ არის აღჭურვილი საჭირო უნარებით. ტრადიციული კულტურული სტერეოტიპი მიმართულია ქალთა წინსვლის, პროგრესისა და პოლიტიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის წინააღმდეგ.

კანდიდატთა რეკრუტირება, რომლის დროსაც პარტიის “გეითქიფერი” არჩევს კანდიდატებს, ერთ-ერთი გადამწყვეტი ეტაპია კანდიდატობის მსურველი ქალისთვის. პირველ ეტაპია თავად პიროვნების გადანყვეტილება – წარდგენა და კენჭი იყაროს არჩევნებზე. აღნიშნულ გადანყვეტილებაზე, უწინარეს ყოვლისა, გავლენას ახდენს ასპირანტის პი-

როვნული ამბიციის, რესურსების და შესაძლებლობების. მსგავსი ტიპის რაციონალურად ორიენტირებული აქტორის ამბიციას აზომიერებს კამპანიის რესურსების მობილიზების შესაძლებლობების შეფასება, თანამდებობის დაკავების ალბათობა და ანალიზი იმისა, თუ რამდენად კეთილგანწყობილია სოციალურ-პოლიტიკური გარემო მისი კანდიდატურის მიმართ. როგორც წესი, კანდიდატთა რეკრუტირების პირველსავე ეტაპზე უფრო მეტი მამაკაცი იყრის ხოლმე თავს, ვიდრე ქალი. მამაკაცები სოციალიზებულნი არიან მიიღონ და აღიქვან პოლიტიკა, როგორც მათთვის სრულიად ლეგიტიმური და თავისუფალი მოქმედების ასპარეზი. სწორედ ეს ინვესტს მამაკაცებში ქალებთან შედარებით გაცილებით მეტ დაინტერესებასა და ცოდნას პოლიტიკის მიმართ და, შესაბამისად, უფრო მეტ პოლიტიკურ ამბიციას წარმოშობს. პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში ქალთა 50%-ზე მეტი მზად არის წამოაყენოს საკუთარი კანდიდატურა, მაგრამ პირველივე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, სისტემა მამაკაცის სასარგებლოდ იწყებს გადახრას.

კანდიდატთა რეკრუტირების მეორე ეტაპია პარტიის მიერ კანდიდატის შერჩევის პროცესი, რომელშიც ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს პარტიული პოლიტიკა თამაშობს. კანდიდატთა შერჩევის პროცედურები განსხვავებულია ქვეყნებისა და თავად პარტიების მიხედვით, რაც გვაძლევს საშუალებას, გამოვკვეთოთ ისეთი მახასიათებლები, როგორცაა: არჩევნებში მონაწილეობის სივრცე და პროცესის ცენტრალიზაცია ან დეცენტრალიზაციის ხარისხი.

განვითარებულ დემოკრატიებში, შესაძლოა, არსებობდეს არჩევნებში მონაწილეობის სხვადასხვაგვარი პროცედურა, როგორც “ფართო მონაწილეობის”, ისე ცენტრალიზაცია – დეცენტრალიზაციის ფორმები. მაგალითად, იაპონიაში დემოკრატიული პარტიის მიერ კანდიდატების შერჩევა პარტიის ფრაქციის ლიდერების მკაცრი კონტროლის ქვეშ ხორციელდება, სადაც პარტიის ლიდერები, პარტიის პასუხისმგებელი პირების უფრო ფართო შემადგენლობა ან პარ-

ტიის მნიშვნელოვანი ნაწილი “გეითქიფერის” როლს თამაშობს. თუმცა, ასევე, განასხვავებენ პატრონაჟზე ორიენტირებულ და ბიუროკრატიული შერჩევის სისტემებსაც. კანდიდატის შერჩევის ბიუროკრატიული სისტემის წესები დეტალური, სტანდარტიზებული და თანმიმდევრულია. ნაკლები ყურადღება ექცევა იმ ფაქტს, თუ ვინ არის ძალოვან პოზიციაზე და ძალაუფლება ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ კანონიერ პრინციპებს. ქალებისთვის ყველაზე ხელსაყრელად, რა თქმა უნდა, გადანყვეტილების მიღების ცენტრალიზებული მოდელი შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან კანდიდატურის წამოყენების საკითხის ცენტრალიზებულად განხილვის შემთხვევაში, ერთდროულად რამდენიმე ადგილს განიხილავენ. ამ დროს, ქალებს მეტი შანსი აქვთ, რომ იყვნენ წარმოდგენილნი. ქალებისთვის ბიუროკრატიულ პროცედურებზე დამყარებული სისტემები, რომლებიც ერთიან წესებს მოიცავს, ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის ზრდის უზრუნველყოფის გარანტია. პატრონაჟზე დაფუძნებულ სისტემაში ნაკლებად არსებობს მკაფიო წესები, გადანყვეტილებას კი, ძირითადად, ლიდერი ან ლიდერთა ვიწრო გუნდი იღებს. მსგავსი სიტუაცია ქალი კანდიდატისთვის არახელსაყრელია, რადგან მოცემულ შემთხვევაში პარტია უფრო მეტად ტრადიციულ, ქარიზმატულ ხელმძღვანელობას ემყარება, ვიდრე სამართლებრივ რაციონალურ ორგანოს.

დღეს, როდესაც საქართველო აქტიურად მიიღტვის ევროპული და ევროატლანტიკური ორგანიზაციების წევრობისკენ, არ უნდა დაგვავინყდეს ის ფაქტიც, რომ ევროპის სახელმწიფოთა დიდმა ნაწილმა უკვე გაიარა გენდერული კვოტირების პროცესი და დღეს ძალიან აქტიურად მუშაობს და კერძო სექტორში კვოტირების გზით თანაბარი შესაძლებლობების დამკვიდრებისთვის იღწვის. 2013 წელს საქართველოს საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, თუკი პარტიების მიერ წარმოდგენილ სიაში კანდიდატთა ყოველ ათეულში განსხვავებული სქესი, სულ მცირე,

30%-ით მაინც იქნება წარმოდგენილი, აღნიშნული პარტია 30%-ით მეტ დაფინანსებას მიიღებს. წამახალისებელი ნორმის მიუხედავად, საქართველოში 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ არჩევნებზე ქალთა წარმომადგენლობის ზრდის ხელშეწყობისთვის გათვალისწინებულმა ფინანსური ნახალისების ნორმამ ვერ გაამართლა. აღმოჩნდა, რომ ნებაყოფლობითი კვოტირების სისტემა პარტიებისთვის მხოლოდ ფინანსური დანამატის მიღების საშუალებად დარჩა.

გენდერული კვოტა მსოფლიოში აპრობირებული მეთოდი და ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის ყველაზე ეფექტური მექანიზმია. გენდერული კვოტა საქართველოში დღეს ბევრი მოქმედი პოლიტიკოსი მამაკაცისთვის აღიქმება, როგორც მათი პოლიტიკიდან განდევნისა და გაძევების ინსტრუმენტი, თუმცა, მამაკაცებს უჭირთ იმის გაანალიზება, რომ პოლიტიკაში ქალთა რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდა თითოეული კაცი პოლიტიკოსის დონემდე კი არ დადის, არამედ ის მოსახლეობის 54%-ის ინტერესების ასახვის შესაძლებლობას უკავშირდება.

2014 წელს, NDI-ის დაკვეთით, “კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა” (CRRC) საქართველოს მასშტაბით განახორციელა საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომელიც ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას შეეხებოდა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა 64% ფიქრობს, რომ საქართველოში გენდერული თანასწორობა არ არსებობს, ხოლო გამოკითხულთა 68%-მა კი პარლამენტში სავალდებულო კვოტირების შემოღებას დაუჭირა მხარი. აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მზადაა, უფრო მეტი ქალი იხილოს პოლიტიკაში. სწორედ აღნიშნული პრობლემის დასაძლევად, თანასწორი შესაძლებლობების მიღწევის ერთადერთ, უალტერნატივო საშუალებად, პოლიტიკური პარტიებისთვის სავალდებულო კვოტირების შე-

მოლება მიგვაჩნია, რაც პოლიტიკურ პარტიებს იძულებულს გახდის, საარჩევნო სიების 30% ქალებით დააკომპლექტონ.

Eka Darbaidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

WOMEN IN POLITICS, REALITY AND CHALLENGES

According to the Constitution of Georgia, every human being is born free and is equal in front of the law without any kind of distinction, such as race, color, language, sex, religion, political or other opinion, nationality, ethnic or social origin, property as well as birth and place of residence. Currently, gender equality is becoming one of the major priorities of the Georgian state policy aimed at providing effective conditions for the equality of women and men and securing this equality.

In the process of democratic state-building of Georgia partnership between women and men in the social and political decisions is extremely important. The political process and their participation in policy formation is fundamental characteristic of the subject, and its lack of social vulnerability of the primary product. Although the role of women in public life in Georgia recently increased significantly, unfortunately participation of women in politics still remains low. The reason is much more complex than it seems at first glance. Women's role in politics is hindered by the political, social, cultural and psychological reasons: the country's political culture, popular stereotypes, less access to financial resources, lack of coverage by media of women's public and political

activities, non-existing women's consolidation in women's movement hinders the formation women's movements. Political, institutional and economic issues limit women's engagement in decision-making process and political life more generally. For example, changing gender roles have affected how men and women deal with new realities, relating to burdens and opportunities for participation of both genders. Political divisions within society also creates barriers, in addition to a lack of consistent political will, institutional capacity, and coordination among key stakeholders. When it comes to women's political participation, first of all we should be viewed and perceived as the representative bodies of women in the recruitment process, also country's electoral system needs to be changed so that it could increase women's representation. Georgia's political parties are dominated by men, and they are characterized by a low level of internal democracy, the party of the mechanisms of promotion are often vague, which makes it advancement of women in the party even more challenging. Women's political participation is essential to the study of the major obstacles and challenges discussed in details in the study, which formed part of their politics. Georgia's recent parliamentary and 2014 local self-government elections had once again made it clear that the law on "Political Unions of Citizens" included encouraging women's representation provision would not affect the growth of fake and only became the norm. Therefore, the only way to resolve this problem in the current situation is to continue introducing a compulsory quota remains.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bochel, J., and David, D. (1983). „Candidate Selection in the Labour Party: What the Selectors Seek”. *British Journal of Political Science*. Vol. 13, no. 1, pp. 45–69

2. Matland, R.E., and Donley, T.S. (1996). “The Contagion of Women Candidates in Single-Member and Multi-Member Districts”. *Journal of Politics*. Vol. 58, no. 3, pp. 707–33.
3. Matland, R.E., Montgomery, L.A.(2003). Women’s Access to Political Power in Post-communist Europe. Oxford University Press. P.21
4. UNDP Georgia (2013) Public Perception on Gender Equality in Polics and Business, Avaliable at:
http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_UNDP_Gender_%20Research_ENG.pdf Accessed: 02.02.2014
5. ბაგრაგია თ., (2013) საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ანალიზი გენდერულ ქრილში Netherlands Institute for Multiparty Democracy
6. დარბაიძე, ე., (2013) ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა საკანონმდებლო დონეზე, ჟურნალი ინტელექტუალი, N 24, თბილისი.
7. რეხვიაშვილი, ჯ. (12.12.2014) პოლიტიკა ქალის საქმეა, რადიო თავისუფლება,
<http://www.radiotavisupleba.ge/content/politika-qalis-saqmea/26739243.html> მოძიებულია 2015.01.15
8. საქართველოს ორგანული კანონი, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, 2011 წ. N 536-რს

სოციალური პოლიტიკა და თანამედროვე საქართველო

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში ცალსახად გაცხადებულია ქვეყნის სწრაფვა სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისკენ, კერძოდ კი: “ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველვყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი... ღვთისა და ერის წინაშე საქვეყნოდ ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას.”⁷ მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, არცთუ იშვიათი იყო კამათი სოციალურ სახელმწიფოზე, ნეოლიბერალურ პოლიტიკაზე, საქართველოს ევროპული განვითარებისკენ წასვლასა თუ ე.წ. სინგაპურიზაციაზე. თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ დისკურსში ამ ფონზე, ხშირი იყო დაპირისპირება ქვეყნის განვითარების ორ განსხვავებულ ხედვას – ნეოლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკასა და სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოს შორის.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქართული ოცნების გამარჯვების შედეგად, მსგავსი ტიპის დისკუსიებმა უკანა პლანზე გადაინაცვლა. საჯარო დონეზე არსებულ დისკურსში, პრაქტიკულად, საკამათო აღარაა არც კეთილდღე-

⁷ საქართველოს კონსტიტუცია, მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს, <http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68> ნანახია (09.09.2014)

ბითი სახელმწიფოს ევროპული მოდელის და არც სოციალური სამართლიანობის იდეები.

ვფიქრობთ, სანამ კონკრეტულად საქართველოს შესახებ ვისაუბრებთ, უპრიანი იქნება რამდენიმე სიტყვით თავად სოციალური სახელმწიფოს ცნებას, უმთავრეს ღირებულებებს და მის მიმართ არსებულ კრიტიკას შევხვით.

სოციალური სახელმწიფოს იდეა

სოციალურ სახელმწიფოზე, როგორც განსაკუთრებულ პოლიტიკურ-სამართლებრივ მოვლენაზე, საუბარი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც სახელმწიფოს მოქმედებაში სოციალურად ორიენტირებული პოლიტიკა ხდება წამყვანი და, რაც მთავარია, ეს პოლიტიკა ვრცელდება მოსახლეობის ფართო წრეებზე. ამასთანავე, სოციალური შეიძლება იყოს მხოლოდ ის სახელმწიფო, რომელსაც მაღალგანვითარებული ეკონომიკა გააჩნია და თან, ეკონომიკის სტრუქტურაში გათვალისწინებულია სახელმწიფოს სოციალური ორიენტაცია. ამ აზრით, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე პერიოდის საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოების წარმოშობა XIX საუკუნის ბოლო პერიოდიდან იწყება, სოციალური სახელმწიფოების რეალური განხორციელების პერიოდად XX საუკუნის 50-60-იანი წლები უნდა მივიჩნიოთ. ნებისმიერ სახელმწიფოში სოციალური სახელმწიფოს ფომირების პირველი სტადია გულისხმობს მის მიერ საკუთარი მოქალაქეებისთვის საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფას, რაც შემდგომში, თანადათანობით, სახელმწიფოს მიერ თითოეული მოქალაქისთვის ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფის ვალდებულებად ტრანსფორმირდება.⁸

⁸ Gosta Esping Andersen, (1990) *The Three Worlds of Welfare Capitalism*, Princeton University Press, p.12

თანამედროვე მსოფლიოში არსებული სახელმწიფოების სოციალური პოლიტიკის დინამიკაზე დაკვირვებისას, როგორც წესი, აშკარად შეინიშნება, რომ კეთილდღეობაზე დანახარჯები უფრო დიდია ეკონომიკურად მეტად განვითარებულ ქვეყნებში. ნაკლებად მდიდარ ქვეყნებს სოციალური დანახარჯებისთვის ნაკლები ფინანსური რესურსი გააჩნიათ.

საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს კრიტიკა

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს არაერთმა ქვეყანამ თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოს აშენება დაისახა მიზნად, კამათი თავად კეთილდღეობის სახელმწიფოს დადებით და უარყოფით მხარეებზე პოლიტიკურ დისკურსში კვლავაც არ წყდება. კრიტიკის ერთი (და ალბათ ყველაზე ძირითადი) ნაწილი ეფუძნება ხედვას იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოს მიერ საკუთარ თავზე სოციალური ვალდებულებების აღება ადამიანებს აზარმაცებს და დამოკიდებულს ხდის.

ნეოლიბერალი კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ეკონომიკის ეფექტურობის კლება მოაქვს შედეგად და, ამასთანავე, მას თან ახლავს მოსახლეობის მიერ პოლიტიკური თავისუფლებების დაკარგვის რისკიც. ნეოლიბერალების კრიტიკა კლასიკური ლიბერალიზმის პრინციპებიდან იღებს საფუძვლებს. ის პირები, რომლებიც თანამედროვე სახელმწიფოში სოციალური სიკეთეებით სარგებლობენ, როგორც წესი, ორ კატეგორიად იყოფიან: პირველი – ბავშვები, მოხუცები, შშმ პირები ბუნებრივ მოვლენათა მსხვერპლნი და ა.შ; მეორე ჯგუფში კი გაერთიანებულია ყველა სხვა დანარჩენი – ისინი, ვისაც კანონმდებლობა სახელმწიფო ფონდიდან სოციალური სიკეთეებით სარგებლობის უფლებას ანიჭებს.

ძირითად პრობლემას სოციალური სახელმწიფოს კრიტიკოსები სწორედ მეორე ჯგუფის წევრებთან მიმართებით ხედავენ (პირველი ჯგუფის შემთხვევაში საკამათო ნაკლებია და მათ დახმარებას, გარდა სამართლებრივი ასპექტისა, მორალურ-ზნეობრივი მხარეც ემატება).

კონსერვატორი კრიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ სოციალური სახელმწიფოს იდეების გაფართოებისა და ზრდის პირობებში ეკონომიკური ეფექტურობის კლებაზე. ასევე, მათი აზრით, არანაკლებ პრობლემას წარმოადგენს იმ ადამიანთა მზარდი რაოდენობა, რომლებიც “გააზარმაცა” სახელმწიფოს მხრიდან დახმარებისა და შემოსავლის მოლოდინმა.

კრიტიკოსთა ერთი ნაწილი წმინდა ეკონომიკურ ფაქტორებს უსვამს ხაზს. სოციალური სახელმწიფოს განხორციელებისთვის საჭირო თანხების მოსაძიებელი გზები მაღალ გადასახადებზე გადის, რაც ბევრი კრიტიკოსის აზრით, თავისთავად, უკვე უარყოფითი მოვლენაა⁹.

თანამედროვე საქართველო

მიუხედავად იმისა, რომ კამათი სოციალური სახელმწიფოს იდეის გარშემო კვლავაც არ წყდება და როგორც ამაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის ძალები სხვადასხვა პოზიციიდან აკრიტიკებენ მას, თანამედროვე სამართლის სპეციალისტები, სახელმწიფოს თეორეტიკოსები თუ სოციოლოგები თანხმდებიან, რომ სახელმწიფოდ ორგანიზებულ ადამიანთა ერთობას აკისრია ვალდებულება – დაეხმაროს საკუთარ მოქალაქეებს, როცა ამას თავად ისინი საკუთარი ძალებით ვერ ახერხებენ. თუმცა, აქვე უნდა

⁹ მაგალითად, იგივე დანიაში გადასახადები 48,9 % შეადგენს, ხოლო შვედეთში კი 48,2%-ია.

აღინიშნოს, ასევე ყველა უპირობოდ თანხმდება, რომ ნებისმიერი ქმედითუნარიანი ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, თავად უნდა ზრუნავდეს საკუთარი კეთილდღეობისთვის.

თანამედროვე საქართველოს პირობებში, როდესაც ქვეყანას ცალსახად აღებული აქვს ევროინტეგრაციისკენ მიმართული პოლიტიკური კურსი – ხელისუფლებაც ერთმნიშვნელოვნად სოციალური სახელმწიფოს მშენებლობაზე აცხადებს პრეტენზიას. თუმცა, თავად სოციალური სახელმწიფოს არსებული მოდელებიც ერთმანეთისგან განსხვავდება. ქვეყანამ უნდა გაარკვიოს, თუ რომელი მათგანის არჩევა სურს: კონტინენტურ – ევროპულის, სკანდინავიურის თუ ანგლოსაქსურ-ბრიტანულის. ფაქტია ისიც, რომ მიუხედავად იმისა, თუ რომელ მოდელზე გაკეთდება საბოლოო ჯამში არჩევანი, სახელმწიფოს ამ მიმართულებით ბევრი რამ ექნება გასაკეთებელი.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით, მოკლედ მიმოვიხილოთ თანამედროვე საქართველოს სოციალური პოლიტიკის მაჩვენებლები და, ამ მხრივ, მისი განვითარების პერსპექტივები.

როგორც წესი, გამოყოფენ რამდენიმე ინსტრუმენტს, რომელთა არსებობაც, ხშირად, სოციალური სახელმწიფოს შექმნის აუცილებელ პირობად და ძირითად მახასიათებლადაც კი მიიჩნევა.

შევეცდებით სოციალური კეთილდღეობის თითოეული მოცემული ინსტრუმენტი საქართველოს მაგალითზე განვიხილოთ.

1. სახელმწიფო ხელისუფლების დემოკრატიული ორგანიზება; კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე, არაერთი პოლიტიკური სისტემის პირობებში უცხოვრია, თუმცა, მხოლოდ დემოკრატიის პირობებში გახადა შესაძლებელი კეთილდღეობის იდეების ცხოვრებაში გატარება. დღესაც, მსოფლიოში პოლიტიკური სისტემების სხვადასხვა ტიპი ერთმანეთის გვერდიგვერდ თანაარსებობს. არსებულ სისტემებს შორის დემოკრატიული და გარდამავალი დემოკ-

რატიის ქვეყნები, საერთო მაჩვენებლებით, სახელმწიფოთა მხოლოდ მცირე ნაწილი შეადგენს.

ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ მიერ ყოველწლიურად შესწავლილი მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოს დემოკრატიულობის ინდექსი რამდენიმე ძირითად მაჩვენებლებს ემყარება, რომელთა შორის გამოვყოფდით: საარჩევნო პროცესს, სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მედიის დამოუკიდებლობას. 2012 წლის მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოს დემოკრატიულობის ხარისხის მაჩვენებელი 4,82 ქულა იყო; 2013 წელს – 4,75, ხოლო 2014 წელს კი – 4,68.¹⁰ 2005 წლიდან მოყოლებული 2014 წლამდე, დემოკრატიის ზრდის ხარისხის მაჩვენებელი რეგიონში ყველაზე მაღალი საქართველოს აქვს – 0,28¹¹.

დემოკრატიული ღირებულებებისა და დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში პირველად, დემოკრატიული არჩევნების გზით, ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლის პრეცედენტს. ამ კუთხით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები თანამედროვე საქართველოს ისტორიაში გარკვეულ გარდამტეხ მიჯნადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

„ამ ქვეყნიდან (საქართველოდან – ს.დ.) წამოსული სიგნალები, რომლებსაც ვხედავთ ბოლო წლებში, დადებითი ხასიათისაა“¹² – განაცხადა სილვანა ჰაბდაკ კოლაჩკოვსკამ, ფრიდომ ჰაუსის პროექტის – „ქვეყნები გარდამავალ ეტა-

¹⁰ „ფრიდომ ჰაუსის“ შეფასების შვიდ ქულიან სისტემაში 1-იანი ყველაზე მაღალი პროგრესის მაჩვენებელია, ხოლო 7- ყველაზე დაბალის.

¹¹ „ფრიდომ ჰაუსი“: საქართველოში დემოკრატიის ხარისხი გაუმჯობესდა“ <http://www.radiotavisupleba.ge/content/html> ნანახია (14.07.2015)

¹² „ფრიდომ ჰაუსი“: საქართველოში დემოკრატიის ხარისხი გაუმჯობესდა <http://www.radiotavisupleba.ge/content/html> ნანახია (14.07.2015)

პებზე – ევრაზიის განხეთქილება დემოკრატიასთან“ ხელმძღვანელმა.


2. სახელმწიფოს მძლავრი ეკონომიკური პოტენციალი. ეკონომიკური სიძლიერე ეკონომიკური ნამატის დაგროვებისა და შემდეგ ამ ნამატის იმგვარი გადანაწილების საშუალებას იძლევა, რომ ზიანი არ/ან შედარებით ნაკლები დოზით მიადგეთ მესაკუთრეებს;

ეკონომიკური ზრდის უმთავრეს წინაპირობად სტაბილური მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიიჩნევა. „იმ შემთხვევაში, თუ დადგება არჩევანის აუცილებლობა მთავრობის სხვა სოციალური ან ეკონომიკური მიზნების განხორციელებასა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის გაცხადებული პოლიტიკის შესრულებას შორის, უპირატესობა ამ უკანასკნელს მიენიჭება“ – ნათქვამია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 ივნისს მიღებულ დადგენილებაში¹³.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო, ისევე როგორც პრაქტიკულად ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა, მძიმე ეკონომიკურ პირობებში აღმოჩნდა. დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ რამდენიმე წელიწადში, მშპ პროდუქტი დაახლოებით 70%-მდე შემცირდა. შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში, 1995 წლიდან დაწყებული ეკონომიკური ზრდის მიუხედავად (რომელიც, თავის მხრივ, ქვეყანაში სტაბილური და შედარებით მშვიდი სამოქალაქო გარემოს შექმნით იყო განპირობებული), ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველომ ვერ შეძლო მაღალ განვითარებამდე ასვლა. შემდგომ პერიოდში, მ. სააკაშვილის ხელისუფლების წლებში განხორციელებული ლიბერალური ეკონომიკის გატარების შედეგად, მაკროეკონომიკური ზრდა აშკარად თავ-

¹³ საქართველოს მთავრობის დადგენილება N400 2014 წლის 17 ივნისის ქ. თბილისის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე, გვ.13

ლმისაცემია (იხ. ცხრილი 1).¹⁴ თუმცა, ერთი მხრივ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომმა, მეორე მხრივ კი, რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ განხორციელებულმა ეკონომიკურმა ბლოკადამ, მნიშვნელოვნად უარყოფითი ზეგავლენა იქონია ეკონომიკურ ზრდაზე. მოყვანილი ცხრილიდან თვალნათლივ ჩანს 2008-2009 წლებში ეკონომიკური ზრდის ტემპების მკვეთრი ვარდნა, თუმცა, 2010 წლიდან ზრდის მაჩვენებლები კვლავ მატულობს.



3. ეკონომიკის სოციალურად ორიენტირებული სტრუქტურა, რაც საკუთრების სხვადასხვა ფორმის არსებობაში გამოიხატება. მოცემული პუნქტი გულისხმობს, რომ სახელმწიფო უნდა ფლობდეს და აკონტროლებდეს ნარმოების და მეურნეობის გარკვეულ სფეროებს;

¹⁴ saqarTvelos ekonomikisa da mdgradi ganviTarebis saminstro, makroekonomikuli maCveneblebi, <http://www.economy.ge/ge/economic-data/macroeconomic-indicators> nanaxia (10.04.2015)

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, სახელმწიფო მფლობელობაში არსებული საწარმოები, შენობა-ნაგებობები თუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულები ეტაპობრივად, პრივატიზაციის პროცესის მეშვეობით, კერძო მფლობელობაში გადადის. პრივატიზაციის პროცესი საქართველოში 1993 წლიდან დაიწყო, თუმცა, 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ მოსულმა მ. სააკაშვილის ხელისუფლებამ ერთ-ერთ ძირითად პოლიტიკად პრივატიზაციის დაჩქარებული ტემპებით გატარება დასახა. სახელმწიფო მფლობელობაში არსებული საწარმოების კერძო მფლობელობაში გადასვლა ეკონომიკური წინსვლის უმთავრეს კომპონენტად იქნა მიჩნეული. პრივატიზაციიდან შემოსულმა თანხებმა მაქსიმუმს 2004-2005 წლებში მიაღწია, როდესაც სახელმწიფო ქონების გასხვისების ყველაზე აქტიური ფაზა განხორციელდა.

„სახელმწიფოს ნილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები (სახელმწიფო საწარმოები) ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის სტაბილურობას განსაზღვრავენ და შეუძლიათ ქვეყნის მდგრად განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყონ ხელი.¹⁵ 2014 წლის მონაცემებით, საქართველოში 344 სახელმწიფო საწარმოა¹⁶, რაც, თავისთავად, არცთუ დაბალი მაჩვენებელია. თუმცა, მნიშვნელოვანია არა იმდენად მოცემული ტიპის საწარმოების რაოდენობა, რამდენადაც მათი სარგებლიანობის ხარისხი და ეკონომიკური საქმიანობის მაღალი მაჩვენებელი. სახელმწიფო საწარმოების ეფექტიანობის მართვის აუდიტის უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, შესწავლილი სახელმწიფო საწარმოებიდან მხოლოდ 2 იმყო-

¹⁵ OECD; Comparative Report on Corporate Governance on State Owned Enterprises; 2006, გვ. 27

¹⁶ სახელმწიფო საწარმოების მართვის და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტი, ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში 2015წ, გვ.6, <http://sao.ge/files/auditi/efeqtianobis-angarishi/2015/sacarmota-martva.pdf> (20.09. 2014)

ფება კარგ მდგომარეობაში, ხოლო უმეტესი მათგანი, დაახლოებით 75 %, მძიმე ფინანსურ მდგომარეობაშია.¹⁷

დაახლოებით მსგავსი სიტუაციაა სასოფლო-სამეურნეო მიწებთან მიმართებაშიც. 2012 წლისთვის, სასოფლო-სამეურნეო მიწების 75% სახელმწიფოს საკუთრებაში იმყოფებოდა (ამისგან განსხვავებით, სახნავი მიწების გაცილებით დიდი წილი პრივატიზებულია – 55 %), თუმცა, უაღრესად დაბალია ამ მიწებიდან მიღებული მარგი ქმედების კოეფიციენტი.

ამგვარად, მიუხედავად სახელმწიფო საწარმოებისა და სახელმწიფო სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების საკმაოდ მაღალი წილისა, რეალურად, მათი ქმედითუნარიანობა დაბალია. მაგალითისთვის, შვედეთში, რომელიც სოციალური კეთილდღეობის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ შემთხვევად ითვლება, სახელმწიფო საწარმოთა რაოდენობა მხოლოდ 44-ია, თუმცა პრაქტიკულად ყველა მათგანი ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანია.

4. სახელმწიფოს მიერ სოციალური პოლიტიკის გატარება (ან, ამის აშკარა მცდელობა), რაც მიზნად ისახავს სოციალური სამართლიანობის დამყარებას. ერთი მხრივ, მინიმალური საერთო სიკეთეებით ყველას უზრუნველყოფა, მეორე მხრივ კი, სოციალური დაცულობის შექმნა – სოციალური სამართლიანობის დამყარების გზაზე უმნიშვნელოვანესი ამოცანებია.

სოციალური უზრუნველყოფის ქსელი საქართველოში პირველად 2004 წელს შეიქმნა. ორი წლის შემდეგ, 2006 წელს ამოქმედდა მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის იყო განკუთვნილი. მოცემულმა პროგრამამ, მიუხედავად მასში არსებული არაერთი ხარვეზისა, გარკვეულწილად ხე-

¹⁷ იქვე, გვ. 12

ლი შეუწყო 2009-2011 წლებში სიღარიბის ფარდობითი მაჩვენებლის შემცირებას.

2012 წლის არჩევნების შემდეგ, ხელისუფლებაში მოსულმა პოლიტიკურმა ძალამ ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად სოციალური დახმარებების სისტემის გაუმჯობესება და საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბება დაისახა.

„სოციალური უზრუნველყოფის სფეროში საქართველოს მთავრობის პოლიტიკაა სოციალური დაცვის სისტემის შექმნით უზრუნველყოს ადამიანთა ღირსეული ცხოვრებისა და შრომის პირობები, შეამციროს მოსახლეობის სიღარიბითა და ხანდაზმულობით გამოწვეული სოციალური რისკები და ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და სხვა მონყვლად ჯგუფებს, მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში“¹⁸ – ნათქვამია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში. ამ მიმართულებით, საკმაოდ ქმედითი ნაბიჯებიც გადაიდგა: გაორმაგდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისთვის გამოყოფილი დახმარება და გაიზარდა დევილთა და ლტოლვილთა შემწეობები. მეორე მხრივ, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში 2013 წლიდან პირველად ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის სისტემა. 2013-2014 წლებში ბიუჯეტის ძირითადი აქცენტები სწორედ სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ზრდაზე გაკეთდა. ჯანდაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილი ბიუჯეტი 2015 წელს 2 მილი-

¹⁸ საქართველოს მთავრობის დადგენილება N400, 2014 წლის 17 ივნისი, ქ. თბილისი, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე, გვ. 50 http://www.economy.ge/uploads/kanonmdebloba/strategia_2020/saqartvelo_2020.pdf ნანახია (10.09.2014)

არდ 700 მილიონი ლარამდე გაიზრდება,¹⁹ საიდანაც 661 მილიონი საყოველთაო ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებისთვის იქნება განკუთვნილი.

მიუხედავად ჯანდაცვის სექტორში დაფინანსების ზრდისა, ფაქტია, რომ საქართველოში სოციალურ სფეროზე გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების წილი ჯერაც მეტად მწირია. შესაბამისად, სოციალური ფონი ქვეყანაში ადექვატურია. მაგალითისთვის, ევროკავშირის 15 ქვეყანაში სოციალურ დაცვაზე გამოყოფილი თანხები საშუალოდ მშპ-ს 21%-ს შეადგენს, მაშინ, როცა საქართველოში იმავე მიზნებით გამოყოფილი თანხები 2006-2007 წლებში შეადგენდა მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 4.5%-ს, 2013 წლის მონაცემებით კი, ეს მაჩვენებელი 5.7 %-მდეა გაზრდილი²⁰.

5. ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა.

აქტიური, ქმედითუნარიანი სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი ფუნქცია ხელისუფლების მიერ საზოგადოებისთვის გაცემული დანაპირებების განხორციელებაზე მონიტორინგია. ქმედითი სამოქალაქო საზოგადოების არსებობის პირობებში, გარკვეულწილად, სახელმწიფო სოციალურად ორიენტირებული პოლიტიკის გამტარებელ იარაღად იქცევა.

სამოქალაქო სექტორის ძირითადი სეგმენტი საქართველოში (ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში), არასამთავრობო ორგანიზაციებია. 2014 წლის მონაცემებით, დარეგისტრირებულია 9000-მდე არასამთავრობო

¹⁹ 2015 წლის ბიუჯეტში ჯანდაცვაზე გამოყოფილი თანხები 980 მილიონი ლარით აღემატება იმავე მიზნებისთვის 2012 წლის ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს.

²⁰ სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მთლიანი შიდა პროდუქტი 2013 წელს, გვ.3

http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/pres-relizi_2013_GEO_daz.pdf ნანახია (20.11.2014)

ორგანიზაცია, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმე ათეული თუა მოქმედი. საქართველოში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ძირითადად, ადამიანის უფლებათა დაცვის, საგანმანათლებლო და სამოქალაქო განათლების, სოციალური კეთილდღეობისა და ჯანდაცვის პრობლემებზეა მიმართული. ასევე, არასამთავრობო სექტორის აქტივობა თვალშისაცემია საარჩევნო პროცესებზე დაკვირვებისა და მონიტორინგის, ისევე როგორც, ზოგადად, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე აქცენტირების კუთხითაც. უკანასკნელ პერიოდში, ამჟამად იმატა გარემოსა და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის თემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობებმაც.

გარდა აქტივობის სფეროს გაფართოებისა, 2012 წლიდან გაიზარდა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებსა და ხელისუფლებას შორის კომუნიკაციის ხარისხი და სიხშირეც. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც სამოქალაქო სექტორის როლისა და ფუნქციების, ასევე პოლიტიკაზე ზემოქმედების მექანიზმების გაზრდასაც გულისხმობს, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაზრდის არასამთავრობო სექტორის აქტივობას და, შესაბამისად, ხელისუფლებითვისაც აღნიშნული სექტორი უფრო ანგარიშგასაწევ ძალად იქცევა.

6. სამართლებრივი სახელმწიფო და სოციალური სახელმწიფოს იდეის სამართლებრივ დონეზე გამყარება. საკანონმდებლო დონეზე, კერძოდ კი, საქართველოს კონსტიტუციაში, ცხადად და ცალსახად დეკლარირებულია როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს შექნის იდეა, ასევე სოციალური სახელმწიფოს მშენებლობის მიზნებიც.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ კამათი სოციალური სახელმწიფოს იდეის გარშემო კვლავაც არ წყდება და როგორც უკვე აღვნიშნეთ – სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის ძალები სხვადასხვა მხრიდან აკრიტიკებენ მას, თანამედროვე სამართლის სპეციალისტები, სახელმწიფოს თეორეტიკოსები თუ სოციოლოგები თანხმდებიან, რომ სახელმწიფოდ ორგანიზებულ ადამიანთა ერთობას აკისრია ვალდებულება – დაეხმაროს საკუთარ მოქალაქეებს, როცა ამას თავად ისინი საკუთარი ძალებით ვერ ახერხებენ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, ასევე ყველა უპირობოდ თანხმდება, რომ ნებისმიერი ქმედითუნარიანი ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, თავად უნდა ზრუნავდეს საკუთარი კეთილდღეობისთვის.

როგორც უკვე ვნახეთ, საქართველომ სოციალური კეთილდღეობის იდეის ცხოვრებაში გატარების კუთხით, უკანასკნელ პერიოდში არაერთი ნაბიჯი გადადგა. გარკვეულ ასპექტებში თვალშისაცემია დადებითი ძვრები: დემოკრატიის ხარისხის ზრდა, სოციალური პროგრამებისა და ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების მატება, სამოქალაქო სექტორის მეტ-ნაკლები გაძლიერება; თუმცა, საერთო ჯამში, ეკონომიკური ზრდის შედარებით დაბალი მაჩვენებლების ფონზე, როდესაც სახელმწიფოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლები არცთუ ისე სახარბიელოა, სოციალური სახელმწიფოს იდეის ნარმატივული გატარება შესაძლოა, საფრთხის ქვეშ დადგეს.

და ბოლოს, სოციალური სახელმწიფოს იდეის ცხოვრებაში განხორციელება არ განეკუთვნება მხოლოდ ეკონომიკურ ან პოლიტიკურ მოვლენათა რანგს. როგორც ხშირად აღნიშნავენ, ეს ამავდროულად, ზნეობრივი პროცესიცაა, რომელიც ეკონომიკური ტიპის რეფორმებსა და პოლიტიკური ნების პარალელურად, აუცილებლად გულისხმობს ადამიანურ განზომილებებსაც.

SOCIAL POLICY IN CONTEMPORARY GEORGIA

It is possible to speak about social state as a special political and legal phenomenon only when the socially oriented policy becomes leading in a state. Despite the fact that the idea of welfare state has its origins in the late XIX century, the real implementation date of the social state should be considered from the middle of XX century.

The government of Georgia, which is heading for the integration in Europe, has an ambition of constructing a social state.

In our article we are overviewing Georgia's indicators of social policy and its development perspectives.

Typically, a number of instruments are singled out, which are often considered as necessary conditions for the social state. These conditions are:

1. Democratic organization of state power
2. Strong economic potential of the state
3. Socially oriented economic structure of the state
4. Pursuing the social policy by state with the final goal of achieving the social justice
5. The existence of strong civil society
6. The existence of legal state and ideas of social state

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს,
<http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68> (09.09.2014)

2. Gosta Esping Andersen, (1990) The Three Worlds of Welfare Capitalism, Princeton University Press, p.12
3. „ფრიდომ ჰაუსი“: საქართველოში დემოკრატიის ხარისხი გაუმჯობესდა“ <http://www.radiotavisupleba.ge/content/html> ნანახია (14.07.2015)
4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მაკროეკონომიკული მაჩვენებლები, <http://www.economy.ge/ge/economic-data/macro-economic-indicators> ნანახია (10.04.2015)
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება N400 2014 წლის 17 ივნისი ქ. თბილისი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე, გვ.13 <http://www.economy.ge/ge/economic-data/macro-economic-indicators> ნანახია (10.09.2014)
6. OECD; Comparative Report on Corporate Governance on State Owned Enterprises; 2006, გვ. 27
7. სახელმწიფო საწარმოების მართვის და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტი, ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში 2015წ, გვ.6, <http://sao.ge/files/auditi/efeqtianobis-angarishi/2015/sacarmota-martva.pdf> ნანახია (20.09. 2014)
8. სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მთლიანი შიდა პროდუქტი 2013 წელს, გვ.3 http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/pres-relizi_2013_GEO_daz.pdf ნანახია (20.11.2014)

მცოცავი ანექსიით დაზარალებული სოფლების კვლევა

უკვე ოც წელზე მეტია, რუსეთი სხვადასხვა ფორმით ცდილობს საქართველოს დაპყრობას და მსოფლიოს პოლიტიკური სივრციდან მისი სახელმწიფოებრიობის სრულ ამოშლას. ეს მიზანი XIX საუკუნის დასაწყისსა და XX საუკუნის 20-იან წლებში მიღწეულ იქნა კიდევ. მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, რუსეთის მხრიდან კვლავაც ადგილი აქვს საქართველოს აღდგენილი სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის მოშლის მცდელობას.

სახეზეა ეთნიკური კონფლიქტები ცხინვალსა და აფხაზეთში, ომი აფხაზეთში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, ქვეყნის ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია და კიდევ უფრო რთული, ომის შემდგომი 6 წლიანი პერიოდი – ე.წ. ხელოვნური საზღვრები, მავთულხლართები და მცოცავი ანექსია, რომელიც ჩვენი ქვეყნისა და მოსახლეობისთვის ომზე არანაკლებ საფრთხეს წარმოშობს.

ომის შემდგომი პერიოდი განსაკუთრებულად მძიმეა ე.წ. საზღვრისპირა სოფლებისთვის, რომელთა მდგომარეობისა და ყოფის შესწავლა დღევანდელი გამოკვეთილ და რეალურ სურათს იძლევა.


საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მზრუნველობის პაკეტით დახმარება უკვე დასრულებულია. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ (ფონდი „ტასო“, ცენტრი „აფხაზეთი“) განხორციელებული ერთჯერადი პროექტები დადებითი იმპულსია, მაგრამ ეკონომიკური განვითარების სასურველ შედეგს მაინც ვერ იძლევა (პროექტის დასრულებასთან ერთად, პრო-

ცესიც სრულდება). სახელმწიფოს გრძელვადიანი პროექტები, სამწუხაროდ, არ ხორციელდება.

მოსახლეობა კი კვლავ საჭიროებს ხელშეწყობასა და დახმარებას – განსაკუთრებით, ახალგაზრდობა, რათა არ მოხდეს ამ სოფლების დაცლა ან მხოლოდ მოხუცების ამარა დარჩენა და რუსეთმა მცოცავი ანექსია სწრაფად და ოპერატიულად არ განახორციელოს. მოცემული მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანია ე.წ. „სასაზღვრო სოფლების“ სიტუაციური ანალიზი, არსებული პრობლემების გამომწვევი მიზეზების გამოვლენა-დადგენა და არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებელი გზების ძიება.

კვლევა განხორციელდა ე.წ საზღვრისპირა სოფლებში. კვლევის ტერიტორიული საზღვრები მოიცავს გორისა და ქარელის რაიონებს. ეს სოფლებია: დიცი, გუგუთიანთკარი, ბერშუეთი, დვანი, კირბალი. კვლევის ობიექტები არიან ჩამოთვლილ სოფლებში მცხოვრები ადამიანები (იხილეთ სტატისტიკური მონაცემები).

საქართველოს ტერიტორია – 2008-2014 წლების მონაცემებით



კვლევისთვის გამოყენებულია შემთხვევითი ანალიზის მეთოდი, პირადი ვიზიტები და ჯგუფური შეხვედრები. კვლევისთვის საჭირო ინფორმაცია მივიღეთ უშუალოდ მოსახლეობისგან, კერძოდ კი, აქტიურ ადამიანებთან ურთიერთობის შედეგად. გამოიკითხა 147 ადამიანი. დამატებით, ჯგუფურ საუბრებში, მეორდებოდა ინდივიდუალური გამოკითხვისას მონოდებული ინფორმაციები. ამიტომ, უფრო მეტი ადამიანის გამოკითხვის საჭიროება აღარ არსებობდა.

გამოკითხვისას ყველაზე აქტიურ ფენას ქალები წარმოადგენდნენ, თუმცა, მათ არც ადგილობრივ ხელისუფლებაზე და არც მიმდინარე პროცესებზე არანაირი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ.

რა ინვესტს სოციალურ-ეკონომიკურ ნიჰილიზმს?

1. შენარჩუნებული მინების დასამუშავებლად გლეხებს არ აქვთ სარწყავი წყალი;

2. ფაქტობრივად, არ არსებობს გაჭირვებით მონეული მოსავლის სარეალიზაციო ბაზარი;

3. გამყოფ ხაზს მიღმა აღმოჩნდა სახნავ-სათესი მინები, საძოვრები და ხეხილი. სანაცვლოდ მოსახლეობას არანაირი კომპენსაცია არ მიუღია;

4. გაჩერებულია წარსულში საკმაოდ ეფექტურად მომუშავე წარმოებები;


5. მინები საჯარო რეესტრში ჯერ კიდევ არ არის რეგისტრირებული, რაც ოკუპანტებს მის მიტაცებას უადვილებს.

მოსახლეობის ნიჰილიზმს ისიც ამძაფრებს, რომ პოლიტიკური პარტიები ადგილობრივ არჩევნებში კანდიდატებს მათთან უშუალო ურთიერთობის გარეშე ასახელებენ და, შესაბამისად, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, კანდიდატები მიიჩნევენ, რომ პასუხისმგებლები მხოლოდ პარტიისა და ხელისუფლების წინაშე არიან, ხოლო ამომრჩეველი თითქმის იგნორირებულია (თუ არ ჩავთვლით მასობრივ შეხვედრებში მონაწილეობას).

ჩატარებულმა კვლევამ თითოეული სოფლისთვის ინდივიდუალური პრობლემები წარმოაჩინა და გვაჩვენა, რომ ადგილებზე კვალიფიციურ მოხელეთა დეფიციტია. მმართველობითი ჯაჭვი მხოლოდ ვერტიკალზეა აგებული და არ ხორციელდება დეცენტრალიზაციის პრინციპები.

გამოკითხულთა 90%-მა უმთავრეს პრობლემად უსაფრთხოება დაასახელა. მოსახლეობაში დაუცველობის განცდა და კონფლიქტის განახლების შიში სუფევს. მოცემულის საფუძველს საზღვრის ძალადობრივი გზით შეცვლა და შეშის ქრისა თუ საქონლის საძოვარზე გაყვანისას ადამიანების ხშირი გატაცებები იძლევა.

დღის წესრიგში დგება სამოქალაქო აქტივობის გაზრდა „საზღვრისპირა სოფლებში“, რის საშუალებებადაც შემდეგი გვესახება:



მოცემულ ვითარებაში, მნიშვნელოვანია მმართველობით რგოლში კვალიფიციური ადგილობრივი კადრების ჩაბმა (ასეთი კადრები ჯერ კიდევ მოიძებნება სოფლებში), რომელთა პირდაპირი მოვალეობა გრძელვადიანი პროექტების შექმნისა და მოზიდვის ხელშეწყობა და ადგილებზე მოსახლეობის დენადობის შეჩერება უნდა იყოს. ეს, საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება განვითარებასა და აღმშენებლობაზე.

THE SURVEY OF VILLAGES AFFECTED BY THE CREEPING ANNEXATION

It is already more than twenty years that Russia continues to capture Georgia in various forms and to remove its statehood from the world map. Russia destroyed statehood and territorial integrity of the country that was restored in the nineties of 20th century.

Nowadays in Georgia we face ethnic conflicts in Abkhazia and South Ossetia, in result of these conflicts 20% of the country is occupied. Moreover, difficult 6-year post-war period – so called “artificial borders”, wire fences and creeping annexation are thought to be more dangerous than war for our country and population.

The population still needs support and assistance, especially youth, so that they don’t leave villages. Not only elderly people but people of all generations should stay there. If only elderly are left in this case creeping annexation will be carried out more quickly and efficiently by Russia. In accordance with these circumstances the survey was conducted to analyze situation, to reveal reasons of existing problems, to identify and find ways for improving current situation in so called “bordering villages”.

The survey was conducted in Gori and Kareli districts. The target group of the survey are people from the following villages: Ditsi, Gugutiaantkari, Bershueti, Dvani, Kirbali. 147 people were interviewed.

What causes social-economic nihilism?

1. Farmers do not have irrigation water to cultivate preserved land.

2. There is no market for selling harvest.

3. There is no compensation give to the peasants whose agricultural lands, pastures and fruit gardens stayed beyond “border line”.

4. System of small industries that were rather effective and profitable in the past are now terminated.

5. Lands are not yet registered in the Public Registry Service that makes it easier for occupants to capture.

Nihilism in the population is deeper, because the winner candidates in the elections consider that they are responsible only to their political party and government and electorate is almost neglected, they are only remembered during pre-election campaigns and public meetings.

In such situation it is important to involve qualified local staff (who are still in villages) in governance. Their direct obligation is to stop the flow of local population.

გენდერული თანასწორობა საქართველოში

"ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვაღია" – შოთა რუსთაველის ეს გენიალური სიტყვები ჯერ კიდევ XII საუკუნეში გაჟღერდა უკვდავ ნაშრომში, "ვეფხისტყაოსანი" და ამით, თითქოს, ხაზი გაესვა ქალისა და მამაკაცის თანასწორობას იმ სოციალურ გარემოში, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ.

მართალია, "გენდერი" იმ დატვირთვით, რასაც დღეს ვიყენებთ, შუა საუკუნეებში უცხო ტერმინი იყო, მაგრამ თანასწორობაზე მინიშნება გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ საქართველოში ამ საკითხზე ფიქრი ჯერ კიდევ ზემოთ აღნიშნული პერიოდიდან იწყება.

გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო დონეზე სამართლებრივ რეგულირებას არცთუ ისე დიდი ისტორია აქვს.

დამოუკიდებლობის აღდგენის, კონსტიტუციის შემუშავების და სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციასთან მიერთების შემდეგ, ქვეყნის ხელისუფლებამ გენდერულ თანასწორობაზე ეტაპობრივი მუშაობა და ამ მიმართულებით სათანადო ღონისძიებების განხორციელებაც დაიწყო.

ქალისა და კაცის თანასწორობა 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა. თუმცა, ქვეყანაში არსებული რეალობა და სტატისტიკური მონაცემები გენდერულ თანასწორობასთან მიმართებით არსებულ სრულიად განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს. სწორედ ამიტომ, წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ქვეყანაში მიმდინარე პროცესები გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით განიხილოს და მოცემული კუთხითვე

განალიზოს საქართველოში დღეს არსებული სტატისტიკური მონაცემები თუ მოქმედი საკანონმდებლო აქტები.

გენდერული თანასწორობის სურათი საქართველოში

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, გენდერული თანასწორობა ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

გასულ საუკუნეებში გენდერული თანასწორობის თემა სრულიად უცხო იყო. საზოგადოება არც კი მიიჩნევდა მნიშვნელოვნად ქალისა და მამაკაცის თანაბარ უფლებებზე საუბარს. პროტესტსაც არავინ გამოთქვამდა ქალის უუფლებობასთან დაკავშირებით. თუმცა, დემოკრატიის საყოველთაო გავრცელებამ წინ წამოსწია სქესთა შორის თანასწორობის აუცილებლობის საკითხი და ხელი შეუწყო ამ პრობლემით საზოგადოების დაინტერესებას.²¹

ტერმინი "გენდერი" სქესის სოციალური აღქმაა, რაც გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე, ხოლო გენდერულ თანასწორობაში კი ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლება – მოვალეობები მოიაზრება, სადაც პასუხისმგებლობა და თანასწორუფლებიანი მონაწილეობა პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გარანტირებული უფლებაა.

თანამედროვე საქართველოში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით ძალიან ცოტა სამეცნიერო კვლევა არსებობს და ისიც კი, რომელიც სახეზეა, მოსახლეობისთვის ნაკლებადაა ცნობილი.²²

შესაძლოა, ეს იმით არის განპირობებული, რომ საქარ-

²¹ ახალგაზრდა სოციალისტები <http://www.ysg.ge/?73/147/&pp=25> ნანახია (15/01/2015)

²² რეხვიაშვილი ლ. გენდერული თანასწორობა – ქართული საზოგადოების შეხედულებები <http://ww.liberali.ge/ge/liberali/articles/112353/> ნანახია (15.12.2014)

თველოში მხოლოდ უკანასკნელი 16 წელია, რაც ქვეყნის ხელისუფლებამ ეროვნული გენდერული პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე ფიქრი და ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო.

1994 წელს საქართველო შეუერთდა კონვენციას ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც, ფაქტობრივად, საქართველოს ეროვნული გენდერული პოლიტიკის ჩამოყალიბების ძირითად საფუძვლად იქცა. შეიძლება ითქვას, რომ 1998 წლიდან მოყოლებული, ეროვნული სამოქმედო გეგმები იმგვარი ქმედებების შემუშავებზე იყო ორიენტირებული, რომელიც ხელს შეუწყობდა მომავალში ქალთა გაძლიერებას და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას, რადგან თვლიდნენ, რომ საქართველოში გენდერულ ჭრილში თანასწორობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარებას.²³

თუმცა, ფაქტი უტყუარია – გენდერული თანასწორობის კუთხით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასარეგულირებელი და შესაცვლელი.

სამწუხაროა, მაგრამ საქართველოში გენდერული უთანასწორობის საკითხი მაინც დგას. ეს ნათლად გამოჩნდა გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში შემუშავებული გენდერული უთანასწორობის ინდექსის მაჩვენებლით, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ 137 გამოკითხულ ქვეყანას შორის საქართველო 71-ე ადგილს იკავებს.²⁴

ტერმინი, "გენდერული თანასწორობა", საქართველოში

²³ სამოქალაქო განათლების გზამკვლევი IFES.2014.

http://cela.ge/ge/system/files/efes_brochure_geo_f.pdf
ნანახია (15.12.2014)

²⁴ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2014 წ. საქართველოს შრომის კანონმდებლობის ანალიზი–დასაქმების ადგილზე სქესის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია და მისი სამართლებრივი შედეგები. ნანახია (10/01.2015)

საზოგადოების უმეტესობის მიერ არასწორად არის აღქმული და მათთვის "თანასწორობა" ქალისა და მამაკაცის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების თანასწორობასთან ასოცირდება. მიიჩნევა, რომ ქალი და მამაკაცი ვერასოდეს გაუტოლდება ერთმანეთს, რადგან "მამაკაცი ბევრად ძლიერი და ჭკვიანია ქალზე და თანასწორობა მათ შორის წარმოუდგენელია".²⁵ თუმცა, აბსოლუტურად საპირისპიროა გენდერული თანასწორობის განმარტება. გენდერული თანასწორობა გულისხმობს, რომ ქალი და მამაკაცი უნდა სარგებლობდეს თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, მათ უნდა ჰქონდეთ თანაბარი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს, რადგან ის უზიძგებს სხვადასხვა ინსტიტუტს – გაზარდოს შრომის ნაყოფიერება, ხელი შეუწყოს მომავალი თაობების განვითარებას. ასევე, უზრუნველყოფს ინსტიტუტებს შორის ბალანსის დაცვას.

გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებების არსებით პრინციპს წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-7 მუხლის თანახმად, "ყოველი ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე, განურჩევლად რაიმე განსხვავებისა".²⁶ აქედან გამომდინარე, გენდერული თანასწორობა ორიენტირებულია ქალსა და მამაკაცს შორის პროფესიულ, სოციალურ, პოლიტიკურ და საოჯახო საკითხებ-

²⁵ რატომ ეშინია კაცს გენდერული თანასწორობის?

<https://dreamar.wordpress.com/2010/07/10/%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/> ნანახია (01.01.2015)

²⁶ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია– 1948წ, 10 დეკემბერი

თან მიმართებაში თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე.²⁷

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი სრულად ეხმიანება ადამიანის უფლებათა დეკლარაციით განსაზღვრულ ნორმას, რომელიც უზრუნველყოფს თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპებს ნებისმიერი ნიშნით – განურჩევლად რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული და წოდებრივი მდგომარეობის თუ საცხოვრებელი ადგილისა. თუმცა, ამ უფლებებით სრულად სარგებლობისთვის მხოლოდ ეს არ არის საკმარისი, რადგან ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციით თანასწორუფლებიანობის პრინციპი ზოგადად არის აღიარებული. სახელმწიფო ცალსახად ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს.²⁸

საქართველოში დღეს მოქმედი "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონის თანახმად, გარანტირებულია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის,

²⁷ სამოქალაქო განათლების გზამკვლევი, IFES. 2014.

http://cela.ge/ge/system/files/efes_brochure_geo_f.pdf
ნანახია (15.12.2014)

²⁸ კერესელიძე თ. 2014წ. საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი – დასაქმების ადგილზე სქესის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია და მისი სამართლებრივი შედეგები, თბილისი: საია.
ნანახია (02.01.2015)

შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამობატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების თუ სხვა ნიშნის მიუხედავად.²⁹

გენდერულ თანასწორობას საკანონმდებლო დონეზე კიდევ უფრო დეტალურად ანესრიგებს კანონი "გენდერული თანასწორობის შესახებ", რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2010 წელს მიიღო. აღნიშნული კანონით განმტკიცდა სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორობის პრინციპი და უზრუნველყოფილ იქნა თანასწორობის მისაღწევად სამართლებრივი გარანტიების შექმნა.³⁰ კანონი აღიარებს სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორობას სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, ისეთებში, როგორცაა შრომითი ურთიერთობები, განათლებისა და მეცნიერების სფერო, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სფერო, საოჯახო ურთიერთობები, საინფორმაციო რესურსებით სარგებლობა, სარჩევნო უფლებების რეალიზაცია და სხვ.³¹

აღნიშნული კანონის თანახმად, საქართველოს პარლამენტში შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭო, როგორც მუდმივმოქმედი ორგანო, რომელმაც გარკვეული ნაბიჯები გადადგა ქვეყანაში თანასწორობის უზრუნველყოფის მისაღწევად. მათ შეიმუშავეს გენდერული პოლიტიკა და თავის თავზე აიღეს მონიტორინგის ფუნქციებიც. საბჭოს შემადგენლობაში შედის პარლამენტის 12 წევრი, ხოლო

²⁹ საქართველოს კანონი "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" მაისი, 2014 წ. N2391– III

³⁰ არჯევანიძე ნ. გენდერული თანასწორობა – საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის მიმოხილვა.

http://css.ge/files/documents/publications/Nargiza_Arjevanidze,_Gender_Equality_-_legislation,_August_2012_Geo.pdf ნანახია (14.02.2015)

³¹ ხომერიკი ი., ჯავახიშვილი მ., აბრამიშვილი თ. (2012) გენდერული თანასწორობის საკითხები საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას

http://cciiir.ge/upload/multi/geo/1355300618_genderuli%20%20tanasworobis%20sakitxebi%202012%20BOLO.pdf

საბჭოს ხელმძღვანელობას უნევს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი. გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სტრუქტურასთან – მთავრობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან.³²

საბჭოს საქმიანობის პერიოდში, 2014 წლის 24 იანვარს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო "საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ დადგენილება, რომელიც მიზნად ისახავდა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას სხვადასხვა სფეროში. კერძოდ: ადგილობრივი თვითმმართველობის, სასჯელაღსრულებისა და პენიტენციური, გარემოს დაცვის და ჯანდაცვის სისტემებში. სხვადასხვა ინსტიტუტში გენდერული თანასწორობის წახალისების მიზნით, სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საქართველოში მოქმედ სამინისტროებს დაევაღათ, გადაედგათ ქმედითი ნაბიჯები მათ სისტემაში გენდერული ბალანსის უზრუნველსაყოფად, რისთვისაც ისინი მიიღებდნენ დაფინანსებას.³³

2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით, თითქოს, მოხერხდა ქვეყნის შრომით ბაზარზე გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული პრობლემების დარეგულირება. გატარებული ცვლილებების მიხედვით, დაუშვებელია ნებისმიერი დისკრიმინაცია სხვადასხვა ნიშნის – "რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრე-

³² სამოქალაქო განათლების გზამკვლევი, IFES. 2014.
http://cela.ge/ge/system/files/efes_brochure_geo_f.pdf
ნანახია (15.12.2014)

³³ სამოქალაქო განათლების გზამკვლევი, IFES. 2014.
http://cela.ge/ge/system/files/efes_brochure_geo_f.pdf
ნანახია (15.12.2014)

ბელი ადგილის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირებისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო."³⁴

ორგანული კანონით დარეგულირდა ქალისა და მამაკაცის თანაბარი ხელმისაწვდომობა დასაქმებაზე წინასახელშეკრულებო შრომით – სამართლებრივ ურთიერთობებში; ამასთანავე, უზრუნველყოფილ იქნა შრომის თანაბარი პირობები ხელშეკრულების დადების შემდეგაც.

ერთი შეხედვით, ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი აქტების მიმოხილვით, ნათლად დავინახეთ, რომ საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობა, de jure თვალსაზრისით, აღიარებს სქესთა შორის თანასწორობის პრინციპს, თუმცა, de facto თვალსაზრისით, გენდერული თანასწორობის საკითხი კვლავ პრობლემად რჩება.³⁵

გენდერული თანასწორობის ეროვნული პოლიტიკის არსებობის მიუხედავად, ამ მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები მაინც არ შეიმჩნევა.

გაეროს განვითარების პროგრამის 2013 წლის კვლევის მიხედვით ირკვევა, რომ წლების მანძილზე, საზოგადოების დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ არ შეცვლილა. საქართველოს მოსახლეობის 88% მიიჩნევს, რომ კაცი უნდა იყოს ოჯახის მარჩენალი. ქალების 62% და კაცების მხოლოდ 37% ფიქრობს, რომ ქალი და კაცი თანაბრად უნდა იღებდნენ გადაწყვეტილებას ოჯახში.³⁶

³⁴ საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსი 2010 წ. 17 დეკემბერი N4113

³⁵ ბუროუსი გრ, და სხვანი "დემოკრატია და მოქალაქეობა" 2011 წელი. გვ. 214–217

³⁶ UNDP საქართველოში. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოში (მიმოხილვა)

ამასთან, ევროკავშირის 2013 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ კულტურული სპეციფიკის გათვალისწინებით, პრობლემურია ქალთა ჩართულობა შრომით -სამართლებრივ ურთიერთობებში, რასაც მოწმობს დაუსაქმებელ ქალთა საკმაოდ მაღალი სტატისტიკური მაჩვენებელი – თითქმის 75%.³⁷

ასევე, საინტერესოა ქალთა ჩართულობის მაჩვენებელი პოლიტიკურ ასპარეზზე.

2014 წლის მონაცემებით, გენდერული თანასწორობის მთავარ გამონვევად კვლავ რჩება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი.³⁸

თუკი გადავხედავთ სტატისტიკას, დავინახავთ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ქალების მხოლოდ 12% იქნა არჩეული; 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს 23 საპრეზიდენტო კანდიდატს შორის მხოლოდ სამი იყო ქალი; დღესაც კი, საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში 19 მინისტრიდან მხოლოდ 3 ქალბატონი იკავებს მინისტრის თანამდებობას.³⁹

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ამომრჩეველთა 51% ქალი იყო. პროპორციული სისტემის საფუძველზე, საარჩევნო სიებში მხოლოდ 33% ქალი

http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/operations/projects/democratic_governance/enhancing-gender-equality-in-georgia/

ნანახია (11.02.2015)

³⁷ კერესელიძე თ. 2014წ. საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი – დასაქმების ადგილზე სქესის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია და მისი სამართლებრივი შედეგები. თბილისი: საია. ნანახია (02.01.2015)

³⁸ საქართველოს სახალხო დამცველი ნანახია (2014) გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები

<http://www.ombudsman.ge/ge/news/genderuli-tanasworoba-da-qalta-uflebebi.page> ნანახია (01.02.2015)

³⁹ სამოქალაქო განათლების გზამკვლევი, IFES. 2014.

http://cela.ge/ge/system/files/efes_brochure_geo_f.pdf

ნანახია (15.12.2014)

ფიგურირებდა. არჩევნების შედეგად კი, ადგილობრივ თვითმმართველობაში მანდატების მხოლოდ 15% გადანაწილდა ქალებზე. მაჟორიტარული სისტემით, ქალები კანდიდატთა 15% შეადგენდნენ, გამარჯვებულ მაჟორიტარებს შორის კი მხოლოდ 8% იყო ქალი.

აღნიშნული მაჩვენებლები, მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონთან და ქვეყნების უმრავლესობასთან შედარებით, ცალსახად ძალიან დაბალია. ამას ადასტურებს 2014 წლის მსოფლიო მონაცემები, სადაც ჩანს, რომ პარლამენტში ქალთა რაოდენობის მიხედვით, საქართველო 137 ქვეყნიდან 107-ე ადგილზეა.⁴⁰

სტატისტიკური მონაცემების გაანალიზების შედეგად, მივალთ იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ ქალები პასიური ხმის უფლებას იშვიათად იყენებენ და, შესაბამისად, გამარჯვებასაც უფრო ძნელად აღწევენ. რაც შეეხება სოციუმში ქალების მიერ აქტიური ჩართვისაგან თავშეკავებას, უმეტესობა ამ გარემოებას იმიტომ ხსნის, რომ ოჯახისადმი პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით არიან განმსჭვალულნი და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაურთველობა ოჯახური ცხოვრების პოლიტიკურ კარიერასთან შეთავსების სირთულეებს უკავშირდება. ამასთან, მიიჩნევენ, რომ ნაკლებია პოლიტიკური პარტიებისა თუ საკუთარი ოჯახების მხრიდან მხარდაჭერაც.⁴¹

იმისათვის, რომ ქვეყანაში რეალური ცვლილებები განხორციელდეს, აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად გარკვეული ღონისძიებების გატარება.

⁴⁰ პატარაია ბ., 2014. კვოტები ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაუმჯობესების ეფექტური მეთოდი.

<http://blogs.liberali.ge/ge/blog/1874/122280/> ნანახია(11.02.2015)

⁴¹ პატარაია ბ., 2014. კვოტები ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაუმჯობესების ეფექტური მეთოდი

<http://blogs.liberali.ge/ge/blog/1874/122280/> ნანახია (11.02.2015)

უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალე-
ბის აქტიური ჩართულობის მისაღწევად და გენდერული ბა-
ლანსის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია კვოტირების
სისტემის შემუშავება.

გაეროს ქალთა განვითარების ფონდის კვლევის შედე-
გად დადგინდა, რომ კვოტების გარეშე გენდერული თანას-
ნორობის მიღწევა განვითარებად ქვეყნებში შესაძლებელი
მხოლოდ 2047 წლისთვის იქნება, რითაც, კიდევ ერთხელ გა-
ესვა ხაზი კვოტების აუცილებლობას.⁴²

კვოტა, თავისთავად, გულისხმობს საარჩევნო სიაში ან
არჩევით ორგანოში ქალებისთვის გამოყოფილი ადგილების
მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას 20%-დან 50%-მდე.

სამწუხაროა, მაგრამ ბევრი მოქმედი პოლიტიკოსი მა-
მაკაცისთვის კვოტირების სისტემის შემოღება მათი პოლი-
ტიკიდან „გაძევების“ ინსტრუმენტად აღიქმება და ნაკლე-
ბად ფიქრობენ იმაზე, რომ პოლიტიკაში ქალთა რაოდენობის
ზრდა თითოეული კაცი პოლიტიკოსის დონემდე კი არ და-
დის, არამედ მოსახლეობის 54%-ის ინტერესის ასახვის შე-
საძლებლობას უკავშირდება.⁴³

მართალია, საქართველოში სავალდებულო კვოტირე-
ბის სისტემა არ მოქმედებს, მაგრამ ფართოდ გამოიყენება
ისეთი ღონისძიებები, რომელიც პარტიების ფინანსურ ნახა-
ლისებაზეა ორიენტირებული. კერძოდ, 2011 წელს მოქალა-
ქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონით, პარტი-
ების ფინანსური ნახალისების სისტემა დაინერგა. პარტია,
რომელიც პროპორციული საარჩევნო სიის ყოველ ათეულში
ორ ქალ კანდიდატს წამოაყენებდა, საბაზო დაფინანსების

⁴² პატარაია ბ., 2014. კვოტები ქალთა პოლიტიკური მონაწილეო-
ბის გაუმჯობესების ეფექტური მეთოდი,
<http://blogs.liberali.ge/ge/blog/1874/122280/> (11.02.2015)

⁴³ ბაგრატია თ., 2015. დავოსის ფორუმი, გენდერული კვოტა და
პოლიტიკური შიშები – (ცხვრის წლიდან – ქალის წლამდე)
<http://reportiori.ge/?menuid=48&id=52602&lang=1> ნანახია (11.02.2015)

10%-იან დანამატს მიიღებდა. 2014 წელს აღნიშნული საბიუჯეტო ნახალისება გაიზარდა და ყოველ ათეულში სამი ქალი კანდიდატის წარდგენის შემთხვევაში 30% შეადგინა.⁴⁴

თუმცა, მიუხედავად ამისა, ქალთა პოლიტიკური ჩართულობა საქართველოში 11%-ს მაინც არ აღემატება. შესაბამისად, ფინანსური წამახალისებელი ზომების შემოღებაც ნაკლებად მუშაობს ქვეყანაში. როგორც ექსპერტთა უმრავლესობა აღნიშნავს, აუცილებელია სავალდებულო კვოტირების შემოღება, რომელიც კონკრეტულ რიცხვზე/პროცენტზე იქნება ფიქსირებული და არა ზოგადი ხასიათის.⁴⁵ თუმცა, აქაც არსებობს გარკვეული შიში იმისა, რომ პოლიტიკური პარტიები საარჩევნო სიებში ქალთა მონაწილეობით "ადგილების შევსებაზე" იქნებიან ორიენტირებულნი და არა კვალიფიციური კადრების მოძიებაზე გადართულნი. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და პარტიების საარჩევნო პროგრამაში ქალთა საჭიროებების ასახვა.

2015 წელი, როგორც ეს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა, გამოცხადებულია "ქალის წლად" და ასევე, "ქალთა უფლებების დაცვის წლად". სწორედ ამიტომ, საჭიროა კონკრეტული ქმედითი ღონისძიებების განხორციელება და ქალების როლის გაძლიერება იმ სოციუმში, რომელშიც ისინი არსებობენ.⁴⁶

⁴⁴ პატარაია ბ., 2014. კვოტები ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაუმჯობესების ეფექტური მეთოდი

<http://blogs.liberali.ge/ge/blog/1874/122280/> ნანახია (11.02.2015)

⁴⁵ LIVERPRESS.GE „2015.MDF: პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამაში ქალთა საჭიროებები უნდა აისახოს, <http://www.livepress.ge/ka/site/news/10934/> ნანახია (11.02.2015)

⁴⁶ ბაგრატია თ. დავოსის ფორუმი, გენდერული კვოტა და პოლიტიკური შიშები – (ცხვრის წლიდან – ქალის წლამდე) <http://reportiori.ge/?menuid=48&id=52602&lang=1> ნანახია (11.02.2015)

დასკვნა

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აუცილებელია:

1) არა მარტო სამართლებრივი ნორმების შემოღება და საკანონმდებლო დონეზე გენდერული თანასწორობის დაცვა, არამედ, ყოველდღიურ ცხოვრებაში სქესთა შორის თანასწორობის უზრუნველყოფაც;

2) ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის არარსებობა;

3) გენდერულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა უფრო მეტი ჩართულობა;

4) პოლიტიკურ სარბიელზე სავალდებულო კვოტირების სისტემის შემოღება და ქალების ჩართულობის ხელშეწყობა;

და ბოლოს, ვფიქრობთ, საქართველოში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია თითოეული ინდივიდის ძალისხმევა, სტერეოტიპების დამსხვრევა და ჯანსაღი სოციუმის შექმნა. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლება ვისაუბროთ ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობასა და თანასწორ შესაძლებლობებზე. იმ საზოგადოებაში, სადაც ქალისა და მამაკაცის თანასწორობა დაცულია, ადამიანთა უფლებები და პასუხისმგებლობები სქესის მიხედვით არ განისაზღვრება.⁴⁷

⁴⁷ სამოქალაქო განათლების გზამკვლევი, IFES . 2014.
http://cela.ge/ge/system/files/efes_brochure_geo_f.pdf
ნანახია (15.12.2014)

GENDER EQUALITY IN GEORGIA

‘A lion cub is just as good, be it male or female’ – these genius words of Shota Rustaveli lay in his immortal work ‘The knight in the panther’s skin’ written in the 12th century and this underlines the fact that men and women are equal in society, where they belong to.

It’s true, that ‘Gender’, with its content, was still a foreign term in the Middle Ages, but reference to equality indicates that thinking about this issue comes from the above mentioned period. Legal regulation of principles of gender equality on the legislative level doesn’t have a long history.

The period of working on gender equality and proper implementation of measures began since Georgia has regained its independence, developed the constitution and joined different international treaties. The right of equality for men and women is guaranteed by The Georgian Constitution on 24 August, 1995. However, the reality in the country and statistical data shows completely different picture of gender equality.

Thus, the aim of this paper is to review the current processes in terms of gender equality and to analyze the current statistics and legislative acts of gender equality in Georgia.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პატარაია ბ., 2014. კვოტები – ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაუმჯობესების ეფექტური მეთოდი <http://blogs.liberali.ge/ge/blog/1874/122280/>
ანახია (11.02.2015)

2. Livepress.ge., 2015.MDF: პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამაში ქალთა საჭიროებები უნდა აისახოს <http://www.livepress.ge/ka/site/news/10934/> ნანახია (11.02.2015)
3. ბაგრატია თ. დავოსის ფორუმი, გენდერული კვოტა და პოლიტიკური შიშები – (ცხვრის წლიდან – ქალის წლამდე) <http://reportiori.ge/?menuid=48&id=52602&lang=1> ნანახია (11.02.2015)
4. კერესელიძე თ. 2014 წ. საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი – დასაქმების ადგილზე სქესის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია და მისი სამართლებრივი შედეგები. თბილისი: საია. ნანახია (02.01.2015)
5. საქართველოს სახალხო დამცველი (2014) გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები <http://www.ombudsman.ge/ge/news/genderuli-tanasworoba-da-qalta-uflebebi.page> ნანახია (01.02.2015)
6. სამოქალაქო განათლების გზამკვლევი, IFES. 2014 http://cela.ge/ge/system/files/efes_brochure_geo_f.pdf ნანახია (15.12.2014)
7. ბუროუსი გრ, და სხვანი "დემოკრატია და მოქალაქეობა" 2011 წ.
8. UNDP საქართველოში. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოში(მიმოხილვა) http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/operations/projects/democratic_governance/enhancing-gender-equality-in-georgia/ ნანახია (11.02.2015)
9. საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსი 2010 წ. 17 დეკემბერი N4113
10. არჯევანიძე ნ. გენდერული თანასწორობა – საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის მიმოხილვა. http://css.ge/files/documents/publications/Nargiza_Arjevanidze_

[Gender Equality - legislation, August 2012_Geo.pdf](#) ნანახია
(14.02.2015)

11. ხომერიკი ი., ჯავახიშვილი მ., აბრამიშვილი თ. (2012) გენდერული თანასწორობის საკითხები საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას http://cciiir.ge/upload/multi/geo/1355300618_genderuli%20%20anasworobis%20sakitxebi%202012%20BOLO.pdf ანახია (10.02.2015)
12. რატომ ეშინია კაცს გენდერული თანასწორობის? <https://dreamar.wordpress.com/2010/07/10/%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/> (01.01.2015)
13. ახალგაზრდა სოციალისტები <http://www.ysg.ge/?73/147/&pp=25> ნანახია (15/01/2015)
14. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია-1948 წ, 10 დეკემბერი
15. საქართველოს კანონი "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" მაისი, 2014წ. N 2391– IIIს
16. რეხვიაშვილი ლ. გენდერული თანასწორობა – ქართული საზოგადოების შეხედულებები <http://ww.liberali.ge/ge/liberali/articles/112353/> ნანახია (15.12.2014)

ლევან ლორთქიფანიძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრანტი

გარემოსდაცვითი აქტივიზმი და დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში

შესავალი

ეკოლოგიური პასუხისმგებლობის ღირებულება ევროპული ქვეყნების სამოქალაქო ცნობიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. გარემოსდაცვითი და მდგრადი მომავლის პრინციპები გადამწყვეტ როლს ასრულებენ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემების ფუნქციონირების საქმეში. ხშირად, ეკოლოგიური პოლიტიკური იდეოლოგიების აქტუალიზება სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის სახელისუფლებო დონეზე დანინაურების უმთავრესი წინაპირობა ხდება ხოლმე.

საზოგადოებაში გააქტიურებულმა „მწვანეთა მოძრაობამ“, საბჭოთა კავშირის არსებობის უკანასკნელ პერიოდსა და საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში ჩვენი ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესშიც ითამაშა გარკვეული როლი. ეკოლოგისტების აქტიურობის დონე სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე განაპირობებდა პოლიტიკური დღის წესრიგის შინაარსს.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიმაჩნია მწვანე სამოქალაქო აქტივიზმისა და დემოკრატიზაციის პროცესის ურთიერთმიმართების საკითხთა განხილვა.

ნაშრომის პირველ ნაწილში განვიხილავთ ეკოლოგიზმის, როგორც პოლიტიკური იდეოლოგიის ძირითად მახასიათებლებს და მთავარ სამოქმედო დებულებებს. შევაფასებთ რამდენიმე ევროპული „მწვანეთა პარტიის“ პროგრამულ პრიორიტეტებსა და სახელისუფლებო პოლიტიკური კურსების ფორმირებაზე მათი გავლენის ხარისხს.

ამასთანავე, შევეცდებით, გამოვკვეთოთ საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ძირითადი მიღწევები. განვსაზღვროთ, რა როლი შეასრულეს მათ საქართველოს პირველი ორი მონვევის პარლამენტის მუშაობაში, რატომ მოხდა სამოქალაქო მოძრაობის პოლიტიკურ ძალად გარდაქმნა. გარდა ამისა, გამოვყოფთ ქართველ ეკოლოგისტთა პოლიტიკური წარუმატებლობისა და კრახის გამომწვევ მიზეზებს.

ნაშრომის ნაწილი დაეთმობა ევროპული და ქართული ეკოლოგისტური სამოქალაქო აქტივიზმის შედარებით ნაწილს, გამოკვეთილი იქნება ძირითადი მსგავსებები და განსხვავებები, რომლებიც ორი სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმის პირობებში არსებულ მოძრაობებს შორის ვლინდება.

აქვე, შევეცდებით, აღვწეროთ საქართველოში დღეს არსებული მწვანეთა სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმის ძირითადი მოთამაშეები, მათი გავლენის ხარისხი და ძირითადი ფუნქცია, რომელიც აღნიშნულ ერთეულებს დემოკრატიზაციის პროცესში აკისრიათ.

ეკოლოგიზმი, როგორც იდეოლოგია

ევროპაში ეკოლოგიური თემატიკის პოლიტიკურ დღის წესრიგში დამკვიდრება 1970-იანი წლებიდან დაიწყო. „მწვანეების“ გააქტიურება ე.წ. „Baby boom-ის“ თაობის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენამ განაპირობა. 1983 წლამდე ევროპელი „მწვანეები“ ათობით ფართომასშტაბიან დემონსტრაციაში მონაწილეობდნენ და უძღვებოდნენ საპროტესტო კამპანიებს ატომური ელექტროსადგურების მშენებლობისა თუ მათი ექსპლუატაციის წინააღმდეგ.

1980 წელს პოლიტიკურმა მოძრაობამ ინსტიტუციური სახე მიიღო – ქალაქ კარსრუეში დაარსდა გერმანიის მწვანეთა პარტია და პირველივე მომდევნო არჩევნებზე ბუნდესტაგის მანდატები მოიპოვა. ცხადია, კენჭისყრაში მონაწილეობამ და პოლიტიკური სტრუქტურების შექმნამ საარჩევნო

პროგრამისა და სამოქმედო პრინციპების ჩამოყალიბება განაპირობა. განვიხილოთ ევროპელი „მწვანეების“ ძირითადი ღირებულებები:

1. ეკოლოგია და მდგრადი განვითარება

ბუნებრივია, „მწვანეების“ უპირველესი ღირებულება გარემოს დაცვის აუცილებლობის საკითხს უკავშირდება. ეკოლოგისტები მიიჩნევენ, რომ საზოგადოებრივი განვითარების პროცესის შედეგად, არ უნდა მოხდეს გარემოს გამოუსწორებელი დაზიანება და ბუნებრივი რესურსების მაქსიმალური ათვისების პოლიტიკის განხორციელება. აქედან გამომდინარე, ისინი მხარს უჭერენ მდგრადი განვითარების ეკონომიკური პრინციპების განხორციელებას.

რა არის მდგრადი განვითარება? ცნების განმარტება ათასგვარი სხვადასხვა მიმართულებით ხდება ხოლმე, შეგვიძლია გამოვყოთ მეტ-ნაკლებად შეთანხმებული დეფინიციაც: „ეკონომიკის ზრდა და განვითარება ჰარმონიაში უნდა იყოს ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან. სამი კომპონენტის – ეკონომიკა–სოციუმი–ბუნება – ცვლილებების უწყვეტი დინამიკა უნდა იყოს სასიკეთო-ოპტიმალური და უკონფლიქტო, სოციალურად სამართლიანი და ეკოლოგიურად მდგრადი“⁴⁸.

აქედან გამომდინარე, ყველაზე ადრეული „მწვანეთა მოძრაობების“ უმთავრესი მოთხოვნა სახელმწიფოს მიერ ატომური ენერჯის გამოყენებაზე უარის თქმა და განახლებადი ენერჯის მთავარ მომმარაგებელ წყაროდ დანერგვა გახლდათ.

2. პაციფიზმი და არაძალადობა

„მწვანეებისთვის“ უდავო, უნივერსალურ ღირებულებე-

⁴⁸ ადვიშვილი, დ. (2014); ინოვაციური მრეწველობა მდგრადი განვითარების ლოკომოტივი. გაზეთი „ბანკები და ფინანსები“.

ბად არის ჩამოყალიბებული პაციფიზმისა და არაძალადობის პრინციპები. გერმანელი ეკოლოგისტები ამ ფასეულობების გლობალური მასშტაბით გაზიარებას ცდილობენ. ისინი ეწინააღმდეგებიან ნებისმიერ საომარ და ძალადობრივ კამპანიებს მსოფლიოს მასშტაბით. „მესამე სამყაროს“ ქვეყნების არადემოკრატიული სამხედრო რეჟიმების მთავარ მოწინააღმდეგეებად ევროპელი ეკოლოგისტები მიიჩნევიან. ქვეყანათა შორის არსებული კეთილსაიმედო ურთიერთობების მიუხედავად, ხშირად, ისინი უპირისპირდებიან მთავრობის პოლიტიკას და მუდმივად აპროტესტებენ საუდის არაბეთში მოქმედ „შარიათის პრინციპებს“, თურქეთის მთავრობის რეპრესიულ მოქმედებებს გარემოსდამცველთა და მემარცხენე აქტივისტთა წინააღმდეგ, ეგვიპტესა და ირანში ქალთა უფლებების დარღვევას და ა.შ.

3-4. ფემინიზმი და ბაზისური დემოკრატია

„მწვანეთა“ კიდევ ორი საყრდენი ღირებულება შეგვიძლია ერთად განვიხილოთ. პარტია ჩამოყალიბებისას მხოლოდ „ახალ მემარცხენეებსა“ და ანტიატომური კამპანიის აქტივისტებს არ დაყრდნობია. მის შემადგენლობაში ფემინისტები, კერძოდ კი, ქალთა მოძრაობის მეორე ტალღის მონაწილეები ირიცხებოდნენ. ეკოლოგისტებმა თავიანთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად პირველივე ეტაპებიდანვე ქალთა ემანსიპაცია მიიჩნიეს. ემანსიპაციისთვის პირველ ნაბიჯად კი კიდევ ერთი ანტიელიტისტური, ანტიპატრიარქალური პოლიტიკური ღირებულების – საბაზისო დემოკრატიის პრინციპების პარტიის შიგნით დანერგვა მიიჩნიეს.

გერმანელმა „მწვანეებმა“ დაადგინეს ე.წ. „ელვა შესაკრავის“ შიდაპარტიული რეგულაცია, რაც გულისხმობდა:

1) ქალი და მამაკაცი კანდიდატების მონაცვლეობა საპარლამენტო სიებში (პირველ ადგილას ყოველთვის ქალი)

2) ნებისმიერი პარტიული თანამდებობის ორ ადამიანზე, ქალსა და მამაკაცზე გადანაწილების პრინციპი.

გარდა ამისა, „მწვანეთა პარტიაში“ დაინერგა როტაციისა და იმპერატიული მანდატის პრინციპი. მაშასადამე, ნებისმიერ პოლიტიკურ თანამდებობაზე არჩეულ პირს ორ წელიწადში პოსტი სხვა თანაპარტიელისთვის უნდა დაეთმო, პოლიტიკურ ინსტიტუტში მუშაობის დროს კი გადანაცვლებები პარტიული აქტივის მითითებების საფუძველზე (და არა დამოუკიდებლად) უნდა მიეღო. ამასთანავე, პარტიის წევრებს ეკრძალებოდათ ორი თანამდებობის ერთდროულად დაკავება.⁴⁹

ამგვარი მკაცრი რეგულაციები ერთადერთი არგუმენტით საბუთდებოდა. „მწვანეები“ უპირისპირდებოდნენ ტრადიციულ პარტიულ ელიტებსა და ისტებლიშმენტს, რომლებსაც ხშირად, განწყვეტილი ჰქონდათ კავშირები საკუთარი ორგანიზაციის რიგით წევრებთან და ხელს უშლიდნენ მათ მობილობას ძალაუფლების ვერტიკალის სათავეში. „მწვანეები“ „ანტიპარტიულ პარტიას“ აშენებდნენ.

დღეს „მწვანეთა პარტიაში“ ამ წესებიდან მხოლოდ გენდერული კვოტის სისტემა მუშაობს, რომელიც ქვეყნის სხვა მემარცხენე პარტიების მიერაცაა გაზიარებული. „ანტიპარტიულ პარტიად“ ყოფნის გამოცდილება უფრო პრაგმატული ხედვებით შეიცვალა. თუმცა, საბაზისო დემოკრატია კვლავ ცოცხალია, მან სხვა სახე მიიღო და კვლავ საყოველთაო თანამონაწილეობის მექანიზმზე კონცენტრირდება. მაგალითად, გერმანიაში, პირველი „პრაიმერი“ სწორედ ეკოლოგისტებმა ჩაატარეს და 2013 წელს აირჩიეს პარტიის საარჩევნო ლიდერები. პარალელურად, მუდმივად ნარჩუნდება კონკურენცია შიდაპარტიულ ჯგუფებსა და ფრაქციებს შორის.

⁴⁹ მარკოვიცი, კლავარი (2013); ოცდაათი წელი ბუნდესტაგში: მწვანეების გავლენა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ კულტურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, თბილისი: ჰ. ბიოლის ფონდის სკრბ. გვ 14-32

5. სოციალური სამართლიანობა

ევროპის მწვანეთა პარტიებს შორის ფლაგმანი ორგანიზაცია გახლავთ „გაერთიანება 90/მწვანეები“, რომელიც გერმანიის ერთ-ერთი წამყვანი საპარლამენტო ძალა გახლავთ. მათი უკანასკნელი საარჩევნო პროგრამის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვისაუბროთ კიდევ ერთ ეკოლოგისტურ ღირებულებაზე – სოციალურ სამართლიანობაზე. მაგალითად: მწვანეთა პარტია გადასახადებისა და ფინანსური ურთიერთობების სფეროში სრულად იზიარებს ძირითად მემარცხენე – ცენტრისტულ იდეალებს. ეკოლოგისტები, სოციალურად სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით, მხარს უჭერენ პროგრესული გადასახადების სისტემის ამოქმედებას. პარტიული პროგრამით გათვალისწინებულია 60 ათასი ევროს შემოსავლის 45%-ით, ხოლო 80 ათასი ევროს შემოსავლის 49%-ით დაბეგვრა. მცირე მენარმეობის მხარდასაჭერად, „მწვანეები“ ემხრობიან 60 ათას ევროზე ნაკლები შემოსავლის მქონე მოქალაქეების გადასახადებისაგან გათავისუფლებას. „BÜNDNIS 90/DIE GRÜNEN“ ითხოვს მემკვიდრეობის ბაჟის გაორმაგებასა და საბანკო ოპერაციებით მიღებული მოგებისთვის 35%-იანი ლიმიტის დაწესებას. პოლიტიკური ორგანიზაცია აუცილებლად მიიჩნევს ენერჯის ქარბად მომხმარებელი ბიზნესისთვის შეღავათების გაუქმებასა და მათთვის ეკოლოგიური საბიუჯეტო შენატანების დაკისრებას. გამარჯვების შემთხვევაში, პარტიის წევრები განსაკუთრებულ ფინანსურ გადასახადებს შემოიღებენ საჯარო მიმოსვლისა და მანქანათმშენებლობის ინდუსტრიის დარგებში.⁵⁰

მწვანეთა ჯანმრთელობის დაცვისა და დაზღვევის პოლიტიკა კოლექტიური პასუხისმგებლობის ღირებულებას

⁵⁰ ლორთქიფანიძე ლ. (მთარგ) „გაერთიანება 90/მწვანეები“ – გერმანიის ბუნდესტაგის არჩევნები 2013, ელ. გამოცემა „საარჩევნო მიმოხილვა საქართველოსთვის“, 2013

ეფუძნება. „მწვანე სამოქალაქო დაზღვევა“ ითვალისწინებს ერთიანი, ყველასთვის საერთო სადაზღვევო სისტემის ფორმირებასა და პერსონალური დაზღვევის აკრძალვას. პარტიის წევრთა აზრით, სისტემის ბიუჯეტის შევსება უნდა ხდებოდეს ყველა ტიპის სამემოსავლო გადასახადით (ქონების, მემკვიდრეობის, იჯარის და ა.შ.), ხოლო 5800 ევროზე ნაკლები შემოსავლის მქონე მოქალაქეები უნდა თავისუფლდებოდნენ სადაზღვევო ფინანსების მობილიზების პასუხისმგებლობისგან. ინდივიდებისთვის სადაზღვევო სისტემის ბიუჯეტში შენატანი, საკუთარი ეკონომიკურ-მატერიალური მდგომარეობის პროპორციულად უნდა განისაზღვრებოდეს. სოციალური სოლიდარობის პრინციპები უნდა ვრცელდებოდეს საპენსიო ფონდების ჩამოყალიბების დროსაც, რის შედეგადაც, მიღწეულ უნდა იქნას 850 ევროიანი მინიმალური პენსია.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ისტორია და ბავშვებს დემოკრატიზაციის პროცესზე

საბჭოთა კავშირში არაკომუნისტური სამოქალაქო ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, უმთავრესად, „პერესტროიკისა“ და „გლასნოსტის“ პოლიტიკამ შეუწყო ხელი. 1980-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოშიც შეინიშნება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გამრავალფეროვნების ტენდენცია. ნაციონალ-პატრიოტული განწყობების მქონე დისიდენტებმა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ დააფუძნეს, საბჭოთა ინტელიგენციისა და აკადემიური წრეების სხვა წარმომადგენლები კი ამ მოძრაობის საპირწონედ, „რუსთაველის საზოგადოებაში“ გაერთიანდნენ. სწორედ აკაკი ბაქრაძის ხელმძღვანელობით მოქმედ „რუსთაველის საზოგადოებაში“, 1988 წლის მაისში, შეიქმნა „მწვანეთა მოძრაობის“ პირველი სეგმენტი – ეკოლოგიური ასოციაცია. იგი,

ძირითადად, მეცნიერებსა (გივი თუმანიშვილი, გივი გიგინე-იშვილი) და დედამიწის შემსწავლელი დისციპლინების წარ-მომადგენელ სტუდენტებს აერთიანებდა (ზურაბ ჟვანია, ეთერ მახისაშვილი) და გარემოსდაცვითი პრობლემატიკის აქ-ტუალიზებას ისახავდა მიზნად. ქართველი ეკოლოგისტების პირველი ფართომასშტაბიანი აქტივობა „ტრანსკავკასიური რკინიგზის“ საკითხს უკავშირდებოდა. „მწვანეები“ პროექტს ეკოლოგიური კრიტერიუმების თვალსაზრისით აფასებდნენ, საზოგადოება კი მას „ახალ როკის გვირაბად“ აღიქვამდა და ნაციონალისტური პერსპექტივიდან აფასებდა. მაშასადამე, ამ პროცესს ვერ მივიჩნევთ ცალსახად „მწვანე“ გამოსვლად. „ეკოლოგიური ასოციაციის“ მცირერიცხვოვანი, ტექნოკრა-ტიული ერთეულიდან სამოქალაქო მოძრაობად გარდაქმნა ზემო სვანეთში „ხუდონჰესის“ მშენებლობის გეგმამ და მის წინააღმდეგ მიმართულმა ქმედებებმა განაპირობა. 1990 წელს „მწვანეთა მოძრაობის“ საფუძველზე იქმნება „მწვანე-თა პარტია“, რომელიც „ანტიხუდონური“ პროტესტის გა-მარჯვების მიუხედავად, წარუმატებლად მონაწილეობს 28 ოქტომბრის პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში.

მაშასადამე, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ „მწვანეთა“ მოძრაობა თავიდანვე არ წარმოადგენდა მრავალრიცხოვან საზოგადოებრივ ერთეულს, იგი ტექნოკრატიული ჯგუფი გახლდათ, რომელიც ნაციონალისტურ დისკურსში ცდილობდა ეკოლოგიური თემატიკის წინ წამოწევას. მისი დამოუკი-დებელ მოთამაშედ ჩამოყალიბება კი გიგანტური ჰესების წი-ნააღმდეგ წარმოებულმა კამპანიამ განსაზღვრა, რაც საკმა-რისი არ აღმოჩნდა პარლამენტში წარმატების მისაღწევად.⁵¹

⁵¹ ბეჟიშვილი და სხვ. (2013) საქართველო: მწვანე პოლიტიკის ის-ტორია. პუბლიკაციის მიმოხილვა, თბილისი: ჰ. ბიოლის ფონდის სკრბ. გვ. 11- 54.

1992 წელს „მწვანეებმა“ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში მანდატების მოპოვება მოახერხეს. საპარლამენტო მოღვაწეობისას, ქართველი ეკოლოგისტები, თავიანთი ევროპელი კოლეგებისგან განსხვავებით, არ ცდილობდნენ სოციალური სამართლიანობის, ფემინიზმის, საბაზისო დემოკრატიის პრინციპების ჩვენს პოლიტიკურ სივრცეში ადაპტაციას, მათ კომბინაციას გარემოსდაცვით პრობლემატიკასთან. შიდაპარტიული მსჯელობის მთავარი თემა სსრკ-ს საგარეო საქმეთა ექს-მინისტრ შევარდნაძის მხარდამჭერ ბლოკში შესვლა-არშესვლის საკითხი გახლდათ.

1993 წელს პარლამენტის თავმჯდომარის, ედუარდ შევარდნაძის თაოსნობით, იქმნება ახალი, უკიდურესად ეკლექტური გაერთიანება „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“ (სმკ), რომლის შემადგენლობაში „მწვანეთა პარტიის“ ლიდერებიც (ზურაბ ჟვანია, რეზო ადამია და ა.შ.) ჩაირიცხნენ. ამ დროიდან, ქართული პოლიტიკის „მწვანე“ ფლანგზე იწყება ორი ურთიერთგამიჯნული სეგმენტის ჩამოყალიბება:

1) „მწვანეთა პარტია“, რომელიც სმკ-სგან მეტ-ნაკლებად დისტანცირებულ პოლიტიკოსებს აერთიანებდა;

2) „მწვანეთა მოძრაობა“, რომელშიც უპარტიოები და „მწვანე იდენტობის“ შენარჩუნების სურვილის მქონე სმკ-ის წევრები დარჩნენ.

სმკ-ში გადასულმა „მწვანეებმა“ მალევე მოახერხეს უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობების დაკავება – 1995 წელს ზურაბ ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს.

1992-1999 წლებში „მწვანეთა პარტიის“ ერთადერთი პოლიტიკური ფუნქცია ეკოლოგიური კანონმდებლობის ჩამოყალიბება გახდა. გაერთიანების წევრების საპარლამენტო მუშაობის შედეგად, შეიქმნა რიგი ახალი კანონები (დაცული ტერიტორიების შესახებ, ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ, რესურსების გამოყენების შესახებ, კონსტიტუციის 37-ე მუხლი და ა.შ.). პროგრესული იურიდიული ბაზის შექმნის მი-

უხედავად, მისი რეალური განხორციელება ყოველთვის გართულებული იყო. ხშირად, თავად „მწვანეთა პარტიის“ ყოფილი წევრები უწყობდნენ ხელს ეკოლოგიური რეგულაციების უგულვებელყოფას (ყულევის ტერმინალის მაგალითი), მოქმედი „მწვანეები“ კი ეფექტური კამპანიებით ვერ უპირისპირდებოდნენ ძველი მეგობრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.⁵²

1999 წლიდან „მწვანეთა პარტია“ რიგით მარგინალურ, გავლენის არმქონე არასაპარლამენტო ძალად გარდაიქმნა, რომელიც კვლავ მხოლოდ ეკოლოგიურ თემატიკაზე ამახვილებდა ყურადღებას და დაუზუსტებელი სკანდალური ინფორმაციების გავრცელებით ცდილობდა ყურადღების მიპყრობას.

შეგვიძლია გამოვყოთ „საქართველოს მწვანეთა პარტიის“ წარუმატებლობის მთავარი მიზეზები:

- 1990-იან წლების საქართველოში ფორმირებული პოსტსაბჭოთა ავტორიტარული რეჟიმი;
- საზოგადოებაში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობა;
- „მწვანეთა პარტიის“ მიერ მემარცხენე-ეკოლოგისტური პლატფორმის იგნორირება ორგანიზაციის განვითარების ყველა ძირითად ეტაპზე;
- გაერთიანების თავდაპირველმა ლიდერებმა „მწვანეთა მოძრაობა“ სოციალური და პოლიტიკური კაპიტალის დასაგროვებლად გამოიყენეს. მათ, მაღალი თანამდებობების დაკავების მიზნით, პირველივე შესაძლებლობისთანავე დატოვეს პარტია (იდეოლოგიური კომპრომისი ძალაუფლების სანაცვლოდ). სახელისუფლებო იერარქიის უმაღლესი

⁵² ბექიშვილი და სხვ. (2013) საქართველო: მწვანე პოლიტიკის ისტორია. პუბლიკაციის მიმოხილვა, თბილისი: ჰ. ბიოლის ფონდის სკრბ. გვ 55-61

საფეხურებიდან კი მხოლოდ ირიბად მოახერხეს ეკოლოგიური კანონმდებლობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

- მთავრობისა და ინვესტორის მიერ გარემოსდაცვითი რეგულაციების დარღვევის საწინააღმდეგოდ წარმოებული ქაოტური, იმპულსური, არათანმიმდევრული კამპანიები;

- ემოციური ურთიერთმიმართებები პარტიის ყოფილ და მოქმედ წევრებს შორის, რაც მათ პოლიტიკურ დისკუსიას აფერხებდა (ძველი მეგობრები ერიდებოდნენ ერთმანეთის მძაფრ კრიტიკას).

„მწვანეები“ დღეს

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ეკოლოგისტური ფლანგი დღეს დანაწევრებულია და რამდენიმე სხვადასხვა მიმართულების ჯგუფისგან შედგება.

კერძოდ, „საქართველოს მწვანეთა მოძრაობის“ დაშლის საფუძველზე წარმოიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრები“, რომელიც, ძირითადად, ორიენტირებულია საგრანტო პროექტებზე და მისგან გამომდინარე სამოქალაქო აქტივიზმზე. „მწვანეთა“ იდეოლოგიის სხვა პუნქტები ორგანიზაციის სამუშაო გეგმებში გათვალისწინებული არ არის.

მესამე სექტორში პროფესიონალური ეკოლოგიური საკონსულტაციო ჯგუფის პოზიციას იკავებს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“. აღნიშნული გაერთიანება უფრო აქტიურად არის ჩართული ეკოლოგიური საფრთხის შემცველი ინიციატივების საწინააღმდეგო საპროტესტო აქტივიზმში, ამასთანავე, ფასილიტაციას უწევს ანალოგიური მიმართულებით მომუშავე ახალგაზრდულ ჯგუფებს. ფემინიზმის, სოციალური სამართლიანობის, ბაზისური დემოკრატიისა და პაციფიზმის პრინციპები არც ამ ასოციაციის დოკუმენტებშია დეკლარირებული.

პარტიულ-პოლიტიკურ ველზე ეკოლოგისტური იდეოლოგიის ერთადერთი წარმომადგენელი საქართველოს მწვანეთა პარტიაა, რომელიც კვლავ რჩება ოთხმოცდაათიანი წლების პოლიტიკური სტრატეგიის გამტარებლად. ისიც უგულბებლყოფს თავისსავე შემუშავებულ ეკონომიკურ დოქტრინას,⁵³ ევროპელ მწვანეთა პოზიციებსა და ძირითად პრინციპებს. „მწვანეების“ პოლიტიკური მიზანი კვლავაც მხოლოდ თანამედროვეობის დაკავებაა. მწვანეთა პარტიის ახალგაზრდული ფრთა კი განსხვავებულ პლატფორმაზე დგას, იზიარებს თანამედროვე ტენდენციებს და წარუმატებლად ცდილობს „დედა პარტიის“ გარდაქმნას.

მოცემულ ფონზე, ჩამოყალიბებას იწყებს დამოუკიდებელი, მემარცხენე-ეკოლოგისტურ პლატფორმაზე მყოფი სტუდენტური მოძრაობა, რომელიც ევროპული ეკოლოგიზმის ყველა პრინციპის თანამედროვე რეალობაში ადაპტირებას ცდილობს.

Levan Lortkhiphanidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
MA student

ENVIRONMENTAL ACTIVISM AND PROCESS OF DEMOCRATIZATION IN GEORGIA

In the article on "Environmental Activism and the Process of Democratization in Georgia" one finds the description of the main characteristics of ecology as a political ideology. Moreover, also reviewed are the main reasons of the development and success of the European "green movement." A particular emphasis is placed on the

⁵³ მწვანე ეკონომიკური დოქტრინისთვის (თეზისები), გაზეთი "დედამინა", 1990

role performed by ecologists in the process of the democratization of independent Georgia and on their positions in contemporary political process.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მწვანე ეკონომიკური დოქტრინისთვის (თეზისები), გაზეთი „დედამინა“, 1990
2. ადგიშვილი დ. (2014); ინოვაციური მრეწველობა მდგრადი განვითარების ლოკომოტივი. გაზეთი „ბანკები და ფინანსები“.
3. ბექაშვილი და სხვ. (2013) საქართველო: მწვანე პოლიტიკის ისტორია. პუბლიკაციის მიმოხილვა, თბილისი: ჰ. ბიოლის ფონდის სკრბ.
4. ლორთქიფანიძე ლ. (მთარგ) „გაერთიანება 90/მწვანეები“ – გერმანიის ბუნდესტაგის არჩევნები 2013, ელ. გამოცემა „საარჩევნო მიმოხილვა საქართველოსთვის“, 2013 <http://electoralreview.wordpress.com/2013/09/08/bundnis-90die-grunen/> ნანახია 20.07.2014
5. მარკოვიცი, კლავარი (2013); ოცდაათი წელი ბუნდესტაგში: მწვანეების გავლენა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკურ კულტურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, თბილისი: ჰ. ბიოლის ფონდის სკრბ.

გიორგი მუნჯიშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდენტი

**არასამთავრობო სექტორის, როგორც
სამოქალაქო საზოგადოების უმნიშვნელოვანესი
ნაწილის ფუნქციები, მნიშვნელობა და
პერსპექტივები საქართველოში**

სამოქალაქო საზოგადოება – ეს არის მოქალაქეთა ერთგვარი ერთობა, რომლის საქმიანობა თავისუფალია სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი ჩარევისა და რეგლამენტაციისგან. როგორც ამერიკელი მეცნიერი ლ. დაიმონდი საკუთარ სტატიაში აღნიშნავს, ”სამოქალაქო საზოგადოება არის ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, რომელიც ნებაყოფლობითია, თვითნარმოქმნადი, თვითგანვითარებადი, სახელმწიფოსგან ავტონომიური და შეკრულია საკანონმდებლო წესრიგით ან გაზიარებულ წესთა ერთობლიობით.”⁵⁴ სამოქალაქო საზოგადოება არის შუალედური წარმონაქმნი, რომელსაც კერძო ცხოვრების სფეროსა და სახელმწიფოს შორის უკავია ადგილი. სამოქალაქო საზოგადოება ზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლებას და, ხშირად, თუ ეს ხელისუფლება კანონის უზენაესობაზეა დაფუძნებული, ლეგიტიმურ ხასიათსაც ანიჭებს მას. სამოქალაქო საზოგადოება შედგება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური ჯგუფებისგან. ვფიქრობთ, ცალკე გამოყოფას იმსახურებს არასამთავრობო ორგანიზაციები, ე.წ. ”მესამე სექტორი”. თუმცა, საინტერესოა, თუ რამდენად სრულად ასრულებენ ისინი საქართველოში იმ ფუნქციებს, რომელიც ზოგადად,

⁵⁴ Jonathan Wheatley, *Civil Society in the Caucasus: Myth and Reality*, caucasus analytical digest 12/10, Zurich, <http://www.css.ethz.ch/publications/pdfs/CAD-12-2-6.pdf> nanaxia (10. 09. 2015)

სამოქალაქო საზოგადოებას ეკისრება და რამდენად აქტიურ მუშაობას ეწევიან სხვადასხვა პრობლემის ირგვლივ; დამოუკიდებელია თუ არა მათი მოღვაწეობა და თუ აკმაყოფილებენ ისეთ ძირითად კრიტერიუმებს, როგორებიცაა თვითმმართველობა, დამოუკიდებლობა, მიზნებისთვის გაერთიანება და "ბრძოლა" არსებულის გამოსასწორებლად. სამოქალაქო საზოგადოების არსებობა მეტად მნიშვნელოვანია დემოკრატიული განვითარებისთვის და ხშირად, სწორედ იგი მიიჩნევა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების წინაპირობადაც. სამოქალაქო საზოგადოება ლოკთან, ჰობსთან, ფერგიუსონთან და ახალი პერიოდის ფილოსოფოსებთან "პოლიტიკური საზოგადოების" სინონიმადაც გაიგება და კანონის ფარგლებში გაერთიანებულ საზოგადოებად აღიქმება.

ერთ-ერთი პირველი, ვინც სამოქალაქო საზოგადოებას, როგორც ტერმინს, თანამედროვე მნიშვნელობა მიანიჭა, იყო ჰეგელი. ჰეგელი "სამოქალაქო საზოგადოებით" აღნიშნავდა ადამიანთა არაპოლიტიკურ გაერთიანებებს, რომლებიც ინდივიდთა მრავალფეროვანი ინტერესების დაკმაყოფილებისკენ იყო მიმართული. ჰეგელის წარმოდგენით, სამოქალაქო საზოგადოება ოჯახსა და სახელმწიფოს შორის დგას. იგი არის ორგანიზაციების ან ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც ქვეყანაში იმ სხვადასხვა სახის სამუშაოს ასრულებს, რასაც ვერ ან არ ასრულებს მთავრობა. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ სამოქალაქო საზოგადოების არსებობა მისი მოქალაქეების აქტიურობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და მთლიანი საზოგადოების დინამიურობასა და შემოქმედებითობაზე მიუთითებს. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებს შორის ათავსებენ ისეთ ნებაყოფლობით გაერთიანებებს, როგორიცაა საქველმოქმედო ორგანიზაციები, კომუნალური ფონდები, კოოპერატივები, გარემოსდაცვითი ორგანიზაციები, პროფესიული ასოციაციები, რელიგიური ჯგუფები, სამოქალაქო კლუბები, სამოქალაქო მილიცია, აკადემიური გაერთიანებები და ა.შ.

საბჭოთა კავშირის პერიოდში სამოქალაქო საზოგადოება, რეალურად, არ არსებობდა. შესაბამისად, პოსტსაბჭოური პერიოდის საქართველოს, ამ მხრივ, საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა ერგო წილად. სსრკ–ს დაშლის შემდეგ, საქართველოში დასავლური ორგანიზაციებისა და სახელმწიფოების მხარდაჭერით ჩამოყალიბდა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის უნდა შეეწყობოდა ხელი. მისაბაძი ორიენტირი განვითარებული დასავლური სამოქალაქო კულტურა უნდა ყოფილიყო. სწორედ აქედან გამომდინარე, ჩემს მთავარ საკვლევ თემას წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციების დამოუკიდებელი და აქტიური მუშაობა, პერსპექტივები, რომელიც მათ გააჩნიათ და მოვალეობები, რომელსაც უნდა ასრულებდნენ. არასამთავრობო ორგანიზაციების დამოუკიდებლობის მთავარ პირობას წარმოადგენს მათი დამოკიდებულება უცხოელი დონორების დაფინანსებაზე. ისინი ვერ იღებენ მთავრობის, ადგილობრივი ბიზნესისა და საკუთარი წევრებისგან ფინანსურ მხარდაჭერას. არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველმყოფი მექანიზმები სუსტია, ხოლო კეთილსინდისიერების უზრუნველმყოფი მექანიზმები, მაგალითად, საერთო ქცევის კოდექსი – საერთოდ არ არსებობს. სწორედ ამიტომ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ მთავრობის პოლიტიკის ფორმულირებაზე, სახელმწიფო ხელისუფლების მექანიზმების არასწორ მუშაობაზე და ძალაუფლების გადამეტებაზე გავლენის შესაძლებლობები იზღუდება. ამის მიზეზი, როგორც შიდა არასამთავრობო ორგანიზაციებში არსებული შიდა პრობლემები, ასევე, მოსახლეობის ნდობის და მხარდაჭერის არცთუ ისე მაღალი ხარისხია. საზოგადოებაში საკმაოდ მყარად ფესვგადგმულია არასამთავრობო სექტორის და, ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებისა და ჯგუფების მიმართ სტერეოტიპული აზროვნება. თუმცა, ამ

სტერეოტიპების შექმნაში, ხშირად, დიდი წვლილი თავად ორგანიზაციებს მიუძღვით. მსგავსი მოსაზრების გამოთქმის საფუძველს შემდეგი მონაცემები გვაძლევს: საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს კვლევებით, 2011 წლის მონაცემებით, საქართველოში 10 000 რეგისტრირებულ ორგანიზაციაა, რომელთაგან მხოლოდ 10%-ია მოქმედი, ხოლო დანარჩენი ორგანიზაციების მოქმედების პერიოდს და მთავარ მიზანს მხოლოდ ერთი გრანტის მიღება და გამოყენება წარმოადგენს. არასამთავრობო ორგანიზაციების მსგავს მრავალრიცხოვანებას ხელს უწყობს ერთი მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნის საკმაოდ გამარტივებული მექანიზმები – საკმარისია საჯარო რეესტრში ერთდღიანი პროცედურის გავლა და 100 ლარიანი გადასახადის გადახდა; მეორე მხრივ კი, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისა და რეალურად დაკისრებული ამოცანების შესრულების ნაცვლად ამ ორგანიზაციების მიერ ფინანსებზე ორიენტირება.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შემთხვევაში, არსებობს მკვეთრად გამოკვეთილი კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა: ფინანსური დამოკიდებულება – ორგანიზაციების დამოკიდებულება მხოლოდ გრანტებზე, ალტერნატიული წარმოების მეთოდების არქონა, რომელიც საშუალებას მისცემს ორგანიზაციებს, თავიდან აიცილონ სუბიექტური და ფინანსური ინტერესები; ორგანიზაციების კონცენტრირება მხოლოდ დედაქალაქში და ნაკლები რესურსის მიმართვა რეგიონებში; თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად, ალბათ, მოსახლეობის, ქვეყნის ინტელექტუალური ნაწილის ნაკლები რწმენა და არასამთავრობო სექტორის საქმიანობაში ჩაურევლობა უნდა მივიჩნიოთ, რასაც, თავის მხრივ, შედეგად ნაკლები თანამშრომლობა და ნაკლები აქტივობა მოაქვს. რა განაპირობებს მხოლოდ საერთაშორისო გრანტებზე დამოკიდებულებას? არსებული კანონმდებლობით, სამოქალაქო-საზოგადოებრივი ორგანიზაციები მთელი რიგი შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათ მიერ კომერციული საქმიანობიდან

მიღებული მოგება იბეგრება საერთო წესებით, არაკომერციული საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები კი, როგორცაა გრანტები, შემონირულობები და სანევრო შენატანები, მოგების გადასახადისგან თავისუფალია (ხელფასები ამ ტიპით მიღებული შემოსავლებიდანაც იბეგრება), ხოლო საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში იმპორტირებული საქონელი დამატებითი ღირებულების გადასახადით არ იბეგრება. სამოქალაქო-საზოგადოებრივი ორგანიზაციები ასევე, გათავისუფლებულნი არიან ქონების გადასახადისგან, თუ ქონება ეკონომიკური საქმიანობისთვის არ გამოიყენება.

კანონმდებლობა სამოქალაქო-საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსურ საქმიანობას არავითარ მნიშვნელოვან დაბრკოლებას არ უქმნის, თუმცა, არც დახმარებას სთავაზობს. მიუხედავად იმისა, რომ უცხოური წყაროებიდან მიღებულ დაფინანსებაზე შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი ვრცელდება, შიდა ქველმოქმედების მასტიმულირებელი ფაქტორები სუსტია. აქედან გამომდინარე, არ არსებობს სტიმული, რომელიც ადგილობრივ კერძო თუ იურიდიულ პირს არასამთავრობო სექტორისთვის დახმარების განწევსკენ უბიძგებს. ერთადერთ გამოსავლად, ტრანსფორმირების საშუალებად და, შესაბამისად, ფინანსური დამოუკიდებლობის მისაღწევად, სოციალური მენარმეობის ტიპზე გადასვლა გვესახება, რაც გაცილებით უფრო პერსპექტიულია, თუ ამ ტიპის შემოსავლებზე საგადასახადო სისტემაში შეღავათები იქნება გათვალისწინებული.

რა არის სოციალური მენარმეობა და რა შედეგის მოტანა შეუძლია მას? სოციალური მენარმეობა, ხშირად, ჩვეულებრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში ერევათ. მათ შორის უმთავრესი განსხვავება შემოსავლის მიღების მოდელია. არასამთავრობო ორგანიზაციები, ძირითადად, დამოკიდებულნი არიან შემონირულობებსა და გრანტებზე, საქართველოში კი – საერთაშორისო გრანტებზე. სიტუაციას კიდევ

უფრო მეტად ამძიმებს ის, რომ არათუ ორგანიზაციის შიგნით, არამედ, თავად ქვეყნის შიგნითაც კი არ მოიძებნება რეალური რესურსები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არასამთავრობოთა ნაწილმა გარკვეული ნაბიჯები გადადგა, რათა საკუთარი შემოსავლის წყარო ჰქონოდა და ამ მიმართულებით ზრდის პერსპექტივაც არსებობს.

არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც სოციალურ მენარმეობას ეწევა, მეორე მხრივ, ნაკლებად დამოკიდებული ხდება დონორ ფონდებზე, რადგან თავად ქმნის მდგრად სოციალურ პროგრამებს. სოციალური სანარმო ინვესტირებას საკუთარი რისკებით ახდენს და გენერირებას უკეთებს შემოსავლებს, რათა საკუთარი ორგანიზაცია მდგრადი და დამოუკიდებელი გახადოს.

სოციალური მენარმეობა, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, არის ბიზნესი და მას აქვს შემოსავლის მიღების მუდმივი წყარო. ისევე როგორც სხვა ნებისმიერი კომპანია – ის იღებს კრედიტებს, იზიდავს ინვესტიციებს, პარტნიორულ ურთიერთობებს ამყარებს სხვა ორგანიზაციებთან და აფართოებს საკუთარ ბიზნეს-საქმიანობას. მაშინ, როცა არასამთავრობო ორგანიზაციის მთავარ მიზანს სოციალური ღირებულებების შექმნა წარმოადგენს, სოციალურ მენარმეობას გარკვეული ფინანსური და სოციალური მიზნები აქვს, თუმცა კი, პრიორიტეტი მაინც სოციალური სფეროა. ეკონომიკური მიზანი მხოლოდ საშუალებაა, რათა სოციალურმა სანარმომ შეძლოს საკუთარი სოციალური მიზნების განხორციელება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სოციალური სანარმოს მოგება არ იზომება ფინანსური წარმატებებით. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია მისი წვლილი იმ სოციალური პრობლემების მოგვარებაში, რისთვისაც ის არის შექმნილი. აგრეთვე, მნიშვნელოვანი თვისება, რომელიც სოციალურ სანარმოს განასხვავებს ბიზნესისგან, არის ხმის მიცემა – სოციალურ სანარმოში ყველა წევრს თანაბარი ხმის მიცემის უფლება გააჩნია.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სამეწარმეო საქმიანობით დაინტერესება რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული:

1) ფონდების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები სულ უფრო მზარდი კონკურენციის პირობებში. ასეთ პირობებში, სოციალური საწარმოები წარმოქმნიან რესურსებს მდგრადი განვითარებისთვის;

2) სამეწარმეო საქმიანობა ხელს უწყობს ორგანიზაციებს მისიის უფრო სრულად შესრულებასა და გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაში;

3) გამომუშავებული შემოსავალი პროგრამებს მეტ მოქნილობას ანიჭებს და ახალ პროგრამებში შეზღუდვების გარეშე ინვესტირების წყაროს წარმოადგენს;

4) ეხმარება ორგანიზაციებს, უფრო მეტად დარჩნენ მისიაზე ორიენტირებულნი და არ მოუხდეთ მიმართულებების მუდმივად ცვლა დონორთა მოთხოვნების შესაბამისად.

ამ მნიშვნელოვანი პრობლემებიდან გამომდინარე, რაც საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ, როცა, რეალურად, არ არსებობს სოციალური მეწარმეობის გამართული ტრადიციები, ჯერჯერობით, პერსპექტივები სუსტია. სამოქალაქო საზოგადოებას არ გააჩნია საშუალება, შეასრულოს ის ქმედითი ფუნქციები, რომელსაც ის დასავლურ, განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში ასრულებს: დეიდეოლოგიზაცია და თვითმმართველობა. მოცემული პრობლემებით მოქალაქეების საკმაოდ მცირე ნაწილია დაინტერესებული და ამ კუთხით, თანაშრომლობის ხარისხიც დაბალია. ასევე, ნაკლებია ფინანსური რესურსებიც. საჭიროა დამოუკიდებელი ფინანსების მოძიება და თვითორგანიზების დონეზე გადასვლა, რაც, თავის მხრივ, გაზრდის ეფექტურად მოქმედი ორგანიზაციების რიცხვს. შედეგად, გაიზრდება საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართული აქტიური მოსახლეობის წილი და სამოქალაქო საზოგადოება დაემსგავ-

სება მძლავრ და მზარდ მექანიზმს. იგი მოგვევლინება ერთი მხრივ, რეალურ შუამავლად ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის და, მეორე მხრივ, ხელისუფლების შემაკავებელ და გავლენის მქონე მექანიზმად – ეს კი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის უმთავრესი წინაპირობაა.

Giorgi Munjishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
BA student

**NGO-AS THE MAIN PART OF CIVIL SOCIETY:
FUNCTIONS, MEANING
AND PERSPECTIVES IN GEORGIA**

Civil society is the unity of citizens, whose activity is free from direct regulations and intervention by the government. Civil society is the field of a public life, which is optional, self-developed and autonomous. Civil society is intermediate formation, which occupies a place in the field between private life and the state. Civil society consists of both formal and non-formal groups, especially non-governmental organizations, so-called “third sector”, which has the most important role in civil life. Therefore, it is interesting how actively they perform their functions in Georgia, how actively are they working on problems, how independent they are, do they meet their basic criteria, such as: governance, independence, unity and purpose to fight against problems.

Main problem for non-governmental organizations is financial independence. They cannot get governmental and local business financial support, so they depend only on foreign donors. There is no experience of social entrepreneurship in Georgia, which can play the key role for financial guarantee. Non-governmental organizations,

which are engaged in social entrepreneurship, on the other hand are less dependent on donor funds, because they can create social programs, which are sustainable. Social enterprises invest own risks and generate own incomes. First of all it is business, which has permanent source of income, as well as any other company, it takes credits, attracts investments, partners with other organizations, but for social entrepreneurship priority goal is social. The economic aspects help social enterprisers to manage their social goals.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მიღებულია 1997 წლის 26 ივნისს, მუხლები 29–31.
2. საქართველოს კონსტიტუცია, მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს, მუხლი 24, I პუნქტი.
3. USAID, 2008 NGO Sustainability Index for Central and Eastern Europe and Eurasia (Washington: U.S. Agency for International Development)
4. Center for Strategic Research and Development, Civil Society Organizations in Georgia – Dynamics and Trends of Development – 2010 [in Georgian with English summary]

**საქართველოს უმაღლესი განათლების
დაწესებულებებში სოციალური
მეცნიერებების სფეროში კვლევის
ხელშეწყობის საშუალებების ანალიზი**

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ თბილისში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტს მოაწერა ხელი. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა ევროპის ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ სცნო. 1921 წლის თებერვალში, სულ რაღაც სამ წელიწადში, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ შეწყვიტა. ქვეყნის ხელისუფლება იძულებით ემიგრაციაში გაემგზავრა. ქვეყანაში კომუნისტური დიქტატურა დამყარდა. მხოლოდ 70 წლის შემდეგ შეძლო ქართველმა ხალხმა დაკარგული თავისუფლების მოპოვება. 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ქვეყანამ ახალი სახელმწიფოს მშენებლობა დაიწყო, რაც ყველა სფეროში (მათ შორის განათლების სფეროში) ახალი ხედვის ჩამოყალიბებას მოითხოვდა. მასშტაბური რეფორმები განხორციელდა განათლების სისტემაშიც. 2005 წელს, ბერგენის სამიტზე, საქართველო ბოლონიის პროცესს შეუერთდა, რამაც ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა.

ყველა ქართულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დანერგა სამეტაპიანი საგანმანათლებლო სტრუქტურა და ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც შეესაბამებოდა ბოლონიის პროცესის მოთხოვნებს. 2004 წელს საქართველომ მიიღო კანონი უმაღლესი განათლების შესა-

ნებ. კანონის თანახმად, სისტემატური შეფასებისა და გაუმჯობესებისთვის, მთავარ მიზნად განისაზღვრა უნივერსიტეტების ბაზაზე, ინსტიტუციურ დონეზე არსებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეშვეობით პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება. უმაღლესი განათლების სისტემის მეორე დიდ გამოწვევას სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია წარმოადგენდა. საბჭოთა მემკვიდრეობის ფონზე, როდესაც უნივერსიტეტები მხოლოდ სწავლებით იყვნენ დაკავებულნი, ხოლო კვლევა მთლიანად მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეროგატივა იყო, თანამედროვე უნივერსიტეტებმა ვერ შეძლეს სრულად გამოეყენებინათ საკუთარი ფინანსური და ადამიანური რესურსები, რაც კვლევისა და სწავლების შერწყმას უფრო წაარმატებულს გახდიდა. ქართული უნივერსიტეტების მნიშვნელოვანი მიღწევაა, რომ მათ მოახერხეს საბჭოთა პერიოდისთვის დამახასიათებელი ცენტრალიზებული მართვის სისტემის უფრო ავტონომიურ და დინამიკურ მართვის სისტემად გარდაქმნა. მიუხედავად ამისა, ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მაინც ბევრი პრობლემის წინაშე დგანან, რადგან მათ საერთაშორისო და გლობალური უმაღლესი განათლების მზარდი სისტემისთვის ფეხის აწყობა უწევთ.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 23 წლის შემდეგ, ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური მეცნიერებების მიმართულებით კვლევების არარსებობის მიზეზების ანალიზი, სოციალური მეცნიერების კვლევების ხელშეწყობა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საპარლამენტო კომიტეტის, დონორი ორგანიზაციების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და აკადემიური კვლევითი ინსტიტუტებისთვის სტრატეგიული რეკომენდაციების შემუშავება.

საქართველოში სოციალურ მეცნიერებებს არსებობის არცთუ დიდი ხნის ტრადიციები გააჩნია (ერთეული მიმარ-

თულებების გარდა, მაგ: ფსიქოლოგია, ჟურნალისტიკა). ამ მხრივ, ზოგადად, მეცნიერებების კვლევის პრობლემებს სოციალურ მეცნიერებებში ტრადიციებისა და გამოცდილების დეფიციტიც ემატება. ჩვენს რეალურ ყოფაში, მეცნიერებას სამეცნიერო პრობლემატიკის კვლევისა და გადაჭრის გზაზე უდიდეს დაბრკოლებად სოციალური პრობლემები ევლინება. ფინანსების სიმცირე ერთ-ერთ უდიდეს პრობლემად მიიჩნევა როგორც სხვა მეცნიერებებისთვის, ასევე სოციალური მეცნიერებებისთვისაც. თუმცა, ფინანსური რესურსების ნაკლებობა არაა მისი განვითარების ერთადერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი.

კვლევა განხორციელდა 2014 წლის მარტი-მაისის პერიოდში რეფორმების ასოციაციის GRASS-ის მკვლევარების მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამის (G-PAC) ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ამერიკელი ხალხის, კონკრეტულად კი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ.

პერიოდი მოიცავდა 2010- 2013 წლებს. კვლევაში მონაწილეობდა საქართველოს 14 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

ცხრილი 1. საქართველოს 14 უნივერსიტეტში სოციალურ მეცნიერებათა სფეროში მოღვაწე პროფესორებისა და თანამშრომლების რაოდენობა (2013).


N	უნივერსიტეტის დასახელება	პროფესორების რაოდენობა	რესპოდენტების რაოდენობა	თანამშრომლობის მაჩვენებელი
1	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	93	72	76%
2	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	46	35	77%
3	საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)	34	16	47%
4	კავკასიის უნივერსიტეტი	32	16	50%
5	ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	32	32	100%
6	ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	28	15	54%
7	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	26	20	77%
8	შავი ზღვის უნივერსიტეტი	25	12	48%
9	გრ. რობაქიძის უნივერსიტეტი	20	13	65%
	საქართველოს უნივერსიტეტი	16	7	44%
	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	13	6	46%
	თავისუფალი უნივერსიტეტი	11	8	73%
	გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	7	7	100%
	ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტი	3	3	100%
		386	278	72%

კვლევა განხორციელდა როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით.

საკვლევი ინსტრუმენტები: მეორადი წყაროების ანალიზი, დისკუსიები ფოკუს ჯგუფებში, სიღრმისეული ინტერვიუები, ინტერნეტში განთავსებული სამეცნიერო მონაცემების ანალიზი და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა.


კვლევის ანალიზი და შემუშავებული რეკომენდაციები საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) მიერ წარმოდგენილია პოლიტიკის დოკუმენტში (2014). წინამდებარე სტატიის მიზანი კი კვლევის პერიოდში გამოკვეთილი რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გაცნობაა. თემის ნათლად გაგებაში მცირე სტატისტიკური მონაცემები დაგვეხმარება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საქართველოში ავტორიზებული 57 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა. აქედან, 64% განთავსებულია დედაქალაქში, თბილისში. ავტორიზებული უმაღლეს სასწავლებლების მხოლოდ 35% -ია სახელმწიფო.



57 სასწავლებლიდან 28 არის კვლევითი უნივერსიტეტი, რომელიც უმაღლესი განათლების სამივე საფეხურს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) ახორციე-

ლებს, ხოლო დანარჩენ 29 დანესებულებას სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი აქვს.



საქართველოში სოციალური მეცნიერებების დარგში კვლევის მდგომარეობის განსასაზღვრად – სოციალურ მეცნიერებებში უნივერსიტეტების პროფესორთა იმ პუბლიკაციების რაოდენობის დასადგენად, რომლებსაც სამეცნიერო ღირებულება გააჩნია – გამოვიყენეთ სამი მეთოდი: სკოპუსის (SCOPUS) მონაცემთა ბაზა, გუგლ სქოლარი (Google Scholar) და გრასის ინდექსი (GRASS INDEX).

პროფესორების მიერ დასახელებული პუბლიკაციების საშუალო მაჩვენებელი იყო 4.66 (277-დან), რაც 7.87-ჯერ აღემატება სქოლარის მონაცემთა ბაზაში შესული პუბლიკაციების საშუალო რაოდენობას (0.59), ხოლო სკოპუსის ბაზის მონაცემებს კი – 61.4-ჯერ (0.076).


აქედან გამომდინარე, ვასკვნით, რომ ძალიან მაღალია შეუსაბამობა პროფესორების მიერ საკუთარი პუბლიკაციების დასახელებულ რაოდენობასა და სამეცნიერო ღირებულების მქონე, ხარისხიანი პუბლიკაციების რაოდენობებს შორის.

კვლევის პერიოდში შევიმუშავეთ სტრუქტურული ფაქტორების ოთხი ტიპი, რომელიც განსაზღვრავს სოციალურ მეცნიერებებში განხორციელებული კვლევის შედეგებს სა-

ქართველოში: დაფინანსების ნაკლებობა, ინსტიტუციური ფაქტორები, ცოდნის ლოკალიზება და საბჭოთა მემკვიდრეობა.

ბევრ სხვა დამაბრკოლებელ ფაქტორთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულ პროფესორთა დაბალი ხელფასებია.

1. პროფესორების საშუალო აკადემიური შემოსავალი 2013 წელს (ქვეყნის მასშტაბით)




კვლევაში მონაწილე პროფესორების უმრავლესობის (68%) აკადემიური საქმიანობიდან შემოსული შემოსავალი მერყეობდა 501-2000 ლარის ფარგლებში. პროფესორების 15%-ის ხელფასი 500 ლარზე ნაკლები იყო. მხოლოდ 17%-ს ჰქონდა 2000 ლარზე მეტი შემოსავალი.

თუმცა, ზემოთ აღნიშნული შედეგების ანალიზისას, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ პროფესორების საკმაოდ დიდი ნაწილი ერთზე მეტ უნივერსიტეტში მუშაობდა – ასეთია 89 პროფესორი 278-დან. თუ აღნიშნულ 89 პროფესორს შერჩევითად ამოვიღებთ, აბსოლუტურად განსხვავებულ სტატისტიკას მივიღებთ. პირველ დიაგრამაში ნარ-


მოდგენილია იმ პროფესორების ხელფასები, რომლებიც მხოლოდ ერთ უნივერსიტეტთან არიან ასოცირებულნი.

მნიშვნელოვანი განსხვავებაა თბილისის და რეგიონული უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის შემოსავლებს შორის. თბილისში საშუალო ხელფასი 793 ლარი დაფიქსირდა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება რეგიონებში დაფიქსირებულ მაჩვენებელს. გრაფიკულად აღნიშნული სხვაობა წარმოდგენილია დიაგრამებში 2 და 3.

2. საშუალო აკადემიური შემოსავალი რეგიონულ უნივერსიტეტებში 2013



3. საშუალო აკადემიური შემოსავალი თბილისის უნივერსიტეტებში 2013



ინსტიტუციურ ფაქტორებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ გარემოებად გამოიკვეთა დროის დეფიციტი, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული დაბალი ხელფასების პრობლემასა და კვლევითი გრანტების ნაკლებობასთან, თუმცა, ანალიტიკური თვალსაზრისით, ეს ცალკე პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული პრობლემა ორ ნაწილად იყოფა: პირველი, დროის ნაკლებობა კვლევითი აქტივობების განსახორციელებლად ჭარბი სასწავლო დატვირთვის გამო და მეორე, დროის ნაკლებობა ადმინისტრაციული და არააკადემიური მოვალეობების გამო.

პროფესორთა ერთი ნაწილი თვლის, რომ სამეცნიერო პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ლოკალიზებულ აკადემიურ გარემოზე. კერძოდ, მის საერთაშორისო კონტაქტებზე. ასეთი კონტაქტები უზრუნველყოფს პროფესორების მიწვევას საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მისაღებად, რასაც, როგორც წესი, მოსდევს პუბლიკაცია. საერთაშორისო კონტაქტები და საერთაშორისო პროფესორთა ასოციაციების წევრობა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორებია არსებული შესაძლებლობებისა და გრანტების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად.

საბჭოთა მემკვიდრეობა და სუსტი აკადემიური ტრადიციები ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა, რომელიც კვლევისას გამოიკვეთა. ასევე, სოციალურ მეცნიერებებში კვლევებისთვის ერთ-ერთ დამაბრკოლებელ გარემოებად გამოიკვეთა **ენობრივი ბარიერი**. კვლევაში მონაწილე პროფესორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მათთვისაც კი, ვინც ინგლისური კარგად იცის, რთულია იმ სტანდარტით წერა, რომელიც საერთაშორისო დონეზე მოითხოვება: საერთაშორისო რედაქტირება ძალიან ძვირია, ხოლო ადგილობრივი უნივერსიტეტები მსგავს მომსახურებას პროფესორებს არ სთავაზობენ.

დასასრულს, გამოვყოფდი მკვლევართა მიერ შემუშავებული რეკომენდაციებიდან რამდენიმეს, რომელთა დაუყოვნებლივ გათვალისწინებაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვნად გა-

აუმჯობესებდა საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში სოციალური მეცნიერებების სფეროში განხორციელებულ კვლევებს.

რეკომენდაციები:

- უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს პროფესორების ხელფასების ზრდა;
- კვლევის ჩატარება უნდა აისახოს ხელფასზე;
- პროფესორებს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან სამეცნიერო კვლევაზე, უნდა შეეთავაზოთ სასწავლო დატვირთვის შემცირების შესაძლებლობა კონკრეტულ დონემდე.

აკადემიური პოზიცია და კვლევითი პროდუქტი

- აკადემიური პერსონალის ერთი დონიდან მეორეზე გადაყვანა დაკავშირებული უნდა იყოს ტენუარის დროს პროფესორის კვლევით პროდუქტთან. მაგალითად, პროფესორის დანიშნულება ასოცირებულიდან სრულ პროფესორამდე უნდა ეფუძნებოდეს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო პროდუქტის ოდენობას.

კვლევისთვის მიზნობრივი დაფინანსების გაზრდა

- უნივერსიტეტებმა უნდა გამოყონ თანხები კვლევისთვის, ხოლო ამ თანხების განაწილება/აღრიცხვის რეგულაცია ნაკლებ ხისტი უნდა იყოს. იყო შემთხვევები, როდესაც გამოყოფილი თანხა ვერ გაიხარჯა იმ შეუძლებელი რეგულაციების გამო, რაც თანხების განკარგავსთანაა დაკავშირებული.

საერთაშორისო კონტაქტების გაზრდა

- უნივერსიტეტებმა მაღალი დონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისთვის დამატებითი თანხები უნდა გამოუყონ აკადემიურ პერსონალს, რაც გაზრდის საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში კონტაქტების ქსელს. მონაცემები გვიჩვენებს, რომ მაღალხარისხიანი

კვლევის დიდი ნაწილი სწორედ უცხოელ მკვლევრებთან თანამშრომლობით ხორციელდება.

გაცვლითი პროგრამები სოციალურ მეცნიერებებში აკადემიური ტრადიციების გასაცნობად

- აკადემიური ტრადიციების გასაცნობად ერთ-ერთი ეფექტური გზა უცხოურ უნივერსიტეტებში დროებითი სასწავლო ან სამუშაო ვიზიტებია. შესაბამისად, უნივერსიტეტებმა კვალიფიციური და მოტივირებული სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის უნდა გამოყონ თანხები გაცვლითი პროგრამების დასაფინანსებლად. თანხები უნდა გამოიყოს დოქტორანტებისთვისაც, რათა მათ შეძლონ კვლევის ჩატარება, საზღვარგარეთ მოგზაურობა და აკადემიური კავშირების გაბმა. ეს, ასევე, გულისხმობს ერთობლივ დაფინანსებასაც. მაგალითად, დოქტორანტს უნდა შეეძლოს უცხოურ უნივერსიტეტში მუშაობა ერთი წლის განმავლობაში.

მეთოდოლოგიური ტრენინგი

- აუცილებელია, რაოდენობრივი კვლევის მეთოდების (სტატისტიკა, პროგრამირება) სწავლების გაძლიერება სწავლის ყველა დონეზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა). გარდა ამისა, ასევე მნიშვნელოვანია, კონკრეტული სფეროსთვის დამახასიათებელი მეთოდოლოგიის სწავლების გაძლიერება. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან თანამედროვე სოციალური მეცნიერებების კვლევა უფრო და უფრო ეფუძნება რაოდენობრივ ანალიზს. შესაბამისი მეთოდოლოგიის სწავლების ტრადიცია საქართველოში გაცილებით სუსტია, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში.

ინგლისური ენისა და აკადემიური წერის ტრენინგი

- კვლევამ აჩვენა, რომ აუცილებელია ინგლისური ენის სასწავლო კურსების რაოდენობის გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება. იმპაქტფაქტორიანი და რეფერირებადი ჟურნალების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ინგლისურ ენაზე გამოიცემა. გაცვლითი და სასტიპენდიო პროგრამები

საუკეთესო საშუალებაა ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებისთვის. თუმცა, სხვა მეთოდები, როგორცაა უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული ენის კურსები, ასევე სასარგებლოა.

აკადემიური გარემო

- აკადემიური გარემო ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, მოხდეს საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველების და უცხოელი სპეციალისტების მოზიდვა. ეს ხალხი არა მხოლოდ გაზრდის სწავლების დონეს უნივერსიტეტებში, არამედ, გაამარტივებს საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტების დანერგვას და იდეების გაცვლა-გამოცვლასაც.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

- უნივერსიტეტებისთვის სასარგებლო იქნება ბიბლიოთეკების ხარისხის გაუმჯობესება ლიტერატურის განახლების გზით. ზოგიერთი საჯარო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება წიგნები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში, თუმცა, ისინი გაფანტულია მთელი ქალაქის მასშტაბით. მათი ერთ ადგილას თავმოყრა ან საერთო ელექტრონული კატალოგის შექმნა არსებულ კვლევით რესურსებს უფრო ხელმისაწვდომს გახდიდა სტუდენტებისა და მკვლევრებისთვის.

ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა

- კვლევითი პროდუქტიულობის ხელშესაწყობად, უნივერსიტეტები უნდა ზრუნავდნენ ერთმანეთთან თანამშრომლობის გაზრდაზე. საერთო რესურსების არსებობა მათ კვლევითი პროდუქტის რაოდენობის გაზრდაში დაეხმარება. სხვადასხვა უნივერსიტეტს აქვს ექსპერტიზის სხვადასხვა შესაძლებლობა, რომლის საუკეთესოდ გამოყენება შესაძლებელია თანამშრომლობის საფუძველზე.

**THE ANALYSIS OF RESEARCH PROMOTION
INSTRUMENTS IN THE FIELD OF SOCIAL SCIENCES AT
THE HIGHER EDUCATION INSTITUTIONS**

This research was implemented by an independent research organization Georgia's Reforms Associates (GRASS) in the framework of "Politics, Advocacy and Civil Society Development in Georgia" (G-PAC) program.

A tradition of Social Sciences does not have a long history in Georgia (except some particular directions such as psychology and journalism). In this regard, generally, existing problems in the research field are magnified by the lack of traditions and experience in Social Sciences. At present, the biggest obstacle for further development of scientific research is a social welfare problem resulting in lack of financing in Social Sciences as well as in the other fields. However, financial problems are not the only obstacle in this respect.

Despite the numerous reforms carried out at the Georgian universities there are still many underdeveloped fields, for example research in social sciences. Practically, there are no international peer-reviewed journals in Georgia and scientific progress in this direction is very slow. To this end, during the four years (2010-2014), the Faculty of Social and Political Sciences at the Tbilisi State University consisting of more than 100 professors has published only 12 scientific articles in peer-reviewed journals. Consequently, in light of high academic demands there is an increased need for high quality research. On the other hand, acquired new knowledge can facilitate knowledge based decision making process and development of the country (government, NGO's, mass media, etc.).

Aim of the project is to analyze reasons for absence of research in the field of social sciences and elaborate strategic

recommendations for the Ministry of Education and Science of Georgia, Parliamentary committee, donor organizations, higher education and academic research institutions.

To achieve these goals, fourteen Georgian higher education institutions were assessed using both quantitative and qualitative research methods. The research methodology mainly included following instruments: secondary data analysis, focus-group discussions, detailed interviews, internet based scientific data analysis and academic staff survey. The research was conducted in March-May of 2014 by the researchers from GRASS who also administered academic staff survey questionnaires.

Main findings were divided into two parts: structural factors that determine a status of research in social sciences in Georgian academia and individual factors that determine success of individual researchers.

The analysis of the first part was conducted through qualitative research method using deep-dive interviews as well as through quantitative method such as descriptive statistics, independent samples T-test and correlation analysis. The second part was analyzed using Binary logistic regression analysis. The data from academic and administrative staff was evaluated with qualitative research method through comprehensive interviews and quantitative research method, which included descriptive statistics and statistical instruments like independent samples T-test and correlation analysis. As a result, four types of structural factors were identified, namely lack of financing, institutional factors, localization of knowledge and Soviet heritage. These factors determine productivity and quality of research in the field of social sciences in Georgia.

After surveying academic staff in fourteen Georgian higher education institutions, a common pattern emerged indicating that if a scientist achieves certain success in the field of social sciences then it is due to a merit of his/her powerful nature, inner motivation and special professional interest.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ს. კაპანაძე, მ. მაღლაკელიძე, გ. ცხადაია, და სხვ., საქართველოს უმაღლესი განათლების დანესებულებში სოციალური მეცნიერებების სფეროში კვლევის ხელშეწყობის საშუალებების ანალიზი. თბ. 2014

მოსაღისაობა, როგორც აქტიური მოქალაქეობა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება მიიჩნევა, რადგან სამოქალაქო ღირებულებების და განწყობების განვითარებაზეა დამოკიდებული პოლიტიკური ინსტიტუტების და სისტემის გამართული ფუნქციონირება. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ჩაითვალოს, რომ მოქალაქე პოლიტიკური სისტემის უმთავრესი ცნებაა (Almond and Verba 1963). ამასთანავე, არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ მოქალაქეთა აქტიურობასა და კარგ მმართველობას შორის პირდაპირი კორელაცია არსებობს (Putnam 1995, Whiteley 2003).

მოქალაქეობა, როგორც ფენომენი, შესაძლებელია გავანალიზოთ ორი კუთხით: როგორც სტატუსი (იყო კონკრეტული ქვეყნის მოქალაქე და ფლობდე გარკვეულ უფლებებს) და, როგორც პროცესი, რამდენადაც სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობა და მოქალაქის უფლებათა რეალიზაცია ამ ფენომენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს.

მოქალაქეობის, როგორც პროცესის განხილვისას, ინდივიდის ქცევა შესაძლებელია შესწავლილ იქნას სამი ალტერნატიული თეორიული მიდგომით. ესენია: რაციონალური არჩევანის თეორია, სოციალური კაპიტალი და სამოქალაქო მოხალისეობა (Whiteley 2003).

დაუნსის თანახმად, რაციონალური არჩევანისას ინდივიდები მაქსიმალური მოგების მიღებას მინიმალური დანახარჯით ცდილობენ (Downs, 1957). სამოქალაქო ჩართულობას ეს ფორმულა შემდეგნაირად ესადაგება: მოქალაქეები ერთვებიან სამოქალაქო აქტივობებში და ჩართულობის შე-


დეგად მიღებული სარგებელი გაცილებით აღემატება მისთვის განეულ დანახარჯს. თუმცა, ინდივიდუალური ჩართულობის ზეგავლენა შედეგზე (მაგ. არჩევნების შედეგზე), ერთი შეხედვით, უმნიშვნელოა (Whiteley 2003). ამ შემთხვევაში მკვლევრები აქცენტს პერსონალური კმაყოფილების დონეზე აკეთებენ, რასაც ინდივიდები სამოქალაქო ცხოვრებაში მონაწილეობის შედეგად განიცდიან (Riker and Ordeshook 1968).

სოციალური კაპიტალის მოდელი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მოქალაქეები აქტიურად არიან ჩართულნი თავიანთი თემის გარეთ მიმდინარე სამოქალაქო და მოხალისეობრივ აქტივობებში. ამ მოდელის თანახმად, სამოქალაქო აქტივიზმის მაჩვენებელი პოზიტიურ კორელაციაშია როგორც ნდობის, ასევე მოხალისეობის მიმართ (Whiteley 2003).

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მესამე, სამოქალაქო ვოლუნტარიზმის მოდელი, რომელიც მონაწილეობის სოციალ-ეკონომიკურ მოდელს ეფუძნება. ვებსტერის დეფინიციის თანახმად, მოხალისეობა ეს არის სისტემა ან პრინციპი, რომელიც ნებაყოფლობით ქმედებაში გამოიხატება, ხოლო მისი ფილოსოფიური საფუძვლის მიხედვით, ინდივიდის ან სამყაროს აღქმაში გადამწყვეტ როლს ნება თამაშობს. მოხალისეობა საზოგადოების კონსოლიდაციის ერთ-ერთ უმთავრეს მაჩვენებელს წარმოადგენს, რამდენადაც ის ზრდის ნდობის, თანაზიარობის და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობას. ხელს უწყობს კარგი მოქალაქის ჩამოყალიბებას. სახელმწიფოში მოხალისეობის კოეფიციენტი სამოქალაქო საზოგადოების სიძლიერის ერთგვარ ინდიკატორად შეიძლება ჩავთვალოთ.

გარდა ინდივიდების მიერ მათი სამეზობლოს/გარემოსთვის განეული ალტრუისტული სამსახურისა, მოხალისეები არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირების უმთავრეს ძალას წარმოადგენენ. მოხალისეობა განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია შეზღუდული რესურსების (ფინანსები, დრო) პირობებში, რა დროსაც, მათი გადალახვა ადამიანური ძალების მობილიზების, ქსელების, კოალიციების თუ სხვა კავშირების ჩამოყალიბების გზით ხდება შესაძლებელი.



წყარო: International Volunteering from the United States between 2004 and 2012. Center for Social Development at the Washington University of St. Louis


ზემოთ აღნიშნული მოდელის თანახმად, საზოგადოების განათლების და ეკონომიკური შემოსავლის ზრდასთან ერთად, იზრდება მოქალაქეთა მოხალისეობრივი ჩართულობის მაჩვენებელიც⁵⁵ (Verba 1995). მაგრამ, გარდა მოყვანილი მაჩვენებლებისა, ამ მოდელის შემადგენელი ერთეულებია დრო და მობილიზაცია. კერძოდ, რამდენად აქვს ინდივიდებს თავისუფალი დრო, რათა ჩაერთონენ აქტივობებში და ასევე, რამდენად ცდილობენ მოიზიდონ თანამოაზრეები, რადგანაც განათლება, შემოსავალი და თავისუფალი დროის ქონა თავისთავად, არ ნიშნავს ჩართულობისკენ მისწრაფებას.⁵⁶

⁵⁵ კვლევების თანახმად, სამოხალისეო საქმიანობას ეწევიან არა მხოლოდ დაუსაქმებელი და სამუშაოს მაძიებელი ადამიანები, არამედ, სწორედაც რომ დასაქმებული, წარმატებული ადამიანები.

⁵⁶ სამოქალაქო ვოლუნტარიზმის ოპერაციონალიზაცია უაიტელის თანახმად შემდეგი ფორმულით გამოიხატება:

საქართველოში მოხალისეობის მდგომარეობის და მისი, როგორც სამოქალაქო აქტივიზმის ურთიერთმიმართების კვლევა რამდენიმე კვლევის მონაცემთა ბაზის გამოყენებით არის შესაძლებელი. ეს კვლევებია: „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ მიერ ჩატარებული „კავკასიის ბარომეტრი“ (2011-2013 წწ.) და „მოხალისეობა და სამოქალაქო ჩართულობა“ (2011 და 2014 წწ). აღნიშნული მონაცემთა ბაზის მოპოვება შესაძლებელია CRRC-ის ვებ-გვერდზე. მონაცემები დათვლილია ODA (Open Data Analyzes) გამოყენებით.


აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქართველოში მოხალისეობის ხვედრითი წილი არც თუ ისე მაღალია და 2011-2013 წლების მანძილზე 17%-დან 19%-მდე მერყეობდა.



A = p + R + M + I + E

სადაც A არის აქტივიზმი, p ეფექტურობა, R რესურსი (დრო, შემოსავალი და ა.შ), M მობილიზაცია (გთხოვეს/თხოვეთ ჩართვა აქტივობებში), I პარტიული კუთვნილება და E სამოქალაქო ჩართულობა (Whiteley 2003). თუმცა შესაბამისი მონაცემების არქონის გამო აღნიშნული ფორმულის გამოყენება საქართველოს შემთხვევისთვის ვერ მოხერხდება.

საინტერესოა მოხალისეობის დემოგრაფიული სურათი, კერძოდ მათი გადანაწილება სქესის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ მამაკაცები (61% 2011 – 2013 წწ) უფრო ხშირად არიან ჩართულნი სამოხალისეო აქტივობებში, ვიდრე ქალები (39% 2011 – 2013 წწ). რაც შეეხება ასაკობრივ გადანაწილებას – სხვაობა დიდი არ არის, თუმცა, ძირითადი წილი 36-55 წლის ადამიანებზე მოდის⁵⁷.



მიზეზი იმისა, თუ რატომ ერთვებიან მოხალისეობრივ აქტივობაში, აღნიშნული გამოკითხვის დროს დასმული არ იყო, თუმცა „ჰელფინგ ჰენდის“ მიერ ახალგაზრდების მოხალისეობის თემაზე ჩატარებულ გამოკითხვაში გამოიკვეთა,

⁵⁷ აღნიშნული მაჩვენებელი მეტ-ნაკლებად შეესაბამება გავრცელებულ ტენდენციას. მაგალითად, აშშ-ში 2014 წლის მოხალისეობის გამოკითხვაში ქალთა მოხალისეობის მაჩვენებელი 22.0 % ხოლო მამაკაცთა 28.3 % იყო.

Economic News Release. Bureau of labor Statistics. 2014. <http://www.bls.gov/news.release/volun.nr0.htm>

რომ ესენია: პიროვნული უნარების განვითარება, სამუშაო გამოცდილების მიღება, კეთილი საქმის უანგაროდ კეთება, თავისუფალი დროის სასარგებლოდ გამოყენება, ახალი მეგობრების შექმნა და სხვ.⁵⁸

საქართველოში მოხალისეობის ორი ფორმა გვხვდება, პირველი, ეს არის ე.წ არაფორმალური მოხალისეობა, როდესაც უსასყიდლოდ, ანგარების გარეშე ეხმარებიან ოჯახის წევრს, ახლობელს, მეგობარს; და მეორე, ფორმალური აქტივიზმი, როდესაც ასევე ანგარების გარეშე ერთვებიან კამპანიებში და ეხმარებიან უცნობ ადამიანებს. ამასთან, არაფორმალური მოხალისეობა საზოგადოებაში ტრადიციულ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით მიღებული ნორმაა, ხოლო ფორმალური მოხალისეობა ჯერაც არ დამკვიდრებულა⁵⁹. ამის დამადასტურებელია კავკასიის ბარომეტრის მონაცემები, რომლის მიხედვითაც, ოჯახის წევრებისა და ახლობლებისადმი დახმარების მაჩვენებელი თითქმის სამჯერ აღემატება უცნობების დახმარებას და საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობას.

არაფორმალური მოხალისეობა

#	კითხვა	2011	2014
	დაეხმარეთ თუ არა მეზობელს ან მეგობარს საოჯახო საქმეში ან ბავშვის მოვლაში? (არ იგულისხმება ფინანსური დახმარება)	61%	74 %

⁵⁸ ახალგაზრდების დამოკიდებულება მოხალისეობისადმი. 2013. ჰელფინგ ჰენდი [http://csogeorgia.org/uploads/News_pdf/The%20Survey%20Analysis%20Report%20Helping%20Hand%20%20\(1\).pdf](http://csogeorgia.org/uploads/News_pdf/The%20Survey%20Analysis%20Report%20Helping%20Hand%20%20(1).pdf)

⁵⁹ Social Capital in Georgia: Final Report and Recommendations, ნანახია (2011) http://www.crrc.ge/uploads/files/research_projects/CRRC_Social_Capital_Final_Report.pdf

ფორმალური მოხალისეობა

#	კითხვა	2011	2014
1	გაეცით თუ არა თანხა ქველმოქმედების მიზნით, მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის ჩათვლით?	28%	29%
2	მიიღეთ თუ არა მონაწილეობა საზოგადო ადგილის, მაგ: სადარბაზოს, სკოლის ან ეკლესიის ეზოს დასუფთავებაში?	26%	29 %
3	დარგეთ თუ არა ხე საკუთარი ნაკვეთის ფარგლებს გარეთ?	18%	23 %

შესაბამისად, რესპონდენტთა უმრავლესობას სოციალიზაციის საკმაოდ კარგი მაჩვენებელი ახასიათებს, კერძოდ 54% არასოდეს არის მარტო დღის განმავლობაში; გამოკითხულთა 92% ამბობს, რომ ჰყავთ ახლო მეგობრები, ხოლო მათ შორის 57% აცხადებს, რომ კვირაში ერთხელ მაინც ხვდებიან ერთმანეთს. სწორედ კარგად განვითარებულ სოციალიზაციის დონეს უკავშირდება ახალ ადამიანებთან შეხვედრის სურვილი; საქართველოს მოქალაქეთა ორი მესამედი (66%) სიამოვნებას იღებს ახალ ადამიანებთან შეხვედრით; 63% გამოთქვამს ახალი მეგობრების შეძენის სურვილს. შესაბამისად, აქტივობების ქსელურობის წინაპირობა მოცემულ შემთხვევაში აშკარად არსებობს⁶⁰.

თავისუფალი დროის შეფასებისას, გამოკითხულთა 20% (2011) – 24% (2014) ეთანხმება მოსაზრებას, რომ „მათ იმდენად ბევრი საქმე აქვთ სახლში, რომ სხვა საქმისთვის ვერ იცლიან“.


რაც შეეხება ეკონომიკურ მდგომარეობას, მიუხედავად

⁶⁰ მოხალისეობა საქართველოში: კვლევის დასკვნები და რეკომენდაციები, ნანახია (2012).

http://www.epfound.ge/files/volunteerism_version_geo.pdf

ქვეყანაში არსებული მიმდევარ ეკონომიკური პირობებისა, ისინი მაინც ახერხებენ აკონტროლონ საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობა. რესპონდენტთა 49%-ს მიაჩნია, რომ ისინი ნაწილობრივ, ან სრულად აკონტროლებენ საკუთარ ეკონომიკურ მდგომარეობას, ხოლო 24% ასე არ თვლის. საქართველოს მოქალაქეების ორი მესამედი (64%) ამბობს, რომ მათ ხელი არ ჩაუქნევიათ წარუმატებლობის გამო, ხოლო 7% კი თვლის, რომ მათ ჰქონიათ მსგავსი შემთხვევები.⁶¹

საზოგადოებაში არსებული განწყობის თანახმად, მოხალისეობა კარგი მოქალაქისთვის აუცილებელ საქმიანობად ითვლება. ამ კუთხით, საინტერესოა ამ მაჩვენებლის 2011 წლიდან 2013 წლამდე ზრდის ტენდენცია (27%-დან 46%-მდე – ანუ, გაიზარდა 19%-ით). თუმცა, ასევე ანგარიშგასაწევია იმ ადამიანთა ხვედრითი წილი, რომელთაც ამ მიმართულებით ჩამოყალიბებული პოზიცია არ აქვთ.



⁶¹ მოხალისეობა საქართველოში: კვლევის დასკვნები და რეკომენდაციები, ნანახია (2012). http://www.epfound.ge/files/volunteerism_version_geo.pdf

კარგი მოქალაქისთვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნებიდან, როგორცაა: კანონის დაცვა, ხელისუფლების თანადგომა, არჩევნებში მონაწილეობა, ტრადიციების დაცვა, ხელისუფლების კრიტიკა, გასაჭირში მყოფი ადამიანების დახმარება – მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა:

#	კითხვა	2011	2012	2013
1	ძალიან მნიშვნელოვანია მოქალაქემ დაიცვას კანონი	66%	69%	69 %
2	ძალიან მნიშვნელოვანია მოქალაქე სახელმწიფოს დაეხმაროს	22%	17%	20%
3	ძალიან მნიშვნელოვანია მოქალაქემ ხმა მისცეს არჩევნებზე	67%	80%	76%
4	ძალიან მნიშვნელოვანია მოქალაქემ დაიცვას ტრადიციები	72%	79%	80%
5	ძალიან მნიშვნელოვანია მოქალაქე დაეხმაროს გასაჭირში მყოფთ	68%	69%	70%
6	ძალიან მნიშვნელოვანია მოქალაქე იყოს კრიტიკული მთავრობის მიმართ	37%	36%	29%

ამ ფონზე, მოხალისეობაზე დაფუძნებული სამოქალაქო აქტივიზმის მაჩვენებელი კიდევ უფრო ნაკლებია. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატება სხვადასხვა აქტივობის მიმართ ერთგვარ აპათიურ განწყობაში. კერძოდ, ჩაერთოს არასამთავრობოების საქმიანობაში, დაესწროს სხვადასხვა შეხვედრას ან დახმარება სთხოვოს აღნიშნულ ორგანიზაციებს. 2013 წლის მონაცემებით, გამოკითხულთაგან მხოლოდ 2% ენდობა სრულად არასამთავრობო ორგანიზაციებს, ხოლო 21% მეტ-ნაკლებად. 2012 წელს ეს მაჩვენებელი ორივე კომპონენტში 1%-ით მეტი იყო. კითხვაზე – არასამთავრობო ორგანიზაციები ემსახურება თუ არა რიგითი მოქალაქის ინტერესებს – 37% დადებითად პასუხობს, 35% კი თვლის, რომ

არ ემსახურება. 2011 წელს ამ კითხვაზე დადებითად 32%-მა, ხოლო უარყოფითად 28% – მა უპასუხა.

თუმცა, კავკასიის ბარომეტრის თანახმად, საზოგადოების 54%-ზე მეტი ფიქრობს, რომ ხალხი უნდა მონაწილეობდეს საპროტესტო აქციებში (17%-ის მოსაზრება მოცემულ საკითხზე უარყოფითია).

#	კითხვა	2011	2014
1.	დაესწარიტ თუ არა საჯარო შეხვედრას ბოლო 6 თვის მანძილზე ?	10%	13%
2.	მიიღეთ თუ არა მონაწილეობა პოლიტიკურ დემონსტრაციაში ბოლო 6 თვის მანძილზე?	2%	3%
3.	გააგზავნეთ თუ არა წერილი, ან დარეკეთ თუ არა გაზეთში, ტელევიზიაში ან რადიოში?	3%	4%
4.	მოგიწერიათ თუ არა ხელი კოლექტიურ წერილზე/პეტიციაზე რაიმე საკითხის მოგვარების მოთხოვნით ბოლო 2 წლის განმავლობაში?	6%	22%
5.	მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებულ ტრენინგში/ლონისძიებაში ბოლო 2 წლის განმავლობაში?	4%	6%
6.	დასწრებისხართ თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოწყობილ შეხვედრას 2 წლის განმავლობაში??	5%	9 %
7.	დაგირეკავთ ან მისულხართ თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისში?	2%	6%

საქართველოს სიტუაცია შესაძლებელია აიხსნას იმით, რომ საზოგადოებაში ძალიან მაღალია შიდა ჯგუფური კუთვნილების გრძნობა (რომელსაც პატენემი „შემაკავშირებელ“ სოციალურ კაპიტალს უწოდებს, მაგრამ დაბალია ჯგუფს გარეთ კუთვნილების გრძნობა („ურთიერთობითი“ სოციალური კაპიტალი), რაც ნაცნობებისა და ნათესავებისადმი განსაკუთრებულ ზრუნვაში, ხოლო საზოგადოებრივი საქმიანობისადმი განსხვავებულ დამოკიდებულებაშიც თვალნათლივ გამოიხატება. ამასთანავე, შეინიშნება საინტერესო ტენდენცია – საერთო სარგებლობის ადგილებს უფრო მეტად პატარა ქალაქების მაცხოვრებლები ასუფთავებენ კოლექტიურად, ხოლო დედაქალაქის მოსახლეობა უფრო ხშირად მორიგეობით ასუფთავებს მათ⁶².

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, საქართველოში მოხალისეობის შეფასებისას, შესაძლებელია დავასკვნათ: მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ძირითადი ნაწილი არაფორმალურ მოხალისეობას მიმართავს, განწყობა-მოხალისეობა, როგორც „კარგი ქცევა“-საზოგადოების წევრებს შორის ძლიერია; არაფორმალური აქტივობები ნაკლებად ვლინდება სამოქალაქო ინსტიტუტებთან ურთიერთობის ფორმით და უფრო მეტად, ეკოლოგიურ და სხვადასხვა სათემო აქტივობაში გამოიხატება. ცვლადები, ისეთები, როგორებიცაა დრო და ეკონომიკური შემოსავალი, ნაკლებ გავლენას ახდენს მოხალისეობის მაჩვენებელზე. ხოლო კორელაცია განათლების დონესა და მოხალისეობის მაჩვენებელს შორის ძალიან დიდია, რადგან, სწორედ სამოქალაქო განათლება ემსახურება საზოგადოების წევრებში ღირებულებათა გადაფასებას და მოხალისეობის, როგორც სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის აუცილებელი პრერეკვიზიტის დამკვიდრებას.

⁶² მოხალისეობა საქართველოში: კვლევის დასკვნები და რეკომენდაციები, ნანახია (2012).
http://www.epfound.ge/files/volunteerism_version_geo.pdf

VOLUNTARISM AS AN ACTIVE CITIZENSHIP

After the collapse of the Soviet Union, one of the main challenges of Post-Soviet countries is to develop strong civil society. Among them is Georgia. Despite 23 years of independence, we face the lack of civic engagement. The value of civic virtue is still in the process of inculcation.

This paper aims to analyze the degree of voluntarism in Georgia. According to the theoretical findings, there are three general frameworks, the engagement as a civic action is analyzed from. These are -Rational Choice theory, Social Capital and Civil Voluntarism. To measure the quality of engagement they use variables such as time, networking, income, etc. To analyze Georgian case, the civil voluntarism model was chosen. Paper findings are based on secondary data collected by CRRC for Caucasus Barometer (2011-2013) and Voluntarism and Engagement research (2011, 2014).

According to the research, hypothesis of non-formal voluntarism is dominating in Georgia; for citizens it is common to help family members, relatives, and acquaintances free of charge, however, volunteering for community is not common behavior.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახალგაზრდების დამოკიდებულება მოხალისეობისადმი. 2013. ჰელფინგ ჰენდი
[http://csogeorgia.org/uploads/News_pdf/The%20Survey%20Analysis%20Report%20Helping%20Hand%20%20\(1\).pdf](http://csogeorgia.org/uploads/News_pdf/The%20Survey%20Analysis%20Report%20Helping%20Hand%20%20(1).pdf)

2. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. კავკასიის ბარომეტრი. 2011, 2012, 2013. მონაცემები განთავსებულია ვებგვერდზე [www. CRRC.ge](http://www.CRRC.ge)
3. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი. ჩართულობისა და მოხალისეობის კვლევა საქართველოში. 2011, 2014 მონაცემები განთავსებულია ვებგვერდზე www. CRRC.ge
4. მოხალისეობა საქართველოში: კვლევის დასკვნები და რეკომენდაციები, ნანახია (2012).
http://www.epfound.ge/files/volunteerism_version_geo.pdf
5. USAID, Policy, Advocacy and Civil Society Development in Georgia (G-PAC), 2014, საქართველოს მოქალაქეების დამოკიდებულება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო აქტიურობის მიმართ. 2014 წლის საზგადოებრივი აზრის კვლევა.
6. Hoffman A, J. Wallach J, Sanches E. Community Service Work, Civic Engagement, and “Giving Back” to Society: Key Factors in Improving Interethnic Relationships and Achieving “Connectedness” in Ethnically Diverse Communities. Australian Social Work. Vol. 63, No. 4, December 2010, pp. 418-430
7. Economic News Release. Bureau of labor Statistics. 2014. <http://www.bls.gov/news.release/volun.nr0.htm>
8. Social Capital in Georgia: Final Report and Recommendations, ნანახია (2011)
http://www.crrc.ge/uploads/files/research_projects/CRRC_Social_Capital_Final_Report.pdf

საქართველო და ადამიანის უფლებები

შესავალი

XX საუკუნის დასასრულს მომხდარმა გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა მსოფლიოში ძალთა ახლებური გადანაწილება გამოიწვია. ამასთან ერთად, შეიცვალა ევროპის რუკაც, გაქრა ძველი სახელმწიფოები და მათ ნაცვლად გაჩნდა ახალი, გამოუცდელი სუვერენული ქვეყნები, რომელთა ნაწილმაც დაუყოვნებლივ დაიწყო ევროპისკენ სწრაფვა. ამგვარი ქვეყნების რიგში იყო საქართველოც, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვებიდანვე ცდილობს შეუერთდეს იმ დიდ ევროპულ ოჯახს, რომელსაც ევროკავშირი ეწოდება. მაგრამ, საქართველოსთვის მიზნისკენ მიმავალი გზა, მთელი რიგი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ერთობ გრძელი და ეკლიანი გამოდგა. მოცემულ ნაშრომში ჩვენ არ ვაპირებთ ამ მიზეზების კვლევას. ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ საზოგადოებას, თუ რა როლი აკისრია ადამიანის უფლებებს საქართველოსა და ევროკავშირში და რა როლს თამაშობენ ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დღევანდელ რეალობაში საზოგადოებაში ევროკავშირი ასოცირდება წარმატებულ და მდიდრულ ცხოვრებასთან, თუმცა კი, ბევრმა არ იცის რა არის ამ წარმატების მთავარი საფუძველი. საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ აცნობიერებს ადამიანის უფლებებსა და კეთილდღეობას შორის არსებულ კავშირს, რისი მიზეზიც, გარკვეულწილად, დაბალი პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურაა.

ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ადამიანის უფლებების სრული და ყოველმხრივი განხილვა. ამ თემის დიდი მოცულობისა და მრავალმხრივობის გამო, მოცემულ მცირე ფორმატში შეუძლებელია ამის გაკეთება. ჩვენ შევეცდებით, ზო-

გადად განვიხილოთ თუ რა მდგომარეობაა დღეს ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ საქართველოში. ასევე, ვეცდებით, გამოვარკვიოთ რა კავშირია ადამიანის უფლებებსა და არსებულ სოციალურ ფონს შორის. ჩვენი ღრმა რწმენით, ადამიანის უფლებების დაცვა არის ის ამოსავალი წერტილი, საიდანაც უნდა დაიწყოს წარმატებული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა.

ადამიანის უფლებების ჩამოყალიბება და განვითარება

ადამიანის უფლებების „მშობლად“ მე-20 საუკუნე უნდა მივიჩნიოთ. სწორედ ამ პერიოდში განვითარდა მოძღვრება ადამიანის უფლებების შესახებ, რამაც ყველა დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. თუმცა, ადამიანის უფლებების იდეას დიდი ისტორია გააჩნია.

„გავრცელებული მეცნიერული შეხედულებების მიხედვით, ძირითადი უფლებები პირველად ინგლისში, 1215 წლის 15 ივნისს, ცნობილ დოკუმენტში – აგნა ჩარტა იბერტატუმ – ჩამოყალიბდა. თუმცა, ეს დოკუმენტი ძალიან განსხვავდებოდა თანამედროვე დოკუმენტებისგან, რადგან ის დიდგვაროვანთა ფენის მიერ მეფის ხელისუფლებისგან მიღებულ, მათი უფლებების დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენდა. აგნა ჩარტა-ს 63 მუხლიდან ნახევარზე მეტი, ფაქტობრივად, ფეოდალების პრეტენზიების აღიარებაა. თუმცა, არის მუხლები, რომლებიც თანამედროვე პერიოდში მოქმედი ძირითადი უფლებების ჩანასახად შეიძლება მივიჩნიოთ. ასეთია, მაგალითად, 39-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, „დაუშვებელია თავისუფალი ადამიანის დაპატიმრება, საკუთრების ჩამორთმევა ან მისი გაძევება ქვეყნის კანონის საფუძველზე მიღებული კანონიერი განაჩენის გარეშე.“⁶³

⁶³ კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2003, გვ. 26

მომდევნო აქტებიც ინგლისში იქნა მიღებული. ისინი ცნობილია, როგორც Act of Habeas Corpus (1679 წ.) და Bill of Raights (1689 წ.).

თუმცა, ეს იყო მხოლოდ ცალკეული მცდელობები, რომელთა მიზანს საზოგადოებაში გარკვეული უფლებების დაკანონება შეადგენდა. ხოლო სამართლებრივი კუთხით, ადამიანის უფლებებთან მიმართებაში გარდატეხა 1776 წლის 12 ივნისს ამერიკაში მიღებულ ვირჯინიის დეკლარაციას (Virginia Bill of Raights) უკავშირდება.

ამ დოკუმენტში ნათლად ირეკლება ბუნებითი სამართლისა და განმანათლებლობის იდეები, რომლის მიხედვითაც, ადამიანი, თავისუფალი ინდივიდი, სახელმწიფოსა და საზოგადოების ცენტრალური ფიგურაა. ზემოთხსენებული იდეების აშკარა გამოხატულებას წარმოადგენს დეკლარაციის პირველივე მუხლი: „ყველა ადამიანი ბუნებით თანაბრად თვისუფალია, დამოუკიდებელია და დაბადებიდანვე ფლობს კონკრეტულ უფლებებს...“ ადამიანის ბუნებითი უფლებები, რომელიც მას დაბადებიდანვე დაჰყვება, შეიძლება შეიზღუდოს ე.წ. საზოგადოებრივი ხელშეკრულებით, მაგრამ მათი გაუქმება დაუშვებელია. ამასთან, არსებობს ისეთი უზენაესი და ხელშეუხებელი უფლებებიც, რომელთა შეზღუდვა სახელმწიფოს არ შეუძლია. შინაარსობრივად, დეკლარაციას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი უზენაესი სამართლებრივი დოკუმენტის სახე აქვს და ისტორიული თვალსაზრისით ახალი დროის ადამიანის უფლებათა სათავეებთან დგას. მასში თანაბრად არის შერწყმული ევროპული ბუნებითი სამართალი და ინგლისური სამართლის ტრადიციები. Habeas Corpus-ით თავისუფლების შეზღუდვის დროს დაფიქსირებული საპროცესო უფლებების (ეს უფლებები გადმოცემულია დეკლარაციის მე-8-მე-11 მუხლებში) გარდა, დეკლარაცია შეიცავს ისეთ ახალ, ძირითად უფლებებს, როგორიცაა, მაგალითად, მე-12 მუხლის დებულება, რომლის მიხედვითაც „პრესის თავისუფლება თვისუფლების ერთ-ერთი

უდიდესი შემადგენელი ნაწილია და დაუშვებელია მისი შეზღუდვა, რაც შეიძლება მოხდეს მხოლოდ დესპოტური მთავრობების მმართველობისას.“ მე-16 მუხლით კი უზრუნველყოფილია რელიგიის თავისუფლება.“⁶⁴

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ვირჯინიის დეკლარაცია ამ ადამიანის უფლებების სფეროში გადატრიალება მოახდინა და აქ პირველად სცადეს – შეეხოჭათ სახელმწიფო მანქანა, ყველაზე ცნობილი დოკუმენტი ამ კუთხით, მაინც საფრანგეთის „რევოლუციის პირმშო“, 1789 წლის 26 აგვისტოს მიღებული ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციაა.

„ეს დოკუმენტი, ფაქტობრივად, ევროპის საკონსტიტუციო განვითარების ახალი ეპოქის დასაწყისს წარმოადგენს. დეკლარაციის პირველივე მუხლი ჟან ჟაკ რუსოს საგანმანათლებლო იდეების გამოძახილია: „ადამიანები იბადებიან თავისუფალნი და თანაბარი უფლებებით და ასეთებად რჩებიან. საზოგადოებრივი განსხვავებები მათ შორის შეიძლება დადგინდეს მხოლოდ კანონით.“⁶⁵

„საფრანგეთის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია დღეისათვის ცნობილ თითქმის ყველა ძირითად უფლებას შეიცავს. მეოთხე მუხლის მიხედვით, თავისუფლება ნიშნავს ყველაფრის კეთების უფლებას, თუ ეს ქმედებები სხვას არ აყენებს ზიანს. შესაბამისად, ადამიანის ბუნებითი უფლებების გამოყენება შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც აღნიშნული უფლებები ხელს არ უშლის სხვა ადამიანების ასეთივე უფლებების განხორციელებას. ამ შეზღუდვების დადგენა მხოლოდ კანონით უნდა ხდებოდეს (მეოთხე მუხლი). დაუშვებელია ადამიანის დაკავება, დაპატიმ-

⁶⁴ ძირითადი უფლებები, კონსტანტინე კუბლაშვილი, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2003, გვ. 28-29

⁶⁵ ძირითადი უფლებები, კონსტანტინე კუბლაშვილი, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2003, გვ. 29

რება ან მისთვის ბრალის წაყენება კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და მასში მითითებული ფორმების გარეშე (მეშვიდე მუხლი). დეკლარაცია შეიცავს სისხლის სამართლის კანონების უკუძალის დაუშვებლობას (მერვე მუხლი) და აღიარებს უდანაშაულობის პრეზუმფციას (მეცხრე მუხლი). უზრუნველყოფილია, აგრეთვე, მნიშვნელოვანი პოლიტიკური უფლებები: დაუშვებელია ადამიანზე ზეწოლა აზრის (მათ შორის, რელიგიური აზრის) გამოთქმის გამო, თუკი ამ გამონათქვამებით არ ირღვევა კანონით განსაზღვრული საჯარო წესრიგი (მეათე მუხლი). იდეებისა და აზრების თავისუფალი გავრცელება ადამიანის ერთ-ერთი უძვირფასესი უფლებაა. ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება, თავისუფლად ილაპარაკოს, წეროს და ბეჭდოს იმ პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რომელიც მას ეკისრება ამ თავისუფლების დარღვევისას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.⁶⁶

როგორც ვხედავთ, საფრანგეთის 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია არის პირველი სრულყოფილი დოკუმენტი, რომელიც სრულად ასახავს ყველა იმ ძირითად უფლებას, რასაც თანამედროვე ადამიანის უფლებები ეფუძნება და რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ხელისუფლების დანაწილების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. „აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის 1958 წლის 4 ოქტომბრის (ამჟამად მოქმედი) კონსტიტუცია პრეამბულაში ხაზს უსვამს დეკლარაციის უდიდეს მნიშვნელობას და მას კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილად აცხადებს.“⁶⁷

როგორც ზემოთ ვნახეთ, ადამიანის უფლებების განვითარების გზა ქარტილებითაა სავსე. ამ უფლებების მიღების, განხორციელებისა და დახვეწის გზაზე არაერთი დიდი

⁶⁶ იქვე, გვ. 29-30

⁶⁷ ძირითადი უფლებები, კონსტანტინე კუბლაშვილი, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2003, გვ.30

რევოლუციური ცვლილება განხორციელებულა, რომელთა ძირითად მიზანს ხელისუფლების დანაწილება და დემოკრატიული კონსტიტუციური სახელმწიფოების შექმნა წარმოადგენდა.

დღეს, პრაქტიკულად ყველა დემოკრატიული მმართველობის მქონე ქვეყანა, იცავს ადამიანის ძირითად უფლებებს – როგორც ყველაზე უზენაეს და ფუნდამენტალურ ღირებულებას. ადამიანის უფლებების დასაცავად მრავალი საერთაშორისო კონვენცია თუ დეკლარაციაა მიღებული. გამოვყოფდით გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, ევროპის საბჭოს 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენციას, რომელზე დაყრდნობითაც სტრასბურგის ევროპული სასამართლო ადამიანის უფლებათა დარღვევის საქმეებს განიხილავს, ასევე, ევროპის საბჭოს 1961 წლის 26 თებერვლის სოციალურ ქარტიას.

ადამიანის უფლებები საქართველოში (მოკლე ისტორიული მიმოხილვა)

ადამიანის უფლებების განვითარებას საქართველოში მცირე, მაგრამ საინტერესო ისტორია გააჩნია. საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში ადამიანის უფლებებს საკმაოდ მოცულობითი ადგილი ეკავა. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მაშინდელი მთავრობა ადამიანის უფლებების დაცვას დიდ ყურადღებას უთმობდა. „პირველად ძირითადი უფლებები აღიარებულ იქნა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით. ისევე როგორც მთლიანი კონსტიტუცია, ადამიანის ძირითად უფლებათა ნაწილიც (თავი მესამე „მოქალაქეთა უფლებანი“) საკმაოდ მაღალ დონეზეა შესრულებული და იმდროინდელი სამართლებრივი განვითარების მიღწევებს სრულად შეესაბამება. ამ კონსტიტუციით, მოცემულია ადამიანის უფლებათა საკმაოდ ვრცელი კატალოგი, კონკრეტულად კი, უზრუნველყოფილია კანონის წინაშე ადამიანთა თანასწორობა, პიროვნების ხელშეუხებლო-

ბა, მიმოსვლისა და ბინადრობის თავისუფლებები, ბინისა და საცხოვრებლის, მიმონერის ხელშეუხებლობა, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებები, აზრის თავისუფლება, შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლება, გაერთიანებათა თავისუფლება. განსაკუთრებით, აღნიშვნის ღირსია ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის სფეროში დადგენილი საპროცესო ძირითადი უფლებები (მუხლები 20-26), რომლებიც დეტალურად აწესრიგებს სახელმწიფოს მიერ ადამიანის თავისუფლების შეზღუდვისა და აღკვეთის საკითხებს.⁶⁸

1921 წლის კონსტიტუციამ სულ რამდენიმე დღე იარსებდა. ამავე წლის თებერვალში, ბოლშევიკურმა რუსეთმა, წითელი არმიის მეშვეობით, არჩეული დემოკრატიული მთავრობა დაამხო, მოახდინა საქართველოს ანექსია და რუსეთის ახლადშექმნილ „წითელ იმპერიას“ შეუერთა. „ოკუპაციის შედეგად, ქვეყნის სათავეში ბოლშევიკური ხელისუფლება მოვიდა და საქართველოს ყველა შემდგომი კონსტიტუცია ტიპურ საბჭოთა კონსტიტუციას წარმოადგენდა, რომლის ძირითადი პრინციპი იყო კომუნისტური პარტიის ერთადერთობა და გასაკუთრებულობა. სოციალისტური საქართველოს კონსტიტუციები მხოლოდ მოქალაქის სოციალურ უფლებებსა და საარჩევნო უფლებებს აღიარებდა (კომუნისტური პარტია ყოველთვის ხმების 99,9%-ით იგებდა არჩევნებს), სხვა ძირითადი უფლებები კი (მით უმეტეს, ძირითად უფლებათა კატალოგი) ამ დოკუმენტებში საერთოდ არ იყო განსაზღვრული.“⁶⁹

„საქართველოს ისტორიაში მეორედ, რეალურად კი პირველად, ძირითადი უფლებები აღიარებულ იქნა და ამოქმედდა 1995 წლის კონსტიტუციით. მისი მეორე თავი – „საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებები

⁶⁸ კონსტიტუციური სამართალი, ავტორთა კოლექტივი ავ. დემეტრაშვილის ხელმძღვანელობით, თბილისი 2005, გვ. 128

⁶⁹ კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, გამომცემლობა „ჯისიაი“ 2003, გვ. 31-32

და თავისუფლებანი“ ფაქტობრივად, ძირითად უფლებათა კატალოგს წარმოადგენს, მეშვიდე მუხლი კი ძირითად უფლებებს თვით ხალხის ნების შემზღვეველ პრინციპებად აღიარებს: „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირსებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“⁷⁰

ადამიანის უფლებები და თანამედროვე საქართველო

ჩვენ ვსაუბრობთ, რომ ადამიანის უფლებები უმთავრესია სამართლებრივ სისტემაში. ჩნდება კითხვა – რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები? რატომ არის ის ასეთი მნიშვნელოვანი? გაბატონებული შეხედულებით, ადამიანის უფლებების საფუძველს ბუნებითი სამართალი წარმოადგენს, რომელიც ადამიანს მონიჭებული აქვს ბუნების მიერ და მისი ჩამორთმევა დაუშვებელია. შესაბამისად, ადამიანის უფლებები პიროვნებისგან განუყოფელ უფლებათა ნუსხაა, რომლის შეზღუდვა ან ჩამორთმევა, თავისი არსით, დაუშვებელია. ადამიანის უფლებები და ბუნებითი სამართალი ერთმანეთთან პირველად ჯონ ლოკმა დააკავშირა. ადამიანის ძირითადი უფლებების, როგორც ბუნებითი უფლებების იდეა მე-17 საუკუნეში სწორედ მან განავითარა. ლოკი აცხადებდა, რომ „ძირითადი უფლებები უნივერსალური, „წინარესახელმწიფოებრივი“ უფლებებია, ამიტომ, სახელმწიფოს არა აქვს ადამიანებისთვის მათი მინიჭების ან ჩამორთმევის უფლება.

⁷⁰ კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, გამომცემლობა ჯისიაი, 2003, გვ 32

ადამიანებს ეს უფლებები სახელმწიფოს შექმნამდეც ჰქონდათ, რადგან ისინი „ბუნების კანონიდან“ გამომდინარეობს. ყოველ ადამიანს თავისი გონის მეშვეობით შეუძლია „ბუნების კანონის“ შეცნობა, რომელიც მთელი კაცობრიობის შენარჩუნებას მოითხოვს. „ბუნების კანონიდან“ ლოკმა გამოყო სამი ე.წ. საკუთრების უფლება (Property): სიცოცხლე, თავისუფლება და ქონება (Life, Liberty and Estate). სახელმწიფოს მოვალეობაა – დაიცვას ეს უფლებები. მათი შეზღუდვის შემთხვევაში, მოქალაქეს აქვს წინააღმდეგობის განხორციელების უფლება. ეს ყველაფერი უნდა აისახოს საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში.⁷¹

როგორც ვხედავთ, ადამიანის უფლებების პრიმატი მისი ბუნებითი ხასიათიდან გამომდინარეობს. სწორედ ეს უფლებები წარმოადგენს პიროვნების დაცულობის გარანტს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ – ადამიანის მოცემული უფლებები უზრუნველყოფს, რომ პიროვნება დაცული იქნება სახელმწიფოს მხრიდან ძალმომრეობისგან. ბოჭავს რა სახელმწიფოს, „ისინი (მოცემული უფლებები – ავტორი) იცავენ ადამიანებს სახელმწიფოს მხრიდან მათი ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩარევისგან და ამით უზრუნველყოფენ ადამიანის ცხოვრების სახელმწიფოსგან თავისუფალი სფეროების არსებობას. ძირითადი უფლებები ბოჭავს სახელმწიფოს/ხელისუფლებას და გამორიცხავს იმას, რომ ხელისუფლებას ყველაფრის უფლება ჰქონდეს. თუ კარგად დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ძირითადი უფლებების ეს მიზანი (სახელმწიფოს შეზღუდვა) მათი ისტორიული განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარეობს და დღესაც, მათ ტიპურ ფუნქციას წარმოადგენს.⁷² ამავე დროს, ძირითადი უფლებები ავალდებულებს

⁷¹ იქვე, გვ. 33

⁷² კონსტანტინე კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები, გამომცემლობა „ჯისიაი“ 2003, გვ. 39

სახელმწიფო ხელისუფლებას – იყოს შეზღუდული საკუთარ მოქმედებებში, არ ჩაერიოს პიროვნების ცხოვრების გარკვეულ სფეროებში, შეასრულოს მოქალაქის მოთხოვნები და დაიცვას მისი ინტერესები.

თუმცა, ადამიანის უფლებები მხოლოდ სახელმწიფოს წინააღმდეგ არ არის მიმართული. იგი ანალოგიურად მოქმედებს ნებისმიერი ინდივიდის წინააღმდეგ, რომელიც არღვევს სხვა ინდივიდის უფლებებს. კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად, საზოგადოება შეზღუდულია ადამიანის უფლებებით, ე.ი. ადამიანს აქვს უფლებები, რომელთა რეალიზების და განხორციელების საშუალება მას კანონით გააჩნია, მაგრამ, რა წამსაც კი მისი უფლების განხორციელება სხვა პიროვნების უფლებებს დაემუქრება, იგი იზღუდება საკუთარ ქმედებებში. შესაბამისად, პიროვნებას აქვს უფლება – განახორციელოს კანონით მინიჭებული უფლებანი მანამ, სანამ იგი არ დაარღვევს სხვა ადამიანის უფლებებს. თუმცა, აღნიშნული პრინციპი ჩვენს საზოგადოებაში ჯერაც არაა ბოლომდე აღქმული და კარგად გააზრებული.

„ძირითადი უფლებები პერსონალურ პრეტენზიას (მოთხოვნას) წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუცია ადგენს: ყველას, ვინც ფიქრობს, რომ საჯარო ხელისუფლების მიერ დარღვეულია მისი ძირითადი უფლება, შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს (მ. 89, პ.1, ქვპ. „ვ“). ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ძირითად უფლებებს პატივი უნდა სცენ არა მხოლოდ მათ, ვინც ვალდებულია (საჯარო ხელისუფლება), არამედ, თვით ამ უფლებებით აღჭურვილმა ადამიანებმაც, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს დახმარებით, შეუძლიათ მოითხოვონ თავიანთ უფლებათა დაცვა და დაფასება. ამდენად, ძირითადი უფლებები სუბიექტური უფლებებია.“⁷³

⁷³ ძირითადი უფლებები, კონსტანტინე კუბლაშვილი, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2003, გვ. 39

ადამიანის ძირითადი უფლებები კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილია, რაც გულისხმობს, რომ არსებობს გარკვეული უფლებები, რომლებიც გააჩნიათ მოქალაქეებს, თუმცა კი, ისინი არ წარმოადგენენ ადამიანის უფლებებს. მეცნიერთა გარკვეული ნაწილის აზრით, ეს უფლებები ადამიანის უფლებების თანაბარი ძალის მქონე დებულებებად უნდა ჩაითვალოს.

და ბოლოს, შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანის უფლებები – ეს არის საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებათა ნუსხა, რომელიც ადამიანის განუყოფელი, ბუნებითი უფლებებია, არის სუბიექტური და მიმართულია სახელმწიფოს წინააღმდეგ, რათა დაიცვას ადამიანი სახელმწიფოს მხრიდან ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჩარევისგან. თუმცა, ადამიანის უფლებები ბოჭავს არა მარტო სახელმწიფოს, არამედ ყოველ ინდივიდს, რომელიც შეეცდება დაარღვიოს სხვა პიროვნების უფლებები.

როგორც ვხედავთ, ადამიანის უფლებები კონსტიტუციით გარანტირებულია, თუმცა, მხოლოდ უფლების არსებობა არ არის საკმარისი. საჭიროა, არსებობდეს ამ უფლებების დაცვის მექანიზმი, რისთვისაც საქართველოში რამდენიმე ინსტიტუცია ფუნქციონირებს. საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვას საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს. „საქართველოს ორგანულ კანონში საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ პირდაპირაა აღნიშნული: 1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციური კანონიერების და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას (მუხლი I, პუნქტი 1). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის (საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი) საკითხთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონ-

სტიტუციურობის საკითხი (მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი).⁷⁴ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება გააჩნია ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც თვლის, რომ მისი კონსტიტუციური უფლება ირღვევა. სასამართლოსთვის მიმართვის უფლებით სარგებლობს სახალხო დამცველიც, თუ იგი ჩათვლის, რომ რომელიმე ნორმატიული აქტი არღვევს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

არასასამართლო ინსტიტუციებიდან ადამიანის უფლებების დაცვის ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმი ომბუდსმენის ინსტიტუტია, რომელიც საქართველოში ცნობილია სახალხო დამცველის სახელით. მისი მთავარი მოვალეობა სახელმწიფოსა და ხალხს შორის არბიტრის როლის შესრულება და ადამიანების დარღვეული უფლებების აღდგენაა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ომბუდსმენს პარლამენტი ირჩევს. „საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი. საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობის რეგულირება ხდება 1996 წლის 16 მაისის ორგანული კანონით „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ.“

საქართველოს სახალხო დამცველი ხელს უწყობს ადამიანის შელახული უფლებების აღდგენას, საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფის ხელშეწყობას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და სხვა. ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, მიმართოს ომბუდსმენს, თუ თვლის, რომ მისი უფლებები დაირღვა. ომბუდსმენი უფლებამოსილია, მიმართოს შესაბამისი ორგანოს თანამდებობის პირს უფლებათა დარღვევის შესახებ და შესთავაზოს მათი გამოსწორება. სახალხო დამცველის მიმართვის შედეგად, შესაძლოა, სახელმწიფო ორგანოების მიერ დარღვეული უფლების მექანიკური აღდგენა და უკანონო გადაწყვეტილების გაუქმება არ მოხ-

⁷⁴ კონსტიტუციური სამართალი, ავტორთა კოლექტივი ავ. დემეტრაშვილის ხელმძღვანელობით, თბილისი 2005, გვ. 140

დეს, მაგრამ სახალხო დამცველს, ნებისმიერ შემთხვევაში, შეუძლია მიმართოს სასამართლოს ან პარლამენტს.

სახალხო დამცველის საქმიანობისთვის დაბრკოლება-თა შექმნა ისჯება კანონით (საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი).⁷⁵

როგორც ვხედავთ, სახალხო დამცველი შელახული უფლებების დაცვის გარკვეულ ბერკეტებს ფლობს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი დამოუკიდებელია და მას უფლება აქვს საკუთარი შეხედულებიდან გამომდინარე, დაიწყოს ნებისმიერი ფაქტის შემოწმება.

როგორც ვხედავთ, საქართველოში ადამიანის უფლებები კონსტიტუციით არის გარანტირებული და მისი დაცვა შესაბამისი მექანიზმებითაა უზრუნველყოფილი, აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებების დაცვა ჩვენს ქვეყანაში თითქოს პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ რეალობა სულ სხვაა. ჩვენ არ დავინწყებთ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების მიერ გავრცელებულ მონაცემებზე საუბარს და მხოლოდ სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშში მოყვანილ რამდენიმე ფაქტს შევხებით, რაც, ჩვენი აზრით, საგანგაშოა.

„2013 წლის განმავლობაში გამართული აქციების უმეტესობა ექსცესების გარეშე ჩატარდა, თუმცა, იყო გამონაკლისებიც, სადაც სახელმწიფომ ვერ შეძლო მშვიდობიანი აქციის მონაწილეებისთვის კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების უფლების უზრუნველყოფა უმოქმედობის ან/და არასათანადო რეაგირების გამო. მათ შორის, 2013 წლის 17 მაისს ჰომოფობიის და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ორგანიზებული აქციის დარბევა პარალელური აქციის მონაწილეების მიერ.“⁷⁶

⁷⁵ კონსტიტუციური სამართალი, ავტორთა კოლექტივი ავ. დემეტრაშვილის ხელმძღვანელობით, თბილისი 2005, გვ. 141

⁷⁶ სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში – 2013,

„2013 წელი რელიგიის თავისუფლების რეალიზაციისა და ტოლერანტობის კუთხით პრობლემატური იყო, რაც ყველაზე მწვავედ საქართველოს მუსლიმი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ რამდენიმე შემთხვევაში გამოვლინდა. 2013 წლის მაისსა და ივნისში, წინწყაროსა და სამთაწყაროში მაცხოვრებელი მართლმადიდებელი მოსახლეობა აპროტესტებდა მეჩეთის ამოქმედებას სოფელში და მუქარით, სიტყვიერი შეურაცხყოფით, ზოგიერთ შემთხვევაში კი, ძალადობითაც, არ აძლევდა მუსლიმ მრევლს შეკრებისა და პარასკევის ტრადიციული ღოცვის ჩატარების შესაძლებლობას. ადიგენის რაიონის სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟისას, სამართალდამცავებსა და ადგილობრივ მუსლიმებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა, რის შედეგადაც, ადგილობრივმა მოსახლეებმა დაზიანებები მიიღეს, თერთმეტი მუსლიმი დააკავეს და რამდენიმე მათგანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. დემონტაჟიდან სამ თვეში კი, 27 ნოემბერს, მინარეთის ალდგენის პროცესი დასრულდა.“⁷⁷ სახალხო დამცველის მოხსენებაში საკმაოდ ბევრ დარღვევაზე იყო საუბარი, თუმცა, ჩვენი აზრით, ზემოთ აღნიშნული შემთხვევები ყველაზე საგანგაშოა, რადგან მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება არა ხელისუფლების მიერ გარკვეული უფლებების დარღვევას (რაც, ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში ადვილად მოგვარებადია), არამედ, აქ ჩართული იყო საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი. ყველაზე დიდი პრობლემატ სწორედ

<http://www.ombudsman.ge/ge/page/saxalxo-damcvelis-angarishi-adamianis-uflebata-mdgomareoba-saqartveloshi-2013>

ნანახია (31.03.2014)

⁷⁷ სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში – 2013,

<http://www.ombudsman.ge/ge/page/saxalxo-damcvelis-angarishi-adamianis-uflebata-mdgomareoba-saqartveloshi-2013>

ნანახია (31.03.2014)

ესაა. განსაკუთრებით, უნდა აღინიშნოს 17 მაისის მოვლენები, როდესაც სექსუალური უმცირესობების მიერ მოწყობილი აქცია სასტიკად იქნა დარბეული, რაც უკვე აშკარად მიუთითებს ამ ადამიანებისადმი უაღრესად ნეგატიურ დამოკიდებულებაზე. საგანგაშოა ისიც, რომ „2013 წელს გახშირდა სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები და სხვა შემთხვევები ლგბტ თემის წარმომადგენელთა და მათი უფლებების დამცველი ორგანიზაციების მიმართ.

საქართველოს სახალხო დამცველისთვის განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო 17 მაისის და ამ დღის თანმდევი მოვლენები, კერძოდ, განხორციელებული ძალადობა ლგბტ თემის წარმომადგენელი და უფლებადამცველი პირების მიმართ, რომელიც გრძელდება და სხვადასხვა ფორმით პოულობს გამოხატულებას.“⁷⁸

როგორც ვხედავთ, უფლებების დაცვის კუთხით არა მარტო ხელისუფლება სცოდავს, არამედ ადამიანის უფლებები საზოგადოების მხრიდანაც ირღვევა, რაც, ჩვენი აზრით, საზოგადოებაში არსებული დაბალი სამართლებრივი კულტურისა და თვითშეგნების „დამსახურებაა“. მიგვაჩნია, რომ თუ განვითარება გვინდა, საჭიროა საზოგადოების მასობრივი განათლება, რადგან სწორედ ადამიანის უფლებებია ის ქვაკუთხედი, რასაც ქვეყნის აღმშენებლობა უნდა დაეფუძნოს.

⁷⁸ სახალხო დამცველის ანგარიში, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში – 2013,

<http://www.ombudsman.ge/ge/page/saxalxo-damcvelis-angarishi-adamianis-uflebata-mdgomareoba-saqartveloshi-2013>

ნანახია (31.03.2014).

დასკვნა

მოცემული თემით ჩვენ გარკვეულწილად შევეცადეთ, მიმოგვეხილა ადამიანის უფლებები, მისი განვითარება და რაობა დღევანდელ საქართველოში. ვეცადეთ, წარმოგვეჩინა ჩვენს საზოგადოებაში არსებული პრობლემები. საზოგადოებამ, მართალია, აიტაცა სიტყვა „ადამიანის უფლებები“ და საკმაოდ ხშირადაც იყენებს მას, მაგრამ, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს – ხშირ შემთხვევაში, არღვევს იმას, რასაც პირველ რიგში, თავადვე უნდა იცავდეს. ყოველივე ეს კი, ჩვენი ღრმა რწმენით, საზოგადოების არასაკმარისი განათლების ბრალია. თუ მოცემული პრობლემა შეძლებისდაგვარად მალე არ იქნა მოგვარებული, ჩვენ გაგვიჭირდება ძლიერი და დემოკრატიული ქვეყნის შექმნა.

Beka Korchilava
Sukhishvili Teaching University
BA student

GEORGIA AND HUMAN RIGHTS

Human rights is the greatest achievement of the world. Citizens have right to protect their rights from the repressive state apparatus. Despite this, numerous allegations of violations are in place. Georgia is no exception. In the paper, we analyze cases from Georgia's contemporaneity that are evaluated as the clearest violation of the human rights. Our paper is based on reports prepared in Ombudsmen's office, which describes human right condition in the country.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ძირითადი უფლებები, კონსტანტინე კუბლაშვილი, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2003
2. კონსტიტუციური სამართალი, ავტორთა კოლექტივი ავ. დემეტრაშვილის ხელმძღვანელობით, თბილისი, 2005
3. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, პაატა ცნობილაძე, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2004
4. ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხილული ძირითადი საქმეები, შეადგინეს რაიჯა ჰანსკიმ და მარტინ შაინინმა, თარგმანი ანი გეგეჭკორის, ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი, Abo Akademi University, თურქუ/Abო 2006
5. ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო აქტების კრებული, ტომი I, თბილისი, 2008
6. ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო აქტების კრებული, ტომი II, თბილისი, 2008
7. სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში – 2013, <http://www.ombudsman.ge/ge/page/saxalxo-damcvelis-angarishi-adamianis-uflebata-mdgomareoba-saqartveloshi-2013> ნანახია (31.03.2014)



გამომცემლობა „**ენივერსალი**“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge